დანართი №2

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შესახებ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

(ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება)

სსიპ - ზურაბ ბეგიაშვილის სახელობის გარდაბნის მუნიციპალიტეტის სოფელ კუმისის საჯარო სკოლა

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე:

მიხეილ ტეფნაძე

წევრები:

თამარ კეშელავა - ზოგადი განათლების ხარისხის ექსპერტი
მანანა ცუცქირიძე - საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი
თეონა შუბლაძე - საზოგადოებრივი მეცნიერებების საგობრივი ექსპერტი
ვალერიან ვოლჩანსკი - უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი
ეთერ ქუთათელაძე - ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი
ანა ობოლაძე - ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი
ნიკოლოზ ჩუბინიძე - სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი
მანანა შეროზია - მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი
ნინო მახარაშვილი - ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი
გიორგი კოპლატაძე - სპორტის საგნობრივი ექსპერტი

ნაწილი I. შესავალი

I. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

ინფორმაცია შესახებ	
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება	**სსიპ - ზურაბ ბეგიაშვილის სახელობის გარდაბნის მუნიციპალიტეტის სოფელ კუმისის საჯარო სკოლა**
ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა	**საჯარო სამართლის იურიდიული პირი**
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების (გადასახადის გადამხდელის) საიდენტიფიკაციო კოდი	226526293

II. საკონტაქტო ინფორმაცია

საკონტაქტო ინფორმაცია	
მუნიციპალიტეტი (სოფელი/დაბა/ქალაქი)	**გარდაბანი**
იურიდიული მისამართი	**სოფელი კუმისი**
ფაქტობრივი მისამართი	**სოფელი კუმისი**
საფოსტო ინდექსი	**1314**
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ვებ-გვერდი	**არ აქვს**
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ელ-ფოსტა	**kumisi@mes.gov.ge**
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ტელეფონის ნომერი	**577 970528**

III. ინფორმაცია ვიზიტის შესახებ

ვიზიტის საფუძველი (ვიზიტის ბრძანების ნომერი და თარიღი)	MES 2 23 0000940974, 28.07.2023 წ.
ვიზიტის პერიოდი (თარიღი)	24-25.08.2023 წ.

IV. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამების შესახებ

„ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 32-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად გთხოვთ, ასახოთ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა/პროგრამები, რომლის განხორციელებაც სურს სკოლას.

N	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილის (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის და ქუჩის მითითებით)
	დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	დაწყებითი	ქართული ენა	გარდაბნის მუნიციპლაიტეტი, სოფელი კუმისი
	საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საბაზო	ქართული ენა	გარდაბნის მუნიციპლაიტეტი, სოფელი კუმისი

	საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საშუალო	ქართული ენა	გარდაბნის მუნიციპლაიტეტი, სოფელი კუმისი

V. შეფასების პროცესის საერთო მიმოხილვა

მოკლედ აღწერეთ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შეფასებასთან დაკავშირებული ძირითადი საკითხები.

VI. ინფორმაცია მოსწავლეების შესახებ

ცხრილი არ ივსება მოქმედ საჯარო სკოლაზე/პირველად ავტორიზაციაზე.

წინა ავტრიზაციის საბჭოს მიერ განსაზღვრული მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა	აქტიურ მოსწავლეთა რაოდენობა	ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მიერ მოთხოვნილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა

VII. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა

გთხოვთ, ასახოთ საკითხები, რომლებიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების გამორჩეულ პრაქტიკაზე მეტყველებს (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

სკოლის გამორჩეული პრაქტიკაა სკოლის კოლექტივის აქტიური ჩართულობა ავტროზაციის პროცესში ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტი დროს. სკოლაში დასაქმებული თითოეული პირი, რომლებთანაც უშულოდ ვიზიტის პერიოდში შედგა ურთიერთობა, კარგად იცნობს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სპეციფიკას, უშულოდ სკოლის კულტურასა და სასკოლო საზოგადოებას. დაწესებულებაში არსებული თანამშრომლობითი გარემო განაპირობებს პედაგოგთა რამდენიმე თაობის ერთიან მუშაობასა და

სტანდარტი/კომპონენტი	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სტანდარტი 1 სკოლის ფილოსოფია	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 1.1 სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 1.2 სკოლის დაგეგმვა და განვითარება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
სტანდარტი 3 სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☒ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.1 პერსონალის მართვა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.2 პერსონალის განვითარება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.3 პროცესების მართვა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება

	☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.4 ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.5 მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.6 საინფორმაციო რესურსები	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.7 ფინანსური რესურსები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
სტანდარტი 4 **მოსწავლეთა მხარდაჭერა**	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 4.1 მოსწავლეთა უფლებების დაცვა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 4.2 მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება

	☐ არ შეესაბამება

ახალი/ახალგაზრდა კადრების სკოლაში დასაქმებით დაინტერესებას.

ნაწილი II: სტანდარტების შეფასება, ხარვეზები, რეკომენდაციები და რჩევები

I. ავტორიზაციის I, III და IV სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

II. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილი მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასება

მოსწავლეთა რაოდენობა: **500**	ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება ☒	აღწერა *(იმ შემთხვევაში, თუ ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილ მოსწავლეთა ზღვრულ რაოდენობას)*
	ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ☐	

III. ექსპერტთა ჯგუფის შეფასება ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამასთან/პროგრამებთან მიმართებით.

ექსპერტთა ჯგუფმა სრულ და მეტწილ შესაბამისად შეაფასა შემდეგი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა/პროგრამები:

IV. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ხარვეზი, რომელმაც გამოიწვია სტანდარტის კომპონენტის „შეუსაბამოდ“ შეფასება და მეორე სტანდარტის „ნაწილობრივ შესაბამისობა“.

სტანდარტი N1	სკოლის ფილოსოფია	*ხარვეზი*
ინდიკატორი N....		.....
სტანდარტი N3	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	*ხარვეზი*
ინდიკატორი N....		.....
სტანდარტი N4	მოსწავლეთა მხარდაჭერა	
ინდიკატორი N....		.....

სტანდარტი N2	სასკოლო კურიკულუმი (ასახეთ კურიკულუმის დასახელება)	*ხარვეზი*

ინდიკატორი N....		.....

V. სტანდარტებთან შესაბამისობის რეკომენდაციების შეჯამება

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ის რეკომენდაცია, რომელიც ზოგანსაგანმანათლებლო დაწესებულებას მიეცა სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად (მეტწილი ან/და ნაწილობრივი შესაბამისობა.)[1]

სტანდარტი N1	*სკოლის ფილოსოფია*	*სტანდართან შესაბამისობის რეკომენდაცია*
N1.2.1.2	სტრატეგიული გეგმა არის შვიდწლიანი, ციკლური და ეფუძნება სკოლის მისიას, ხედვას და ღირებულებებს (ფილოსოფიას). ის შეიცავს მისიასთან თავსებად მიზნებს და მიზნების შესაბამის ამოცანებს.	მნიშვნელოვანია დაწესებულებამ უზრუნველყოს წარმოდგენილი სტრატეგიული გეგმით განსაღვრული მიზნების/ამოცანების მიღწევა/შესრულება.
N1.2.1.3	სამოქმედო გეგმა არის ერთწლიანი. ის ეფუძნება სკოლის სტრატეგიულ გეგმას და სკოლის ყოველწლიურ თვითშეფასებას.	მნიშვნელოვანია დაწესებულებამ უზრუნველყოს წარმოდგენილი სამოქმედო გეგმით განსაღვრული მიზნების/ამოცანების მიღწევა/შესრულება.
N1.2.1.4	სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, რეალისტური ვადები, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები და	მნიშვნელოვანია დაწესებულებამ უზრუნველყოს წარმოდგენილი გეგმებით განსაღვრული მიზნების/ამოცანების მიღწევა/შესრულება.

1 გარდა მეორე სტანდარტის ნაილობივი შესაბამისობისა.

	შესაბამისი რესურსები, რომელთა უზრუნველყოფაც რეალისტურია.	
სტანდარტი N3	**სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა**	
N3.4.1.1.	სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, მათ შორის საგანგებო სიტუაციებში რეაგირებას და პირველადი დახმარების აღმოჩენას.	მნიშვნელოვანია დაწესებულებამ ყურადღება მიაქციოს შენობის ტექნიკური მდგომარეობისა და ექსპლოატაციის უსაფრთხოებისა და შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ, არსებობის შესაბამისობის შესახებ და არსებობის აღმოფხვრის შესახებ შესაბამისი აქტივობების განხორციელებასა და დასკვნების მომზადებისთვის განსაზღვრულ შესაბამისობის გეგმების ვადების დაცვას.
N3.6.3.1.	სკოლა ახორციელებს საზოგადოების ინფორმირებას და კომუნიკაციას ოფიციალური ვებ გვერდისა/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდისა და სხვა საკომუნიკაციო არხების საშუალებით;	მნიშნელოვანია დაწესებულების მიერ განსაზღვრულმა პასუხისმგებელმა პირმა განსაკუთრებული ყურადღება მიაქციოს ვებ გვერდის ადმინისტრირებას, რათა მოხდეს საზოგადოების ინფორმირება.
N3.6.3.4.	სკოლას აქვს მოქმედი ვებ გვერდი/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდი, რომელზეც განთავსებულია ინფორმაცია ქართულ ენაზე, ასევე იმ ენაზე, რომელზეც ახორციელებს სწავლებას.	მნიშნელოვანია დაწესებულების მიერ განსაზღვრულმა პასუხისმგებელმა პირმა განსაკუთრებული ყურადღება მიაქციოს ვებ გვერდის ადმინისტრირებას.

N3.6.3.5.	ვებ გვერდი/ვებ გვერდის შესაბამისი გვერდი შეიცავს შემდეგ ინფორმაციას სკოლის შესახებ: მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა, პროგრამ(ებ)ის სახელწოდებები, ამ პროგრამებზე ჩარიცხვის პროცედურები და მისანიჭებელი კვალიფიკაცია (განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი), სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნები, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები, გასაჩივრების მექანიზმები, ფინანსური მდგრადობის შესახებ ანგარიში, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები და საკონტაქტო ინფორმაცია	მნიშნელოვანია დაწესებულების მიერ განსაზღვრულმა პასუხისმგებელმა პირმა განსაკუთრებული ყურადღება მიაქციოს ვებ გვერდის ადმინისტრირებას, რათა მოხდეს საზოგადოების ინფორმირება და განთავსდეს განახლებული ინფორმაცია.
სტანდარტი N4	*მოსწავლეთა მხარდაჭერა*	*სტანდართან შესაბამისობის რეკომენდაცია*
ინდიკატორი N....		

სტანდარტი N2	*სასკოლო კურიკულუმი* *(ასახეთ კურიკულუმის დასახელება)*	*სტანდართან შესაბამისობის რეკომენდაცია*
ინდიკატორი N....		.....

VI. რჩევა

გთხოვთ, გადმოიტანოთ არასავალდებულო ხასიათის რჩევები, რომლებიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას შეუძლია გაითვალისწინოს საქმიანობის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტი N2	სასკოლო კურიკულუმი (ასახეთ კურიკულუმის დასახელება)	*რჩევა*
N 2.1.2.4	განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს	სასურველია პედაგოგებმა შეიმუშაონ განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები რათა შეფასება იყოს გამჭირვალე, სანდო და ვალიდურ და გააცნონ რუბრიკები მოსწავლეებს. მოსწავლეებიც უფრო მობილიზებულნი იქნებიან როცა ეცოდინებათ რაში და როგორ ფასდებიან.
N 2.2.2.3	შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე;	საურველია, პედაგოგებმა უკეთ გააცნობიერონ, რომ შეფასება ინტეგრირებულია სასწავლო პროცესში და და მოსწავლის ყოველდღიური პროცესის განუყოფელი ნაწილია. და პედაგოგებმა უფრო მეტი მონდომება და ძალისხმევა უნდა მიაქციონ ამ პროცესს, რათა იყოს შეფასდება ჰოლისტური. ასევე სასურველია მასწავლებლებმა სასწავლო პროცესში მოსწავლის განვითარებისთვის მიზანმიმართულად შეიმუშაონ/ გამოიყენონ შეფასების ორივე ფორმა.
N 2.2.2.4	შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი	მოხდეს შეფასების რუბრიკების შემუშავება სასწავლი თემის ირგვლივ და გააცნონ მოსწავლეებს, უმჯობესია თუ რამდენიმე რუბრიკას მაინც მოსწავლეებთან ერთად შეიმუშავებენ მეტი სანდოობისათვის და გამჭვირვალობისათვის.

VII. წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების სტატუსი (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

VIII. ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე

გთხოვთ, დეტალურად ასახოთ ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე.

ექსპერტთა ჯგუფმა სრულად გაიაზიარა დაწესებულების მიერ წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიცია.

ნაწილი III. სტანდარტების აღწერა და შეფასება (I, III და IV სტანდარტი)

1. სკოლის ფილოსოფია

1.1. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები

1.1.1. სკოლას გააზრებული აქვს საკუთარი ადგილი და როლი საგანმანათლებლო სივრცესა და საზოგადოებაში

1. სკოლის მისია და ხედვა შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს;
2. სკოლა მისიითა და ხედვით განსაზღვრავს საკუთარ როლს, როგორც სასკოლო საზოგადოებისთვის უსაფრთხო და პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებულ სოციო-კულტურულ სივრცეს;
3. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების ჩართულობით;
4. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;
5. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები საჯაროდაა ხელმისაწვდომი;
6. სკოლის სახელწოდება შეესაბამება მისი სტატუსის აღმნიშვნელ, კანონმდებლობით დადგენილ ტერმინს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. დაწესებულების მიერ წარმოდგენილ სასკოლო სასწავლო გეგმის პროექტში აღწერილ სკოლის მისიაში აქცენტი კეთდება მოსწავლის შესაძლებლობების რეალიზებაზე. აღნიშნულის მისაღწევად, ამავე დოკუმენტით განსაზღვრული ხედვის ნაწილის მიხედვით კი, სწავლა-სწავლების პროცესი განხორციელდება მოსწავლეზე ორიენტრირებული პრინციპებზე დაყრდნობით, რამაც უნდა უზრუნველყოს მოსწავლის შესაძლებლობების - ცოდნის, უნარებისა და დამოკიდებულებების განვითარება და პრაქტიკაში გამოყენება. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2. მისიისა და ხედვის შინაარსები ორინტირებულია ეროვნული და ზოგადსაკაცობრიო, კრიტიკულად მოაზროვნე პიროვნების ჩამოყალიბებაზე, რომელსაც განუვითარდება ლიბერალურ და დემოკრიატიულ ღირებულებებზე დამყარებული სამოქალაქო ცნობიერება და გაიაზრებს საკუთარ პასუხისმგებლობას ოჯახისა და ქვეყნის წინაშე. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

3. მისია, ხედვა და ღირებულებები შემუშავებულია სკოლის ადმინისტრაციის, პედაგოგიური კოლექტივისა და მოსწავლეთა ჩართულობით. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

4. დაწესებულება მისიისა და ხედვის გაზიარების საშუალებებად მიიჩნევს თვალსაჩინო ადგილას (მაგ. შენობის მთავარ შესასვლელში) გამოკვრას, შემუშავების პროცესში ჩართულ პირთა რაოდენობის გაზრდას, პედაგოგიურ საბჭოსა და მშობელთა კრებებზე გაცნობას და შინაარსის ინტეგრირებას სასწავლო აქტივობებში. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

5. სასკოლო საზოგადოების გასაცნობად დაწესებულების მისია გამოკრულია მთავარ შესასვლელში. პედაგოგიურ საბჭოსა და მშობელთა საერთო კრებებზე ხდება დოკუმენტის შინაარსის წარდგენა. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

6. დაწესებულების დასახელება - სსიპ - ზურაბ ბეგიაშვილის სახელობის გარდაბნის მუნიციპალიტეტის სოფელ კუმისის საჯარო სკოლა - განსაზღვრულია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2005 წლის 15 სექტმებრის N448 ბრძანებით. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- პედაგოგიური საბჭოს სხდომის ოქმი;
- მშობელთა კრების ოქმი;
- შემოსავლების სამსახურის მიერ გაცემული ცნობა იურიდიული პირის რეგისტრაციის შესახებ;

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

1.2. სკოლის დაგეგმვა და განვითარება

1.2.1. სკოლას აქვს დაგეგმვის პრაქტიკა

1. სკოლას აქვს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგია, რომელიც განსაზღვრავს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებისა და ინტერესების გათვალისწინების მექანიზმებს;
2. სტრატეგიული გეგმა არის შვიდწლიანი, ციკლური და ეფუძნება სკოლის მისიას, ხედვას და ღირებულებებს (ფილოსოფიას). ის შეიცავს მისიასთან თავსებად მიზნებს და მიზნების შესაბამის ამოცანებს;
3. სამოქმედო გეგმა არის ერთწლიანი. ის ეფუძნება სკოლის სტრატეგიულ გეგმას და სკოლის ყოველწლიურ თვითშეფასებას;
4. სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, რეალისტური ვადები, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები და შესაბამისი რესურსები, რომელთა უზრუნველყოფაც რეალისტურია.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგიის პროექტის მიხედვით სკოლას გრძელვადიანი განვითარების ოთხი ძირითადი ორიენტირი აქვს: 1. სწავლა-სწვალება (სასწავლო პროცესის მუდმივი გაუმჯობესება); 2. სასკოლო ინფრასტრუქტურისა და მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესება; 3. სკოლის ორგანიზაციული ეფექტიანობის ამაღლება; 4. სკოლის საქმიანობის გამჭვირვალობა. სტრატეგიული დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია საგნობრივი კათედრის წარმომადგენლები, სკოლის ადმინისტრაციული და სტრუქტურული ერთეულების წარმომადგენლები, მოსწავლეთა თვითმმართველობის წარმომადგენელი, მშობელთა კომიტეტის წარმომადგენლის ჩართულობა. აღნიშნული ჯგუფი მოხსენიებულია, როგორც დაგეგმვის ჯგუფი და მათი ერთ-ერთი ფუნქციაა სასკოლო საზოგადების წევრებისა და დაინტერესებული სხვა მხარეების გამოკითხვა პრიორეიტეტების განსასაზღვრად. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
2. დაწესებულებამ წარმოადინა მისიაზე, ხედვასა და ღირებულებებზე დაფუძნებით შემუშავეული 2023-2030 წლების სტრატეგიული განვითარების შვიდწლიანი გეგმის პროექტი, რომლის მიზნებსაც წარმოადგენს: პოზიტიური და უსაფრთხო გარემოს შექმნა, მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განვითარება, თანამშრომელთა პროფესიულ განვითარებაზე ზრუნვა, სწავლა სწავლების თანამედროვე მეთოდების დანერგვა, ინკლუზიური განათლების ხელშეწყობა, სასკოლო კლუბების შექმნა და მათთვის ხელშეწყობა, სასკოლო საზოგადოების თემთან თანამშრომლობის ხელშეწყობა. აღნიშნული მიზნების მისაღწევად განსაზღვრულია სასწავლო წლები. პროცესის ციკლურობისთვის აღნიშნული დოკუმენტის შემუშავება მოიცავს ხუთ ეტაპს: 1)

ინფორმაციის შეგროვება და ანალიზი; 2) მიღებული ინფორმაციის გადახედვა; 3) სტრატეგიული მიზნების განსაზღვრა; 4) სამოქმედო გეგმის შემუშავება; 5) მონიტორინგი და ანალიზი. დაწესებულებამ სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში წარმოადგინა 2023 წლის 24 ოქტომბრის წერილი, რომელზეც თანდართული შესაბამისობის გეგმისა და სტრატეგიული გეგმის მიხედვით, დამტკიცებულია შვიდწლიანი სტრატეგიული გეგმა. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

3. სკოლამ წარმოადგინა 2022-2023 სასწავლო წლის სამოქმედო გეგმა, რომლის მიზნებსაც წარმოადგენდა სწავლა-სწვალების პროცესის ორგანიზების, სასკოლო ინფრასტრუქტურისა და მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესების, სკოლის ორგანიზაციული ეფექტიანობის ამაღლებისა და სკოლის საქმიანობის გამჭვირვალობის გაუმჯობესების ხელშემწყობი აქტივობები, ვადები, ინდიკატორები და პასუხისმგებელი პირები. სკოლამ ავტორიზაციის ექსპერტთა ვიზიტისას, წარმოადგინა სამოქმედო გეგმის განხირციელების ანგარიში, რომელშიც განსაზღვრულია, შემდეგი წლის სამოქმედო გეგმით მისაღწევი მიზნები. სტრატეგიული გეგმის პროექტისა და 2022-2023 სასწავლო წლის სამოქმედო გეგმის მიზნების შინაარსები თანხვედრაშია ერთმანეთთან. დაწესებულებას ასევე წარმოდგენილი აქვს 2023-2024 სასწავლო წლის სამოქმედო გეგმის ჩარჩო. დაწესებულებამ სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში წარმოადგინა 2023 წლის 24 ოქტომბრის წერილი, რომელზეც თანდართული შესაბამისობის გეგმისა და 2023-2024 სასწავლო წლის სამოქმედო გეგმის მიხედვით, 2023-2024 სასწავლო წლის სამოქმედო გეგმა. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

4. 2022-2023 სასწავლო წლის სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, რეალისტური ვადები, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები და შესაბამისი რესურსები, რომელთა უმეტესი ნაწილი რეალისტურობიდან გამომდინარე უკვე შესრულებულია. სკოლის ადმინსიტრაციის განმარტებით, 2023-2024 სასწავლო წლის სამოქმედო გეგმის ჩარჩოს შევსებისას დაცული იქნება იგივე პრინციპი. დაწესებულებამ სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში წარმოადგინა 2023 წლის 24 ოქტომბრის წერილი, რომელზეც თანდართული სტრატეგიული გეგმისა და სამოქმედო გეგმის სტრატეგიული მიზნებს შეესაბამება ამოცანები, ამოცანებს აქტივობები, რომელთა შესრულების ინდიკატორები გაზომვადია, ვადები რეალისტური, პასუხისმგებელი პირები არიან სკოლის სტრუქტურული ერთეულების თანამშრომლები. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის დირექტორის ბრძანება სკოლის სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების მეთოდოლოგიაზე მომუშავე პასუხისმგებელი ჯგუფის შემადგენლობის დამტკიცების შესახებ;
- 2022-2023 სასწავლო წლის სამოქმედო გეგმა;

- სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგიის დოკუმენტი;
- სტრატეგიული გეგმა;
- სამოქმედო გეგმა 2023-2024 სასწავლო წლისათვის;
- სკოლის ყოველწიური თვითშეფასების დოკუმენტი (დირექტორის ანგარიში);

1.2.2. სკოლაში მოქმედებს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების მონიტორინგისა და შეფასების სისტემა

1. სკოლის სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია მოიცავს მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმებს;
2. მეთოდოლოგიის შესაბამისად, სკოლა ახორციელებს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგსა და შეფასებას, მათ შორის სასკოლო საზოგადოებისა და სისტემის სხვა დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის გათვალისწინებით;
3. სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების განხორციელების შედეგები საჯაროა;
4. სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები გამოიყენება სკოლის შემდგომი განვითარებისთვის.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. მეთოდოლოგიის დაგეგმვის პროცესის ეტაპების მიხედვით, მეხუთე ეტაპს წარმოადგენს სტრატეგიული გეგმის მიმდინარეობის მონიტორინგი, ანგარიშების წარდგენა და გამოვლენილი საჭიროების შესაბამისად ცვლილებების მომზადება. ამავე დოკუმენტის მეხუთე თავი განსაზღვრავს ზემოაღნიშნული ეტაპის განხორციელების აქტივობებს. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
2. დოკუმენტის მეხუთე თავის მიხედვით სტრატეგიული გეგმით გათვალისწინებული მიზნების მიმდინარე შეფასება ხდება ყოველწიურად თვითშეფასების ანგარიშის მომზადების პროცესში, რასაც უზრუნველყოფს მონიტორინგისა და შეფასების ჯგუფი (დროებითი სამუშაო ერთეული). ჯგუფის მიერ განხორციელებული მონიტორინგისა და შეფასების შედგებს განიხილავს პედაგოგიური საბჭო. საჭიროების შემთხვევაში მონიტორინგის ინიცირების უფლება აქვს სკოლის დირექტორს. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
3. სკოლის სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების განხორციელების საჯაროობის უზრუნველსაყოფად გამოიყენებს თვალსაჩინო ადგილას გამოკვრას, პედაგოგიურ საბჭოსა და მშობელთა კრებებზე გაცნობა. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

4. სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგიის მიხედვით განსაზღვრულია პროცესის ციკლურობის მექანიზმები. სკოლაში არსებობს სამოქმედო გეგმის განხორციელების ანგარიშის მომზადების პრაქტიკა, რომელშიც განსაზღვრულია შემდეგი წლის გეგმაში გასათვლისწინებელი საკითხები. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის დირექტორის ანგარიში სასწავლო პროცესის მიმდინარეობის შესახებ;
- 2022-2023 სასწავლო წლის სამოქმედო გეგმა;
- მრჩეველთა საბჭოს ოქმი სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ;
- მშობელთა კრებები;
- სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგიის დოკუმენტი;

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3. სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა

3.1. პერსონალის მართვა

3.1.1. სკოლის ორგანიზაციული მოწყობა უზრუნველყოფს დასახული მიზნების მიღწევას

1. სკოლაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული;
2. სკოლის სტრუქტურულ ერთეულებს/პირებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებას.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის სტრუქტურას წარმოადგენს დირექცია, ადმინისტრაცია, პედაგოგიური საბჭო, სამეურვეო საბჭო, მრჩეველთა საბჭო, საგნობრივი კათედრები, დისციპლინური კომიტეტი და მოსწავლეთა თვითმმართველობა, რომელთა ფუნქციებიც განსაზღვრულია ზოგადი განათლების შესაბამისად და განთავსებულია სკოლის საინფორმაციო დაფაზე. ფუქნცია-მოვალეობები იკითხება დასაქმებულებთან გაფორმებულ ხელშეკრულებებშიც. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
2. დასაქმებულ პირთა ხელშეკრულებებსა და სკოლის დირექტორის მიერ გამოცემულ ცალკეულ ბრძანებებში განსაზღვრული ფუნქციების შინაარსი ეხება ზოგადსაგანმათლებლო პროცესის მართვის ხელშემწყობ ფაქტორებს, რითაც იქმნება ეფექტიანი სწავლა-სწავლების პროცესის განხორციელების შესაძლებლობა. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- პერსონალთან გაფომრებული ხელშეკრულებების ნიმუშები;
- სკოლის სტრუქტურული ერთეულების სხდომების ოქმები;

3.1.2. პერსონალის მართვის პოლიტიკა უზრუნველყოფს სკოლის განვითარებას

1. პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად;
2. სკოლას აქვს საჭიროებებზე დაფუძნებული პრევენციული და ინტერვენციული პერსონალის მართვის პოლიტიკა;
3. პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობისა და გამჭვირვალეობის პრინციპების დაცვით;
4. პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობას;
5. პერსონალის მართვის პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს;
6. სკოლას აქვს წარმატებული გამოცდილების აღიარებისა და გაზიარების მექანიზმი.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის შინაგანაწესი განსაზღვრავს პერსონალი მართვასთან დაკავშირებით მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისი შინაარსებს. დასაქმებულებთან გაფორმებული ხელშეკრულებები და მასში ასახული შინაარსები შეესაბამება კანონმდებლობას. თითოეული დასაქმებული ცდილობს დაიცვას მისთვის განსაზღვრული ფუნქციები. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2. საგაკვეთილო ცხრილის შედგენისას გათვალისწინებულია, საგნის მასწავლებლის სკოლაში არ ყოფნის შემთხვევაში, მისი იმავე საგნის ან საგნობრივი ჯგუფის მასწავლებლით ჩანაცვლების შესაძლებლობა. მასწავლებლის დაგვიანების შემთხვევაში, ცხრილში გაკვეთილების ისე გადანაცვლება, რომ მოსწავლეებს გაკვეთილი არ გაუცდეთ. გაცდენილი გაკვეთილი ფიქსირდება სპეციალურ ჟურნალში. სხვა სტრუქტურულ ერთეულებში დასაქმებული პირები იცნობენ ერთმანეთის ფუნქცია-მოვალეებს და საჭიროების შემთხვევაში შესაძლებელია საქმიანობის შეთავსება. დასაქმებულებთან გაფორმებული ხელშეკრულებების სხვადასხვა მუხლების შინაარსების მიხედვით, დაწესებულება უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის უწყვეტობას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

3. სკოლის ადმინისტრაციასთან გასაუბრების მიხედვით, სკოლის მართვის ერთ-ერთ პრინციპს კანონმდებლობის მოთხოვნების გათვალისწინება, დაცვა და კვალიფიციური კადრის დასაქმება წარმოადგენს. განსაკუთრებული ყურადღება ექცევა სკოლაში ვაკანტურ საგნობრივ საათებზე, მასწავლებლის შერჩევის კანონმდებლობით გათვალისწინებული პროცედურების დაცვას. კადრის შერჩევის პროცედურა ეყრდნობა საკონკურსო პრინციპებს, რისთვისაც სკოლის დირექტორი გამოსცემს ბრძანებას საკონკურსო კომისიის შექმნის, საკვალიფიკაციო მოთხოვნების, საკონკურსო ვადებისა და ეტაპების განსაზღვრის შესახებ. მასწავლებლის შერჩევის პროცედურები და საკვალიფიკაციო მოთხოვნები შეესაბამება მასწავლებლის საქმიანობის დაწყებისა და შეწყვეტის წესს. სკოლა საკონკურსო განცხადებების გამოსაქვეყნებლად იყენებს ვებ გვერდს https://teacherjobs.ge/. მასწავლებელთა პირადი საქმეების გადამოწმების მიხედვით, მასწავლებლებს აქვთ ცნობები 1) ნასამართლეობის, 2) სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის და 3) უფლების ჩამორთმევის შესახებ. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

4. გადამოწმებული პირადი საქმეების მიხედვით, პერსონალს გააჩნია ფუნქციის შესაბამისი კვალიფიკაცია ან სამუშაო გამოცდილება. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

5. სკოლის შინაგანაწესის, დასაქმებულებთან გაფორმებელი ხელშეკრულებების, დირექტორის მიერ გამოცემული ბრძანებების შინარსებისა და სკოლის პერსონალთან გასაუბრების მიხედვით, დაწესებულებაში შექმნილია თანამონაწილეობითი სამუშაო კულტურა. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

6. სკოლის შინაგანაწესის, დასაქმებულებთან გაფორმებელი ხელშეკრულებების და სკოლის პერსონალთან გასაუბრების მიხედვით დაწესებულებაში ხელი ეწყობა გამოცდილების გაზიარებას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის შინაგანაწესი;
- სასკოლო სასწავლო გეგმა;
- საკონკურსო კომისიის შექმნის ბრძანება;
- საკონკურსო კომისიის ოქმი;
- მასწავლებელთა პირადი საქმეები;
- ბუღლეტრის გადამზადების გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი;
- ვებ. გვერდი https://teacherjobs.ge/;
- გაცდენილი გაკვეთილების რეგისტრაციის ჟურნალი.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.2. პერსონალის განვითარება

3.2.1. ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა ორიენტირებულია პერსონალის განვითარებაზე

1. სკოლა აქვს პერსონალის შეფასებასა და პროფესიული განვითარების საჭიროებათა დადგენის მექანიზმები;
2. პერსონალის განვითარება ხორციელდება გამოვლენილი საჭიროებების საფუძველზე შემუშავებული გეგმის შესაბამისად;
3. სკოლა ხელს უწყობს პერსონალის კარიერულ ზრდას;
4. სკოლა უზრუნველყოფს თანამშრომლების ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან;
5. წახალისებულია პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. წარმოდგენილი ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის კითხვარის მიხედვით, დასაქმებულთა პირადი საქმეებისა და მათთან გასაუბრების მიხედვით, სკოლისთვის მნიშვნელოვანია პერსონალის პროფესიული განვითარების ხელშეწყობა. წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით შემუშავებულია სკოლის პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემაში ჩართულ მასწავლებელთა ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის დებულება. შექმნილია შესაბამისი ჯგუფი, რომლის ერთ-ერთ ფუნქციასაც წარმოადგენს სკოლაში დასაქმებულ მასწავლებელთა პროფესიული საჭიროებების დადგენა. გარდა ამისა, დასაქმებულებთან გაფორმებული ხელშეკრულებების შინაარსი მოიცავს, დასაქმებულთა თვითზრუნვას პროფესიულ საჭიროებაზე, ხოლო სკოლა აღნიშნულის ხელშეწყობაზე. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2. ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფი სასწავლო წლის განმავლობაში ცდილობს ხელი შეუწყოს მასწავლებელთა პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემით განსაზღვრულ ვალდებულებას და მასწავლებლებს მათი სტატუსის მიხედვით დაესწროს შესაბამისი რაოდენობის გაკვეთილებზე. დაადგინოს საჭიროება და საჭიროების გადაჭრის გზა/გზები. მასწავლებლები ერთმანეთს უზიარებენ სხვადასხვა სასწავლო აქტივობების მაგალითებს, შესაძლებლობის მიხედვით ესწრებიან საგნობრივი ქოუჩების სამუშაო შეხვედრებს. მასწავლებლების განმარტებით, სკოლის ადმინისტრაცია მაქსიმალურად უჭერს მხარს, მათ ჩართულობას პროფესიული განვითარების აქტივობებში. აღნიშნულის მაგალითად, საგაკვეთილო ცხრილში გაკვეთილების გადანაცვლება და სხვადასხვასხვა დამხმარე აქტივობას ასახელებს. მასწავლებელთა პირად საქმეებში ვხვდებით, სხვადასხვა წლებში გაცემულ პროფესიული განვითარების აქტივობებში მონაწილეობის დამადასტურებელ სერტიფიკატებს. 2022 წელს სკოლის ხარჯებით, სკოლის ბუღალტერმა გაიარა პროფესიული განვითარების ხელშემწყობი ტრენინგი. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

3. სასკოლო სასწავლო გეგმის პროექტით განსაზღვრული საათობრივი ბადის დასაკმაყოფილებლად, სკოლაში დასაქმებულია 13 უფროსი, 5 წამყვანი და 1 სპეციალური მასწავლებელი. მასწავლებლებთან გაფორმებულია, მათი განსხვავებული ფუნქცია-მოვალეობების შესაბამისი ხელშეკრულებები. საგნობრივი კათედრების მუშაობის აღწერის მიხევდით, კათედრის ხელმძღვანელობის შესაძლებლობა ეძლევა კათედრაში გაერთიანებული საგნის/საგნების თითოეულ მასწავლებელს. სკოლა მზადყოფნას გამოთქვამს მასწავლებლის შემდეგი სტატუსის მოსაპოვებლად, მაქსიმალურად შეუწყოს ხელი სტატუსის მოპოვებით დაინტერესებულ მასწავლებელს. 2023-2030 წლების სტრატეგიული გაგმის პროექტისა და 2022-2023 სასწავლო წლის სამოქმედო გეგმის ერთ-ერთ მიზანს, მასწავლებელთა პროფესიულ განვითარებაზე ზრუნვა წარმოადგენს. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

4. სკოლის ადმინისტრაციისა და პედაგოგიური კოლექტივის განმარტებით, მათი გუნდის ერთ-ერთი ძლიერი მხარე ახალ თანამშრომელთან ეფექტური კომუნიკაცია და მასზე ზრუნვის მრავალწლიანი გამოცდილებაა, რასაც ხელს სკოლის

მცირეკონტიგენტიანობაც უწყობს. სკოლაში დასაქმებულია სხვადასხვა ასაკის მასწავლებელი და უმეტესობა მათგანი, სკოლაში მუშაობის პირველ დღეებს პოზიტიურად იხსენებს. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

5. სკოლა მხარს უჭერს განვითარებასთან დაკავშირებულ მასწავლებლების შემოთავაზებულ ინიციატივებს, როგორც სკოლის შიგნით გასახორციელებელი აქტივობებში, ასევე სკოლის გარეთ. აღნიშნული განპირობებულია სკოლის შინაგანაწესსა და დასაქმებულებთან გაფორმებული ხელშეკრულებების შინაარსებით. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- მასწავლებელთა პირადი საქმეები;
- სკოლის შინაგანაწესი;
- პერსონალთან გაფორმებული ხელშეკრულებები;
- განათლების მართვის საინფორმაციო ბაზის მონაცემები;
- გაკვეთილებზე დასწრების ფორმა;

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.3. პროცესის მართვა

3.3.1. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვის პოლიტიკა და პროცედურები ხორციელდება სკოლის მიერ გაცხადებული მისიისა და მიზნების შესაბამისად

1. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვა ეფუძნება პროცესულ მიდგომას და ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის ციკლის შესაბამისად;
2. იდენტიფიცირებულია და აღწერილია სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები;
3. სკოლაში არსებობს თანამშრომლების, მოსწავლეების/მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მიერ გადაწყვეტილებების გასაჩივრების, ასევე საჩივრების განხილვის სისტემა;
4. სკოლაში მოქმედებს პერსონალის და მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის მექანიზმები.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტები მაგ.: სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია, სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმები, სასკოლო სასწავლო გეგმის პროექტი, საგნობრივი კურიკულუმები და სასკოლო საქმიანობის აღმწერი სხვა დოკუმენტების შინაარსების მიხედვით, სკოლის მართვა მიმდინარეობს ხარისხის უზრუნველყოფის ციკლის - დაგეგმვა, განხორციელება, მონიტორინგი და შეფასება, რევიზიის მიხედვით. დოკუმენტთა უმეტესობაში გაწერილია ციკლის შემადგენელი კომპონენტების შესაბამისი აქტივობები. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2. შინაგანაწესის, სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმები, სასკოლო სასწავლო გეგმის პროექტი, საგნობრივი კურიკულუმები და სასკოლო საქმიანობის აღმწერი სხვა დოკუმენტების შინაარსების მიხედვით, უმეტეს შემთხვევაში განსაზღვრულია ვის მიერ, რა ნაბიჯების გადადგმით ხორციელდება ესა თუ ის პროცესი. სკოლაში ვიზიტმა ცხადყო, რომ დასაქმებულმა პირებმა იციან რა, როდის უნდა გააკეთონ და რაზე აკისრიათ კონკრეტული პასუხისმგებლობა. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

3. სკოლის შინაგანაწესი მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად განსაზღვრავს გასაჩივრებისა და რეაგირების პასუხის გაცემის პროცედურებს. სკოლაში შექმნილია დისციპლინური კომიტეტი. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

4. სკოლის შინაგანაწესით, დასაქმებულებსა და მოსწავლეების მშობლებთან/კანონიერ წარმომადგენლებთან გაფორმებული ხელშეკრულებების შინაარსით ხელი ეწყობა სასკოლო საზოგადოების უფლებების შესახებ ინფორმაციის გაზიარებასა და უფლებების დაცვას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სასკოლო სასწავლო გეგმა;
- პერსონალთან გაფორმებული ხელშეკრულებების ნიმუშები;
- მოსწავალეების მშობლებთან/კანონიერ წარომადგენლებთან გაფორმებული ხელშეკრულების ნიმუშები;
- სკოლის შინაგანაწესი;
- სტრუქტურული ერთეულების სხდომების ოქმები;
- სკოლის დირექტორის ბრძანებები;
- განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის ბაზის მონაცემები.

3.3.2. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვაში უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების ჩართულობა

1. სკოლას აქვს მართვის პროცესებთან დაკავშირებით სასკოლო საზოგადოების ინფორმირების, უკუკავშირის მიღების და მასზე რეაგირების მექანიზმები;
2. უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების წევრების სასკოლო ცხოვრებაში/მართვის კოლეგიალურ ორგანოებში ჩართულობა.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის შინაგანაწესის, მასწავლებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებებისა და სასკოლო სასწავლო გეგმის პროექტში აღწერილი დამრიგებლის ფუნქცია-მოვალეობების შინაარსის მიხედვით, სკოლა ხელს უწყობს სასკოლო საზოგადოების წევრების ინფორმირებას სკოლაში მიმდინარე პროცესებთან დაკავშირებით, მათი მოსაზრებების მოსმენა/განხილვასა და საჭიროების შემთხვევაში რეაგირების აქტივოების დაგეგმვას. აღნიშნულისათვის იმართება კლასის მოსწავლეების მშობლებთან გაფართოებული კრებები (ზოგად საკითხებთან დაკავშირებით), კლასის მოსწავლების მშობლებთან ინდივიდუალური შეხვედრები (მოსწავლის ინდივიდუალური დახასიათებისა და საჭიროების გასაცნობად) რა დროსაც ხდება ინფორმაციის გაზიარება და მოსაზრებების გაცვლა-განხილვა. შესაბამისი ინფორმაციის მიწოდება სკოლის ადმინისტრაციისათვის შესაბამისი პრევენციების დაგეგმვა. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
2. სასკოლო ცხოვრებაში სასკოლო საზოგადოების ჩართულობა სხვადასხვა ფორმით გამოიხატება, რასაც განაპირობებს სტრუქტურულ ერთეულთა ფუნქციების შინაარსი. მაგ.: სკოლაში მოქმედ სამეურვე საბჭოსა და დისციპლინური კომიტეტს შეადგენენ სკოლის მასწავლებლები, მშობლები და მოსწავლეები. აღნიშნულ სტრუქტურულ ერთეულებში მათი ეფექტური

მუშაობისთვის, სკოლა იცავს კანონმდებლობით განსაზღვრულ მოთხოვნებს. მასწავლებლებს საკუთარი მოსაზრებების დაფიქსირების საშუალება ეძლევათ, როგორც სამეურვეო საბჭოში, ასევე პედაგოგიურ საბჭოსა და საგნობრივ კათედრებზე. მოსწავლეებს მოსწავლეთა თვითმმართველობაში, ხოლო მშობლებს სამეურვე საბჭოში და კლასის მშობელთა კრებებზე. სკოლის პერსონალი, ვიზიტის პერიოდში ასახელებდა სხვადასხვა მაგალითს სასწავლო პროცესის ხელშემწყობ აქტივობებში მოსწავლეების მშობლებისა თუ კოლეგების ჩართულობის, მათი მოსაზრებების ადმინისტრაციის წევრების მიერ გათვალისწინების შესახებ. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- პერსონალთან გაფორმებული ხელშეკრულებების ნიმუშები;
- მოსწვალეების მშობლებთან/კანონიერ წარომადგენლებთან გაფორმებული ხელშეკრულების ნიმუშები;
- სკოლის შინაგანაწესი;
- სტრუქტურული ერთეულების სხდომების ოქმები;
- სკოლის დირექტორის ბრძანებები;

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.4. ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება

3.4.1. სკოლაში დაცულია ადამიანების უსაფრთხოება და უზრუნველყოფილია ბიზნეს პროცესების უწყვეტობა

1. სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, მათ შორის საგანგებო სიტუაციებში რეაგირებას და პირველადი დახმარების აღმოჩენას;
2. სკოლა უზრუნველყოფს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას;
3. სკოლა უზრუნველყოფს ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს;

4. სკოლა უზრუნველყოფს სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვას;
5. სკოლა უზრუნველყოფს პერსონალური მონაცემების დაცვას;
6. სკოლას გააჩნია მის ხელთ არსებული ინფორმაციის დაცვის მექანიზმები;
7. სკოლა ახორციელებს ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების ფუნქციონირების პერიოდულ შეფასებას და შეფასების შედეგებს იყენებს აღნიშნული მექანიზმების გაუმჯობესებისთვის.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლაში სწავლა-სწვალების პროცესი ორ ცვლაში მიმდინარეობს. განსაკუთრებული ყურადღება ექცევა დასაქმებულთა და მოსწავლეთა ფიზიკურ უსაფრთხოებას. ფუნქციონირებს ვიდეო-სამეთვალყურეო სისტემა, მოქმედებს რეფერირება და დირექტორის ბრძანებით განსაზღვრულია სახანძრო უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი, უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვაზე უფლებამოსილი პირები და შემუშავებულია მასწავლებელთა მორიგეობის განრიგი.. სკოლაში ორივე სართულზე გამოკრულია ევაკუაციის გეგმა დამონტაჟებულია ცეცხლმაქრობები. შემუშავებულია საგანგებო სიტუაციებზე რეაგირების გეგმა, სკოლას ჰყავს ექთანი, რომელიც უზრუნველყოფს პირველადი სამედიცინო დახმარების აღმოჩენას. შენობა ახალი აშენებეულია, რომელშიც სასწავლო პროცესი 2021 წლიდან მიმდინარეობს. სკოლას ავტორიზაციის ექსპერტთა ვიზიტისას ჰქონდა დასკვნა შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ და არ ჰქონდა დასკვნა შენობის სახანძრო უსაფრთოების შესახებ. სკოლის ადმინისტრაციამ წარმოადგინა, შინაგან საქმეთა სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საგანგებო სიტუაციების მართვის სააგენტოსადმი 2023 წლის 22 ივნისს მიწერილი წერილი შენობა-ნაგებობის სახანძრო უსაფრთხოებასთან დაკავშირებით. დაწესებულებამ სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში წარმოადგინა 2023 წლის 24 ოქტომბრის წერილი, რომელზეც თანდართულია შესაბამისობის გეგმა და შინაგან საქმეთა სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საგანგებო სიტუაციების მართვის სააგენტოსადმი 2023 წლის 22 ივნისს მიწერილი წერილი, რომლის მიხედვითაც „ ... სსიპ ზურაბ ბეგიაშვილის სახელობის გარდაბნის მუნიციპალიტეტის სოფელ კუმისის საჯარო სკოლა მოგმართავთ თხოვნით, თქვენი სამსახურის მიერ მოხდეს აღნიშნული სკოლის შენობის შესწავლა და მოგვცეთ დასკვნა შენობის სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ. შეუსაბამობის შემთხვევაში კი გასცეთ რეკომენდაცია სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნების აღმოფხვრის შესახებ. ...“. ასევე, შინაგან საქმეთა სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირის - სახელმწიფო რეზერვებისა და სამოქალაქო უსაფრთხოების სერვისების სააგენტოს 2023 წლის 21 სექტემბრის წერილი, რომლის მიხედვითაც სააგენტო

სსიპ ზურაბ ბეგიაშილის სახელობის გარდაბნის მუნიციპალიტეტის სოფელ კუმისის საჯარო სკოლას აცნობებს შემდეგს „ ... მიმდინარე წლის 22 აგვისტოს N2444570 განცხადების საფუძველზე, 2023 წლის 11 სექტემბრს ჩატარდა გარდაბნის მუნიციპალიტეტში სოფელ კუმისში (ს/კ 81. 24. 03. 000.168) მდებარე სსიპ გარდაბნის მუნიციპალიტეტის სოფელ კუმისის საჯარო სკოლის (ს/ნ 226526293) საკუთრებაში არსებული შენობა ნაგებობის, ხანძარსაწინააღმდეგო მდგომარეობის შესაბამისობის დადგენა სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნების მარეგულირებელ ნორმებთან. 2023 წლის 18 სექტემბრის სახანძრო-ტექნიკური შემოწმების (გამოკვლევის) N 245 აქტის შესაბამისად დადგინდა, რომ გარდაბნის მუნიციპალიტეტის სოფელ კუმისში (ს/კ 81. 24. 03. 000.168) მდებარე სსიპ გარდაბნის მუნიციპალიტეტის სოფელ კუმისის საჯარო სკოლის (ს/ნ 226526293)“ შენობის ხანძარსაწინააღმდეგო მდგომარეობა არ შეესაბამება სახანძრო უსაფთხოების მოთხოვნების მარეგულირებელ ნორმებს გარდა მიწერილი. ...“. შესაბამისობის გეგმას ასევე ერთვის სახანძრო უსაფრთხოების ზედამხედველობის სახანძრო-ტექნიკური შემოწმების და გამოკვლევის 2023 წლის 18 სექტემბრის აქტი N245. წარმოდგენილი შესაბამისობის გეგმის მიხევდით, აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებული პროცესი უნდა დასრულდეს 2024 წლის 12 სექტემბერს. **ინდიკატორი მეტწილადაა დაკმაყოფილებული.**

2. სკოლის ტერიტორიაზე საზოგადოებრივი წესრიგის დაცვა ევალება სპეციალურად განსაზღვრულ პირსა და მორიგე მასწავლებლებს. სკოლაში სასწავლო პროცესის მიმდინარეობისას კონტროლდება მასწავლებლების მიერ სკოლაში შემოსული ყველა სუბიექტის მოსვლის მიზეზი, რომელიც ტარდება სპეციალურ ჟურნალში. კლასის დამრიგებლები მათი ფუნქციიდან გამომდინარე, ვალდებულები არიან წესრიგის დარღვევის შემთხვევაში მოახდინოს მასზე რეაგირება. დაწესებულებას აქვს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვისა და პირობების დოკუმენტი. შინაგანაწესში განსაზღვრულია დარღვევის სახეები და შესაბამისი სახდელები. სკოლაში დამონტაჟებულია უსაფრთხოების კამერები, რომლებიც უზრუნველყოფენ სკოლის შიდა და გარე პერიმეტრის კონტროლს. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

3. სკოლის შინაგაწესის, სასკოლო სასწავლო გეგმის პროექტში, სასკოლო საზოგადოების წევრებთან (დასაქმებული და მშობელი/კანონიერი წარმომადგენელი) გაფორმებული ხელშეკრულების შინაარსები ორიენტირებულია სკოლაში ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო გარემოს ჩამოყალიბებაზე. აღნიშნულისთვის შემუშავებულია სხვადასხვა წესი და სასწავლო წლის განმავლობაში ხორციელდება არა ერთი საგანმანათლებლო აქტივობა. მასწვლებლები გასაუბრებისას ხშირად აკეთებენ აქცენტს მათთვის და მოსწავლეებისათვის პოზიტიური საგანმანათლებლო გარემოს მნიშვნელობასა და მისი ჩამოყალიბების ხელშემწყობ მიდგომებზე. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

4. სკოლის შენობის სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვისათვის ჰყავს დამლაგებლები. ვიზიტის პერიოდში შენობის დერეფნები, საკლასო ოთახები, სხვა დამხმარე ოთახები და სველი წერტილები იყო სუფთა. შენობის ყველა სართულზეა

მოწყობილი სველი წერტილი გოგონებისა და ვაჟებისათვის ცალ-ცალკე და თანამშრომლებისთვის. ყველა სველ წერტილს მიეწოდება წყალი და არის ქაღალდი. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

5. სკოლას პერსონალური ინფორმაციის დასაცავად, დირექტორის ბრძანებით განსაზღვრული ჰყავს შესაბამისი პირი. მოსწავლეთა და თანამშრომელთა პირადი საქმეები ინახება დაკეტილ ადგილას, რომელზეც წვდომა აქვს კონკრეტულ პიროვნებას. ასევე კონკრეტული პიროვნებაა პასუხისმგებელი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის მართვაზე. პეროსნალური ინფორმაცია გაიცემა მხოლოდ პირის ნებართვის გაცემის შემთხვევაში. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

6. სკოლის შინაგანაწესსა და დასაქმებულებთან გაფორმებული ხელშეკრულების შინაარსებით ხელი ეწყობა სკოლაში არსებული ინფორმაციის დაცვას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

7. სკოლა ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების ფუნქციონირების გასაუმჯობესებლად, პერიოდულად შეისწავლის და აფასებს არსებულ მდგომარეობას. აღნიშნულის ხელშესაწყობად სკოლაში შექმნილია მრჩეველთა საბჭო, რომლის შემადგენლობაში შედის: დირექტორის მოადგილე, დისციპლინარული საბჭოს თავმჯდომარე, სამეურვეო საბჭოს თავმჯდომარე, სამეურვეო საბჭოს თავმჯდომარე, მოსწავლეთა თვითმმართველობიოს თავმჯდომარე, რესურცენტის წარმომადგენელი. ტარდება მრჩეველთა საბჭოს სხდომები, ამ სხდომაზე განიხილება სკოლის ტერიტორიაზე, სასკოლო დროს უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვასთან დაკავშირებით არსებულ სიტუაციას და შეიმუშავებენ რეკომენდაციებს. ხოლო საწავლო წლის ბოლოს დირექტორი წარადგენს ანგარიშს სკოლის ტერიტორიაზე სასკოლო დროს უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვასთან დაკავშირებით მიღებული რეკომენდაციების შესრულებასთან დაკავშირებით. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ბუნებრივი და ტექნოგენური ხასიათის საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა;
- სკოლის შინაგანაწესი;
- სახანძრო ინვენტარი;
- ექიმთან გაფორმებული ხელშეკრულების ნიმუში;
- ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესისა და პირობების დამკიტების შესახებ, საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის ბრძანების შესაბამისად განსაზღვრულ პირთა დანიშვნის ბრძანებები;
- მოსწავლეების მშობლებთან/კანონიერ წარმომადგენლებთან გაფომრებული ხელშეკრულების ნიმუში;

- სასწავლო-საგანმანათლებლო პროექტების გეგმები;
- პერსონალური მონაცემების დაცვის წესი;
- დასკვნა შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ;
- შინაგან საქმეთა სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საგანგებო სიტუაციების მართვის სააგენტოსადმი 2023 წლის 22 აგვისტოს მიწერილი წერილი;
- საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საგანგებო სიტუაციების მართვის სააგენტოსადმი 2023 წლის 22 ივნისს მიწერილი წერილი;
- საჯარო სამართლის იურიდიული პირის - სახელმწიფო რეზერვებისა და სამოქალაქო უსაფრთხოების სერვისების სააგენტოს 2023 წლის 21 სექტემბრის წერილი;
- სახანძრო უსაფრთხოების ზედამხედველობის სახანძრო-ტექნიკური შემოწმების და გამოკვლევის 2023 წლის 18 სექტემბრის აქტი N245;
- სკოლის მიერ წარმოდგენილი შესაბამისობის გეგმა;
- ვიზუალური დათვალიერება.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☐ შეესაბამება
☒ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.5. მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა

3.5.1. სკოლის მატერიალური რესურსი და ინფრასტრუქტურა გამოიყენება დაწესებულების მისიით განსაზღვრული მიზნების მისაღწევად და შეესაბამება არსებულ და/ან დაგეგმილ მოსწავლეთა რაოდენობას

1. სკოლა უზრუნველყოფს საგანმანთლებლო საქმიანობისთვის შესაბამის ინფრასტრუქტურასა და მატერიალურ რესურსს მინიმუმ ავტორიზაციის ვადითა და დადგენილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;
2. დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების წევრებისთვის;
3. სკოლის ინფრასტრუქტურა ქმნის სწავლის ინკლუზიურ გარემოს;
4. სკოლის ინფრასტრუქტურა ემსახურება სკოლის სოციო-კულტურულ სივრცედ ჩამოყალიბებას;
5. სკოლას გააჩნია კურიკულუმით განსაზღვრული საჭირო რესურსები (მცირეკონტიგენტიანი სკოლა/პროგრამის განხორციელების ადგილი უფლებამოსილია უზრუნველყოს საჭირო რესურსებზე წვდომა);

ამ დოკუმენტის მიზნებისათვის მცირეკონტინგენტიანი სკოლა არის დაწესებულება, რომელსაც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილებით განსაზღვრული მოსწავლეთა ადგილების ზღვრული ოდენობა/მოთხოვნილი ზღვრული ოდენობა კონკრეტულ ლოკაციაზე განესაზღვრება 169 ან ნაკლები მოსწავლით.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სსიპ - ზურაბ ბეგიაშვილის სახელობის გარდაბნის მუნიციპალიტეტის სოფელ კუმისის საჯარო სკოლა ვიზუალური დათვალიერებითა საჯარო რეესტრის ამონაწერის მიხედვით (ს.კ. 81.24.03.000.168) მდებარეობს გარდაბნის მუნიციპალიტეტის სოფელ კუმისში მდებარე 26834.00 კვ.მ. მიწის ნაკვეთსა და მასზე მდგარ 1699.0 კვ.მ.-ის შენობა-ნაგებობაში. შენობა სამსართულიანია, რომელშიც განთავსებულია დაცვის ოთახი, რემედიაციის ოთახი, საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ლაბორატორიები, ბიბლიოთეკა, სპორტული და სააქტო დარბაზი, სველი წერტილები, სამასწავლებლო, სამედიცინო კაბინეტი, კომპიუტერების, საკლასო და ადმინისტრაციული ოთახები. სკოლის ეზო შემოღობილია და მოწყობილია ღია სპორტული მოედანი. შენობა-ნაგებობაში შექმნილია საგანმანათლებლო მიზნების შესაბამისი გარემო. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
2. სკოლის შინაგანაწესის, დასაქმებულებთან, მოსწვალეების მშობლებთან გაფორმებული საგანამანთლებლო მომსახურების ხელშეკრულების, სხვადასხვა სივრცეების (ლაბორატორია, სპორტული დარბაზი და მოედანი, კომპიუტერული ოთახი) გამოყენების განრიგის შინაარსისა და შენობა-ნაგებობის ვიზუალური დათვალიერების მიხედვით სასკოლო საზოგადეობის წევრებს ეძლევათ საშუალება საგანმანათლებლო მიზნებისთვის გამოიყენონ დაწესებულების ინფრასტრუქტურა. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
3. სკოლის შინაგანაწესის, დასაქმებულებთან, მოსწავლეების მშობლებთან გაფორმებული საგანამანთლებლო მომსახურების ხელშეკრულების შინაარსისა და შენობა-ნაგებობის ვიზუალური დათვალიერების მიხედვით ხელი შეეწყობა სწავლების

ინკლუზიური გარემოს ჩამოყალიბებას. სკოლას აქვს შშმ პირების კიბეებზე გადაადგილების ხელშემწყობი ლიფტი და ადაპტირებული სველი წერტილები. სსსმ მოსწავლეებისათვის გამოყოფილია 1 რესურსოთახი. ადმინისტრაციული ოთახები, სამასწავლებლო და ბიბლიოთეკა. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

4. სკოლის შინაგანაწესით, სასკოლო სასწავლო გეგმის პროექტითა და სკოლის შენობა-ნაგებობაში მატერიალური რესურსის გამოყენების განრიგებით ხელი ეწყობა სპორტული დარბაზების, ბიბლიოთეკის, კომპიუტერული ოთახისა თუ სკოლის სხვა საერთო სივრცეების სოციო-კულტურულ სივრცეებად გარდაქმნას. წარმოდგენილი დოკუმენტაციით, ფოტო მასალითა და ჩატარებული გასაუბრებით დგინდება, რომ აღნიშნულ სივრცეებში აქტიურად შეიძლება ჩატარდეს სპორტული და შემეცნებითი საგანმანათლებლო აქტივობები, რომელშიც ჩართულები იქნებიან სკოლის მასწავლებლები, მოსწავლეები, მოსწავლეების მშობლები და მოწვეული სტუმრები. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

5. სასკოლო სასწავლო გეგმის პროექტითა და საგნობრივი კურიკულუმებით განსაზღვრული საგანმანათლებლო მიზნების მისაღწევად სკოლის ბიბლიოთეკაში განთავსებულია გრიფირებული სახელმძღვანელოები და მხატვრული ლიტერატურა, რომელიც აღრიცხული და დამუშავებულია სკოლის საბიბლიოთეკო წესის შესაბამისად. ბიბლიოთეკაში დაცული ბეჭდური ფორმულარების მიხედვით, შეგვიძლია დავადგინოთ, რომ ბიბლიოთეკის რესურსით სარგებლობენ მოსწავალეები და სკოლის თანამშრომლები. სამასწავლებლოსა და სკოლის სხვადასხვა ოთახებში ვხვდებით საგანმანათლებლო რესურსებსა და თვალსაჩინოებებს. ლაბორატორიული ინვენტარი და კომპიტერული ტექნოლოგიები ემსახურება საგანმანათლებლო მიზნების მიღწევას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ამონაწერი საჯარო რეესტრიდან;
- ინვენტარიზაციის დოკუმენტი;
- დირექტორის მიერ მომზადებული ანგარიშები;
- რესურსების შესყიდვის დაოკუმენტაცია;
- ციფრული განვითარების გეგმა;
- მატერიალური რესურსების განკარგვის წესი;
- საგნობრივი კურიკულუმები;
- ვიზუალური დათვალიერება.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.6. საინფორმაციო რესურსები

3.6.1. სკოლის ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელს უწყობს მისი ძირითადი საქმიანობის განხორციელებას

1. ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა უზრუნველყოფს ადმინისტრაციული და სასწავლო პროცესის სრულფასოვან წარმართვას;
2. ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელმისაწვდომია მოსწავლეებისა და პერსონალისათვის სკოლის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის შინაგანაწესისა და დასაქმებულებთან გაფორმებული ხელშეკრულებების მიხედვით, სასკოლო საზოგადოების წევრებს საშუალება ეძლევათ გამოიყენონ სკოლის კომპიუტერულ და ადმინისტრაციულ ოთახებში განთავსებული ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნიკა. სკოლას აქვს პროექტორი, მრავალფუნქციური პრინტერი, 16 პერსონალური კომპიუტერი. შენობაში დამონტაჟებულია უკაბელო ინტერნეტის ოთხი მოდემი. სკოლას მიეწოდება ინტერნეტი. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
2. წარმოდგენილი დოკუმენტაცია, ვიზუალური დათვალიერება და სკოლის პერსონალთან გასაუბრება ადასტურებს აღნიშნული სივრცეების გამოყენების შესაძლებლობას. კერძოდ, მასწავლებლების განმარტებით სასკოლო დოკუმენტაციის წარმოებისთვის, სკოლის კომიუტერების ოთახს. საჭიროების შემთვევაში კი ტექნიკური ხარვეზის წარმოქმნისას მათ აქტიურად ეხმარებათ სკოლის ადმინისტრაციული პერსონალი. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ციფრული განვითარების გეგმა;
- ინვენტარიზაციის დოკუმენტი;
- საგნობრივი კურიკულულმები;

3.6.2 სკოლაში საქმისწარმოება მიმდინარეობს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად

1. სკოლაში მოქმედებს კანონმდებლობის შესაბამისი საქმისწარმოების წესი;
2. სკოლის მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები, მათ შორის დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემა;
3. სკოლას აქვს სრულყოფილი პროფილი ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში;
4. სკოლა დროულად აწვდის ანგარიშებს, უკუკავშირსა და ინფორმაციას საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელ უწყებებს და თანამშრომლობს მათთან.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. შემუშავებულია საქმის წარმოების წესი. სკოლას ჰყავს საქმეთა მმართველის პოზიციაზე დასაქმებული პირი. საქმისწარმოება მიმდინარეობს კანონმდებლობის შესაბამისად, რისთვისაც სკოლაში შიდა დოკუმენტაციის აღრიცხვის მიზნით იწარმოება საკადრო და საერთო ბრძანებების სარეგისტრაციო ჟურნალები. საკადრო ჟურნალში ტარდება დასაქმებულთან დაკავშირებული გადაწყვეტილებები, რომლებიც ფორმდება დირექტორის ბრძანებით, ხოლო საერთო ბრძანებებში აღირიცხება მოსწავლეთა მოძრაობა (ჩარიცხვა-ამორიცხვა, მობილობა და სხვა სახის გადაწყვეტილებები). სკოლაში ასევე წარმოებს შრომითი ხელშეკრულებების რეგისტრაციის ჟურნალი. ჟურნალები აკინძულია, ზონარგაყრილია, დანომრილია, დალუქულია და დამოწმებულია სკოლის ბეჭდითა და დირექტორის ხელმოწერით. სკოლაში ინახება დასაქმებულთა და მოსწავლეთა პირადი საქმეები კანონმდებლობით დადგენილი ვადით. მასწავლებელთა სტატუსის ცვლილებისას ან ხელშეკრულების ვადის გასვლის შემთხვევაში იდება ახალი ხელშეკრულება, ხოლო სხვა სახის ცვლილებისას კეთდება შეთანხმება, რომელიც ებმება ხელშეკრულებას. მოსწავლეთა პირადი საქმეები მატერიალურად ივსება პირველ კლასში. მასში განთავსებულია მოსწავლეთა პირადი ინფორმაცია და აკადემიური მოსწრება. მობილობის შემთხვევაში პირადი საქმე ფოსტით ეგზავნება შესაბამის სკოლას.

სკოლაში იწარმოება ბუღალტრული დოკუმენტაცია, რომელიც კანონმდებლობით დადგენილი წესით აკინძულია და ინახება. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2. სკოლის მართვის პროცესში ინფორმირებისა და სხვადასხვა სახის კომუნიკაციისათვის გამოიყენება სოციალური ქსელები, ელექტრონული ფოსტები, მართვის საინფორმაციო სისტემები, teams-ის პორტალი, ელექტრონული ჟურნალი, ხოლო შემოსული და გასული დოკუმენტაციის, სკოლის დირექტორის ბრძანებების რეგისტრაციისათვის ელექტრონული დოკუმენტბრუნვის სისტემა (e-flow). **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

3. განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის ბაზაში - eschool - სკოლისათვის გამოყოფილი ყველა სივრცე შევსებულია შესაბამისი ინფორმაციით. ინფორმაციის განთავსება ხდება დადგენილი წესითა და ვადებით. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

4. e-flow-ს, eschool-ის, სკოლის ელექტრონული ფოსტის, გასული და შემოსული დოკუმენტაციის შესწავლით მიღებული ინფორმაციის მიხედვით, სკოლა თანამშრომლობს საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელ უწყებებთან და დროულად, დადგენილ ვადაში აწვდის შესაბამის ინფორმაციას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- საქმის წარმოების წესი;
- სკოლის დირექტორის ანგარიშები;
- სკოლის მართვის საინფორმაციო სისტემის პროფილი Eschool, e-flow.
- ელექტრონული ჟურნალი;
- საერთო და საკადრო ბრძანებების რეგისტრაციის ჟურნალი;
- შემოსული და გასული დოკუმენტაციის რეგისტრაციის ჟურნალები;
- შრომითი ხელშეკრულების რეგისტრაციის ჟურნალი;
- ვიზუალური დათვალიერება.

3.6.3. სკოლა მიზნობრივად წარმართავს საზოგადოებასთან ურთიერთობას

1. სკოლა ახორციელებს საზოგადოების ინფორმირებას და კომუნიკაციას ოფიციალური ვებ გვერდისა/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდისა და სხვა საკომუნიკაციო არხების საშუალებით;
2. სკოლა უზრუნველყოფს მისი საქმიანობის, მათ შორის მის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას;

3. საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხით მიღებულ უკუკავშირს სკოლა იყენებს საკუთარი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად;
4. სკოლას აქვს მოქმედი ვებ გვერდი/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდი, რომელზეც განთავსებულია ინფორმაცია ქართულ ენაზე, ასევე იმ ენაზე, რომელზეც ახორციელებს სწავლებას;
5. ვებ გვერდი/ვებ გვერდის შესაბამისი გვერდი შეიცავს შემდეგ ინფორმაციას სკოლის შესახებ: მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა, პროგრამ(ებ)ის სახელწოდებები, ამ პროგრამებზე ჩარიცხვის პროცედურები და მისანიჭებელი კვალიფიკაცია (განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი), სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნები, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები, გასაჩივრების მექანიზმები, ფინანსური მდგრადობის შესახებ ანგარიში, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები და საკონტაქტო ინფორმაცია.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. მიუხედავად იმისა რომ სკოლას არ აქვს ოფიციალური ვებ გვერდი, სასკოლო საზოგადოების წევრების ინფორმირებისათვის აქტიურად გამოიყენება სატელეფონო კავშირი, სკოლის შენობაში განთავსებული საინფორმაციო დაფა, სოციალურ ქსელების დახურული ჯგუფები, ე.წ. ჩათები და ელექტრონულ ჟურნალი (მოსწავლის აკადემიური მოსწრებისა განმავითარებელ კომენტარებისთვის). დაწესებულებამ სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში წარმოადგინა 2023 წლის 24 ოქტომბრის წერილი, რომელზეც თანდართულია შესაბამისობის გეგმა, რომლის მიხედვითაც შექმნილია სკოლის ვებ გვერდი https://skolebi.emis.ge/schools/2022?schoolName=%E1%83%A1%E1%83%A1%E1%83%98%E1%83%9E%20-%20%E1%83%96%E1%83%A3%E1%83%A0%E1%83%90%E1%83%91%20%E1%83%91%E1%83%94%E1%83%92%E1%83%98%E1%83%90%E1%83%A8%E1%83%95%E1%83%98%E1%83%9A%E1%83%98%E1%83%A1%20%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%AE%E1%83%94%E1%83%9A%E1%83%9D%E1%83%91%E1%83%98%E1%83%A1%20%E1%83%92%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%93%E1%83%90%E1%83%91%E1%83%9C%E1%83%98%E1%83%A1%20%E1%83%9B%E1%83%A3%E1%83%9C%E1%83%98%E1%83%AA%E1%83%98%E1%83%9E%E1%83%90%E1%83%9A%E1%83%98%E1%83%A2%E1%83%94%E1%83%A2%E1%83%98%E1%83%A1%20%E1%83%A1%E1%83%9D%E1%83%A4%E1%83%94%E1%83%9A%20%E1%83%99%E1%83%A3%E1%83%9B%E1%83%98%E1%83%A1%E1%83%98%E1%83%A1%20%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%AF%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%9D%20%E1%83%A1%E1%83%99%E1%83%9D%E1%83%9A%E1%83%90 **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2. მშობელთა საერთო და ინდივიდუალურ კრებებზე ან ინდივიდუალური შეხვედრებისას სკოლის ადმინსიტრაცია და საგნის/საგნების მასწავლებლები, მოსწავლეების მშობლებლებსა თუ დაინტერსებულ პირებს აცნობენ სასწავლო პროგრამის

მახასიათებლებს. სასწავლო პროგრამის ფარგლებში განხორციელებული აქტივობების შესახებ საინფორმაციო ტექსტები, შინაარსის გადამოწმების შემდეგ იდება სოციალურ ქსელის სკოლის გვერდზე. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

3. სკოლის მიერ სოციალურ ქსელში გაზიარებულ ინფორმაციებზე არსებულ უკუკავშირს ადმინისტრაცია და მასწავლებლები იყენებენ სასწავლო პროცესის გასაუმჯობესებლად. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

4. დაწესებულებამ სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში წარმოადგინა 2023 წლის 24 ოქტომბრის წერილი, რომელზეც თანდართულია შესაბამისობის გეგმა. აღნიშნული დოკუმენტისა და ვიზუალური დათვალიერების მიხედვით დაწესებულებას აქვს ქართულენოვანი ვებ გვერდი. ვებ გვერდის მისამართია https://skolebi.emis.ge/schools/2022?schoolName=%E1%83%A1%E1%83%A1%E1%83%98%E1%83%9E%20-%20%E1%83%96%E1%83%A3%E1%83%A0%E1%83%90%E1%83%91%20%E1%83%91%E1%83%94%E1%83%92%E1%83%98%E1%83%90%E1%83%A8%E1%83%95%E1%83%98%E1%83%9A%E1%83%98%E1%83%A1%20%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%AE%E1%83%94%E1%83%9A%E1%83%9D%E1%83%91%E1%83%98%E1%83%A1%20%E1%83%92%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%93%E1%83%90%E1%83%91%E1%83%9C%E1%83%98%E1%83%A1%20%E1%83%9B%E1%83%A3%E1%83%9C%E1%83%98%E1%83%AA%E1%83%98%E1%83%9E%E1%83%90%E1%83%9A%E1%83%98%E1%83%A2%E1%83%94%E1%83%A2%E1%83%98%E1%83%A1%20%E1%83%A1%E1%83%9D%E1%83%A4%E1%83%94%E1%83%9A%20%E1%83%99%E1%83%A3%E1%83%9B%E1%83%98%E1%83%A1%E1%83%98%E1%83%A1%20%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%AF%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%9D%20%E1%83%A1%E1%83%99%E1%83%9D%E1%83%9A%E1%83%90 **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

5. სკოლის ვებ გვერდზე განთავსებულია: მისია, ხედვა, ღირებულებები და საკონტაქტო ინფორმაცია. სკოლის ვებ გვერდზე არ არის სტრუქტურა, პროგრამ(ებ)ის სახელწოდებები, ამ პროგრამებზე ჩარიცხვის პროცედურები და მისანიჭებელი კვალიფიკაცია (განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი), სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნები, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები, გასაჩივრების მექანიზმები, ფინანსური მდგრადობის შესახებ ანგარიში, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები და საკონტაქტო ინფორმაცია. დაწესებულებამ სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში წარმოადგინა 2023 წლის 24 ოქტომბრის წერილი, რომელზეც თანდართულია შესაბამისობის გეგმა. აღნიშნული დოკუმენტის მიხედვით ვებ გვერდზე მუშაობა და ინფორმაციის განთავსება უნდა დასრულდეს 2024 წლის 30 იანვარს. **ინდიკატორი მეტწილადაა დაკმაყოფილებული.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის შენობის საინფორმაციო დაფა;

- სოციალურ ქსელში სკოლის გვერდი;
- სკოლის შესაბამისობის გეგმა;
- სკოლის ვებ გვერდი https://skolebi.emis.ge/schools/2022?schoolName=%E1%83%A1%E1%83%A1%E1%83%98%E1%83%9E%20-%20%E1%83%96%E1%83%A3%E1%83%A0%E1%83%90%E1%83%91%20%E1%83%91%E1%83%94%E1%83%92%E1%83%98%E1%83%90%E1%83%A8%E1%83%95%E1%83%98%E1%83%9A%E1%83%98%E1%83%A1%20%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%AE%E1%83%94%E1%83%9A%E1%83%9D%E1%83%91%E1%83%98%E1%83%A1%20%E1%83%92%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%93%E1%83%90%E1%83%91%E1%83%9C%E1%83%98%E1%83%A1%20%E1%83%9B%E1%83%A3%E1%83%9C%E1%83%98%E1%83%AA%E1%83%98%E1%83%9E%E1%83%90%E1%83%9A%E1%83%98%E1%83%A2%E1%83%94%E1%83%A2%E1%83%98%E1%83%A1%20%E1%83%A1%E1%83%9D%E1%83%A4%E1%83%94%E1%83%9A%20%E1%83%99%E1%83%A3%E1%83%9B%E1%83%98%E1%83%A1%E1%83%98%E1%83%A1%20%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%AF%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%9D%20%E1%83%A1%E1%83%99%E1%83%9D%E1%83%9A%E1%83%90

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☐ შეესაბამება
☒ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.7. ფინანსური რესურსები

3.7.1. სკოლა ფინანსურად მდგრადია

1. სკოლის ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია სამოქმედო გეგმის განხორციელება;

2. სკოლას აქვს ფინასური რესურსების მართვის (დაგეგმვის, განკარგვის, მონიტორინგის და ა.შ.) სისტემა.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:
1. სკოლას აქვს ბიუჯეტი, რომლის ცალკეული კომპონენტებში გათვლილი ფინანსური რესურსი უზრუნველყოფს ერთწლიანი სამოქმედო გეგმითა და სასკოლო სასწავლო გეგმის პროექტით განსაზღვრული მიზნების მიღწევას. კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვით ხდება სწავლა-სწავლების პროცესის ხელშემწყობი მატერიალური რესურსისა და სხვა დამხმარე საშუალებების შეძენა. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
2. სკოლის ბიუჯეტს დირექტორის წარდგინებით ამტკიცებს სკოლის სამეურვეო საბჭო. დამტკიცებული ბიუჯეტის მიხედვით სკოლის დირექტორი უზრუნველყოფს ფინანსურ მართვას. ყოველი წლის ბოლოს დირექტორი სამეურვეო საბჭოს წარუდგენს ბიუჯეტის ხარჯვის ანგარიშს. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სამეურვეო საბჭოს სხდომის ოქმი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ;
- სკოლის ბიუჯეტი;
- შესყიდვების გეგმა;
- სკოლის დირექტორის 10 დეკემბრის ანგარიში.

შეფასება:
- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

4. მოსწავლეთა მხარდაჭერა

4.1 მოსწავლეთა უფლებების დაცვა

4.1.1. მოსწავლეთა უფლებები და კანონიერი ინტერესები დაცულია

1. სკოლის შიდა რეგულაციებით ხორციელდება მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვისა და გარანტიების უზრუნველყოფა;
2. მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვის სასკოლო რეგულაციები გამჭვირვალეა და გაზიარებულია სასკოლო საზოგადოებასთან;
3. მოსწავლესთან/მის კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებულია კანონმდებლობის შესაბამისი გამჭვირვალე და მკაფიო ხელშეკრულება.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის შინაგანაწესსა და მოსწავლის მშობელთან/კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებული ხელშეკრულებაში გაწერილია მოსწავლეთა უფლება-მოვალეობები. სასკოლო სასწავლო გეგმის პროექტის შემადგენელ სადამრიგებლო პროგრამაში განსაზღვრული დამრიგებლის ფუნქციების შინაარსი მოიცავს მოსწავლის კანონიერი უფლებების დაცვის უზრუნველყოფის შესაბამის შინაარსს. სკოლა წარმოდგენილი დოკუმენტების მიხედვით, ვალდებულებას იღებს მოსწავლის პერსონალური ინფორმაციისა და მისი კანონიერი უფლებების დაცვაზე. სკოლაში შექმნილია დისციპლინური კომიტეტი. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2. სკოლის შინაგანაწესსა და მოსწავლის მშობელთან/კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებულ ხელშეკრულებებში არსებული მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვის რეგულაციების შინაარსი გამჭვირვალეა და სასკოლო საზოგადოების წევრებთან მისი გაზიარების საშუალებებად სკოლა კლასის მოსწავლეების მშობელთა კრებებსა და შესაბამისი ტექსტების საინფორმაციო დაფებზე გამოკვრას მიიჩნევს. გარდა ამისა, სკოლის კლასების დამრიგებლები და მასწავლებლები მზადყოფნას გამოთქვამენ დაინატერესებულ მხარეებს ყოველთვის მიაწოდონ შესაბამისი ინფორმაცია. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

3. მოსწავლეების მშობლებთან/კანონიერ წარმომადგენელებთან გასაფორმებელი ხელშეკრულებები შემდეგი შინაარსისგან შედგება: ხელშეკრულების მხარეები; ხელშეკრულების საგანი; სკოლის საქმიანობა; მხარეთა უფლება-მოვალეობები; მოსწავლის პერსონალური ინფორმაციის გამოყენება; სასწავლო დრო, დასვენების დრო, უქმე დღეები; ხელშეკრულების მოქმედების ვადა და შეწყვეტის წესი; დავის გადაწყვეტა და მისი მარეგულირებელი კანონმდებლობა; დამატებითი პირობები; მხარეთა

რეკვიზიტები და ხელმოწერები. აღნიშნული მუხლების შინაარსი აღწერითია და გასაგები ენითაა შემუშავებული. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის შინაგანაწესი;
- პერსონალთან გაფორმებული ხელშეკრულების ნიმუშები;
- მშობლებთან/კანონიერ წარმომადგენლებთან გაფომრებული ხელშეკრულება;
- პერსონალური ინფორმაციის დაცვის წესი;
- მშობელთა საერთო კრებების ოქმები;
- თვალსაჩინო ადგილას, საინფორმაციო დაფაზე განთავსებული შინაგაანწესი და სხვა მარეგულირებელი დოკუმენტები;

4.1.2. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო მექანიზმები

1. სკოლას განსაზღვრული აქვს მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო კანონმდებლობის შესაბამისი მექანიზმები;
2. სკოლა იცავს მოსწავლის ჩარიცხვისა და საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის მექანიზმებს;
3. სკოლის მიერ განსაზღვრული მომსახურების სახეების, პირობების, პროგრამების და მათი სპეციფიკის, მომსახურებისათვის დადგენილი საფასურების (არსებობის შემთხვევაში), სკოლის შიდა პოლიტიკის და მოსწავლის მოსალოდნელი ქცევის შესახებ ინფორმაცია საჯაროდაა ხელმისაწვდომი;
4. სკოლის ან მისი პერსონალის მიერ გავრცელებული ინფორმაცია პროგრამების, სერვისების, აქტივობების, რესურსების შესახებ არის კანონმდებლობის შესაბამისი, გამჭვირვალე, განახლებული და არადისკრიმინაციული.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას შინაგანაწესსა და სასკოლო სასწავლო გეგმის პროექტში გაწერილი აქვს მოსწავლის ჩარიცხვის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის კანონმდებლობის შესაბამისი პროცედურები. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2. განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის (Eschool) ბაზის, პედაგოგიური საბჭოს ოქმების, შემოსული და გასული კორესპონდენციებისა და სკოლის დირექტორის ბრძანებების მიხედვით სკოლა იცავს მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის კანონმდებლობით განსაზღვრულ წესებს. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

3. სკოლის მიერ დაინტერესებული მხარეებისთვის შეთავაზებული საგანმანათლებლო მომსახურების სახეების შესახებ ინფომაციის გავრცელება მოხდება საინფორმაციო დაფებაზე გამოკვრითა და სოცილაურ ქსელში სკოლის გვერდზე განთავსებით . **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

4. საინფორმაციო დაფებსა და სოციალურ ქსელში გავრცელებული ინფორმაცია აღწერს საგანმანათლებლო მომსახურების პირობებსა და სასწავლო აქტივობების მიზნობრიობას. გამოქვეყნებულ ტექსტებში დაცულია საკანონმდებლო მოთხოვნები და შეიცავს არადისკრიმინაციულ შინაარსს. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის შინაგანაწესი;
- სასკოლო სასწავლო გეგმა;
- საქმის წარმოების მეთდოლოგიური დოკუმენტი;
- სკოლის დირექტორის ბრძანებები;
- მოსწავლეების მშობლებთან/კანონიერ წარმომადგენლებთან გაფორმებული ხელშკერულების ნიმუშები;
- განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში სკოლის პროფილი;
- სოციალურ ქსელში სკოლის ვებ. გევრდი;
- სკოლაში განთავსებული საინფორმაციო დაფები.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

4.2. მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები

4.2.1. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა აკადემიური და ადმინისტრაციული მხარდაჭერის მომსახურება

1. სკოლას აქვს მოსწავლის სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის ხელშემწყობი მექანიზმი;
2. სკოლა სწავლის დაწყების მომენტიდან ხელს უწყობს მოსწავლეთა ადაპტაციას სასწავლო გარემოსთან;
3. მოსწავლე სკოლისგან იღებს სათანადო კონსულტაციასა და მხარდაჭერას აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად;
4. სკოლა მოსწავლეს გონივრულ/კანონმდებლობით დადგენილ ვადებში უწევს ადმინისტრაციულ მხარდაჭერას კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებების რეალიზებასთან დაკავშირებით;
5. სკოლა კანონმდებლობით დადგენილი წესით და სათანადო კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მეშვეობით უზრუნველყოფს დამატებითი/არაფორმალური აქტივობების წახალისებასა და მოსწავლეთა ინიციატივების მხარდაჭერას;
6. მოსწავლეთა/დაინტერესებულ მხარეთა უკუკავშირის საფუძველზე სკოლა აუმჯობესებს მოსწავლეთა მომსახურებას.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლა განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს მოსწავლეთა სასკოლო ადაპტაციას, რაშიც ძირითად როლს კლასის დამრიგებელი ითავსებს. აღნიშნული გათვალისწინებულია დამრიგებლის ფუნქციებით. ახალი მოსწავლის ჩარიცხვის შესახებ ინფორმაცია მიეწოდება კლასის დამრიგებელს, რომელიც შესაბამისი ამბავს ატყობინებს სადამრიგებლო კლასს. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
2. მოსწავლის ადაპტაციაზე ხელი უნდა შეუწყონ კლასის დამრიგებელმა და მასწავლებლებმა. მასწვალებლები გასაუბრებისას, მათ ერთ-ერთ მნიშვნელოვან ფუნქციად სკოლაში გადმოსული მოსწავლეების სკოლის მოსწავლეებთან დაახლოებას მიიჩნევენ. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
3. სასკოლო სასწავლო გეგმის პროექტით (მოსწავლის შეფასების სისტემისა და სადამრიგებლო პროგრამის ნაწილი), მასწავლებლებთან და მოსწავლეების მშობლებთან/კანონიერ წარმომადგენლებთან გაფორმებული ხელშეკრულებების მიხედვით განსაზღვრულია მოსწავლისათვის აკადემიური მიღწევების მხარდაჭერის ვალდებულებები. სკოლის კლასის

დამრიგებლები და საგნის მასწავლებლები გასაუბრებისას აქტიურად საუბრობენ მოსწავლეების აკადემიური შედეგების გასაუმჯობესებელი აქტივობების მნიშვნელობაზე სასკოლო ცხოვრებაში. სკოლის ადმინისტრაცია აღნიშნულის გასავითარებლად, სხვადასხვა საგანმანათლებლო აქტივობის დაგეგმვასა და განხორციელებას გეგმავს. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

4. შინაგანაწესის, სასკოლო სასწავლო გეგმის პროექტის და მოსწავლის მშობელთან/კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებული ხელშეკრულების შინაარსების მიხედვით სკოლას აქვს მზაობა გონივრულ და კანონმდებლობით დადგენილ ვადებში მოახდინოს რეაგირება მოსწავლეთა თვითმმართველობისა თუ მოსწავლის ინდივიდუალური მიმართვაზე, მოსწავლის მშობლის განცხადებასა თუ კლასის მშობლების ისეთ შეთავაზებებზე, რომელთა მიზანიც მოსწავლის/მოსწავლეების უფლებების რეალიზების ხელშეწყობა იქნება. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

5. წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და პერსონალთან გასაუბრების მიხედვით სკოლა აქტიურად შეუწყობს ხელს მოსწავლეთა ინიციატივების წახალისებასა და არაფორმალური განათლების ელემენტების ჩართვას ყოველდღიურ სასკოლო ცხოვრებაში. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

6. სკოლის შინაგანაწესით, მასწავლებლებთან და მოსწავლეების მშობლებთან/კანონიერ წარმომადგენლებთან გაფორმებული ხელშეკრულების შინაარსები აკეთებს დაშვებას სხვადასხვა ინიციატივის წარმოდგენის შესახებ. კლასის დამრიგებლების მიერ ჩატარებულ მშობელთა კრებებზე შეგროვებული ინფორმაციის განხილვის შემდეგ დაიგეგმება და განხორციელდება მოსწავლეების ინტერესებისა და საჭიროების შესაბამისი აქტივობები. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ინდივიდუალური სასწავლო გეგმა;
- ისგ ჯგუფის სხდომის ოქმი;
- სპეციალური მასწავლებლის ანგარიში;
- სკოლის მასწავლებლებთან გაფორმებული ხელშეკრულების ნიმუშები;
- სასკოლო სასწავლო გეგმა;
- განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკების ნიმუშები;
- პროექტების გეგმები;
- მშობელთა კრებების ოქმები;

4.2.2. სკოლაში უზრუნველყოფილია კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება

1. კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება ხელმისაწვდომია მოსწავლეთათვის;
2. სკოლა მუდმივად აწვდის მოსწავლეებს/მათ კანონიერ წარმომადგენლებს განახლებულ და სანდო ინფორმაციას ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის დასრულების შემდგომი კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით;
3. სკოლა მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების დაგეგმვის პროცესში ითვალისწინებს გაწეული მომსახურების შეფასების შედეგებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. წარმოდგენილი სასკოლო სასწავლო გეგმის პროექტის მიხედვით მე-9 და მე-11 კლასებში გათვალისწინებულია პროფესიული ორიენტაციის გაკვეთილები. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
2. სკოლა, გარდა იმისა, რომ საინფორმაციო შეხვედრებზე აწვდის მოსწავლეებსა და მათ მშობლებს სკოლის კონკრეტული საფეხურის დასრულების შემდეგ კარიერული განვითარების შესაძლებლობების შესახებ, იწვევს სხვადასხვა პირებს - სკოლის წარმატებულ კურსდამთავრებულებს, უნივერსიტეტის სტუდენტებსა და სხვადასხვა პროფესიულ სფეროში დასაქმებულ ადამიანებს, რომლებიც ინფორმაციას წავდიან მოსწავლეებს განათლების შემდეგი საფეხურისა და დასაქმების მიმართულებების საჭიროებების შესახებ. სკოლა ცდილობს არა მხოლოდ სასკოლო საზოგადოებას ჰქონდეს ინფორმაცია განათლების შემდეგი საფეხურის მახასიათებლების შესახებ, არამედ თემსაც. ამისათვის მოსწვალეების მიერ გადაღებული ვიდეო განათავსევს სოციალურ ქსელში სკოლის გვერდზე. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
3. კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მიმართულებით, მომსახურების გასაუმჯობესებლად, სკოლა იყენებს კონკრეტული აქტივობების დასრულების შემდეგ მოსწავლეების მიერ დაწერილი რეფლექსიების ანალიზს. მიღებული შედეგების გათვალისწინებას კი გეგმას შემდეგი აქტივობების განსახორციელებლად. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სასკოლო სასწავლო გეგმა;

4.2.3. სსსმ მოსწავლეთა მომსახურება ხორციელდება მათი საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით და შეესაბამება საქართველოს კანონმდებლობას

1. სკოლას შემუშავებული აქვს სსსმ მოსწავლესთან მუშაობის მექანიზმი;
2. სსსმ მოსწავლის წინსვლისა და განვითარების მხარდაჭერა ეფუძნება სასკოლო საზოგადოების ჩართულობისა და თანამშრომლობის პრინციპებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლაში სასწავლო პროცესი იგეგმება დიფერენცირებული და ინკლუზიური მიდგომებით. რისი გამოცდილებაც სკოლას აქვს წლების განმავლობაში. სასწავლო წლის დასაწყისში იქმნება ისგ-ს ჯგუფი, რომელშიც გაერთიანებულნი არიან სპეც.პედაგოგები, საგნის მასწავლებლები და სსსმ მოსწავლის მშობელი. სპეცმასწავლებელთან ერთად ხორციელდებოდა სსსმ მოსწავლეთა ჩართვა საგანმანათლებლო პროცესში, როგორც საკლასო სივრცეში, ისე რესურსოთახში, შესაბამისი ინდივიდუალური გეგმების მიხედვით. იმ შემთხვევაში, თუ არსებობს დასაბუთებული ვარაუდი, რომ მოსწავლეს აქვს გამოხატული სწავლასთან დაკავშირებული სირთულე და მშობელს აქვს სურვილი და მზაობა, მოხდეს მოსწავლის შეფასება სსსმ სტატუსის მინიჭების მიზნით, სკოლა, მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის მიმართვის საფუძველზე, ახორციელებს მულტიდისციპლინურ გუნდთან რეფერირების (გადამისამართების) პროცედურებს. შემდეგ, დადგენილ ვადებში, შეთანხმებული განრიგით, ხდება მოსწავლის შეფასება მულტიდისციპლინური გუნდის მიერ (პირისპირ რეჟიმში ან ონლაინ). მულტიდისციპლინური გუნდი მოსწავლის შეაფასების შემდეგ სკოლაში აგზავნის მის სპეციალურ საგანმანათლებლო საჭიროების დამადასტურებელ დასკვნას, რის შემდეგაც სკოლა ახორციელებს შესაბამის პროცედურებს: მონიშნავს მოსწავლის სტატუსს eshool -ში, მის პირად სივრცეში და ატვირთავს შესაბამის დოკუმენტაციას, მიამაგრებს სპეციალურ მასწავლებელს, რომელიც აკეთებს მოსწავლის აკადემიური, შემეცნებითი, სოციალურ-ემოციური, კომუნიკაციური, ენისა და მეტყველების, მოტორული და ადაპტური სფეროების მიხედვით მოსწავლის ძლიერი მხარეებისა და საჭიროებების ანალიზს, მოსწავლის სიღრმისეულ შეფასებას. მოსწავლის ძლიერ მხარეებზე დაყრდნობით კი ხდება სსსმ მოსწავლისთვის ეფექტიანი მიზნების დასახვა. დიერექტორის ბრძანებით განისაზღვრება ისგ ჯგუფი და შემუშავდება ისგ გეგმა. ინტერვენციის გეგმა, რომელსაც ქმნის სპეციალური მასწავლებელი, მოსწავლის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის ნაწილია, რადგან ინდივიდუალური გეგმა მოიცავს ისეთ მნიშვნელოვან კომპონენტებს, როგორიცაა მოსწავლის ძლიერი მხარეებისა და საჭიროებების შეფასება, სწავლის პროცესის ხელშემწყობი აკომოდაციები, საგნობრივი გეგმებით განსაზღვრული მიზნები და აქტივობები. ამ ყოველივეს გათვალისწინება კი

მნიშვნელოვანია, იგი შეუწყობს ხელს მოსწავლის კომუნიკაციური და სოციალურ უნარების განვითარებას. ამ კუთხით მიმდინარეობს მუშაობა ინტერვენციის გეგმის წარმოებაზე თითოეულ სსსმ მოსწავლისთვის მომავალ სასწავლო წელს. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2. სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლის განვითარების მხარდაჭერა დაფუძნებულია სასკოლო საზოგადოების ჩართულობასა და თანამშრომლობაზე. სკოლა ცდილობს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლის განვითარებისა და მხარდაჭერის პროცესში სასკოლო საზოგადოების ყველა რგოლი აქტიურად იყოს ჩართული და ეფექტურად გამოიყენოს როგორც ადამიანური, ასევე მატერიალური რესურსი. მომავალ საქმიანობაში გავაგრძელებთ სიახლეების დანერგვას ამ მიმართულებით. სწავლის ახალ საფეხურზე გადასვლა ნებისმიერი მოსწავლისთვის მნიშვნელოვან ცვლილებებთანაა დაკავშირებული. გადაწყვეტილების მიღება იმის შესახებ, თუ რა პროფესიას დაეუფლება მოზარდი სკოლის საბაზო ან საშუალო საფეხურის დასრულების შემდგომ, არ არის მარტივი. საკუთარ შესაძლებლობებსა და უნარებში, შრომის ბაზრის მოთხოვნებსა და არსებულ საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ ინფორმაციის მოძიებაში მათ მხარდაჭერა სჭირდებათ, განსაკუთრებით კი სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეებს, აქედან გამომდინარე სკოლას აქვს შემუშავებული ინდივიდუალური ტრანზიციის გეგმა, რომელიც ითვალისწინებს როგორც ბავშვის ასევე მშობლის პერსპექტივას. ინდივიდუალური ტრანზიციის გეგმის განხორციელებაში ჩართულნი არიან და პასუხისმგებლობას ინაწილებენ საგნის მასწავლებელი, დამრიგებელი, ადმინისტრაცია, მშობელი, სპეციალური მასწავლებელი. სსსმ მოსწავლეთა სასწავლო გარემოში წარმატებული ჩართულობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორია სსსმ მოსწავლეების მშობლებთან თანამშრომლობა, რომლის გარეშეც შეუძლებელია მოსწავლეთა საგანმანათლებლო საჭიროებების დადგენა და პრიორიტეტების განსაზღვრა, მხოლოდ შეთანხმებული მოქმედებით და ერთიანი სტრატეგიით მიიღწევა დასახული მიზნები. ყველა მშობელს აქვს გარკვეული მოლოდინები და მიზნები იმ საგანმანათლებლო დაწესებულების მიმართ, რომელშიც მისი შვილი სწავლობს.სკოლის ისგ ჯგუფი თანამშრომლობს მშობლებთან, უსმენს მათ ხედვას საკუთარი შვილის უნარებისა და მიდრეკილებების შესახებ და ცდილობს მათთან ერთად დასახოს რეალისტური და მიღწევადი მიზნები. მშობელი ჩართულია არამარტო თავისი შვილის სასწავლო პროცესის დაგეგმვაში, არამედ მისი განხორციელების პროცესშიც. ისინი საგნის მასწავლებლებთან ერთად იზიარებენ პასუხისმგებლობას მოსწავლის აკადემიურ წარმატებაზე, რაც ავალდებულებს მათ, რომ აქტიურად იმუშაონ ბავშვთან სახლში განსაზღვრული მიზნისა და დავალების შესაბამისად. იმართება რეგულარული შეხვედრები მშობლებთან საგნის მასწავლებლებისა და სპეცპედაგოგების ინიციატივით, ხდება მათი ინფორმირება მიღწეული შედეგების შესახებ,(წარმატებებსა თუ მიმდინარე სირთულეებზე), რეკომენდაციებისა და რჩევების მიცემა, თუ როგორ უნდა დაეხმარონ მოსწავლეებს სხვადასხვა საგნის სპეციფიკის გათვალისწინებით სახლში. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ინდივიდუალური სასწავლო გეგმა;
- ისგ ჯგუფის სხდომის ოქმი;
- სპეციალური მასწავლებლის ანგარიში;
- სკოლის მასწავლებლებთან გაფორმებული ხელშეკრულების ნიმუშები;
- სასკოლო სასწავლო გეგმა;

4.2.4. **სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი (არასავალდებულო) მომსახურება (არსებობის შემთხვევაში) ხორციელდება კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვით.** ***აღნიშნული ვალდებულება ძალაშია, როცა დამატებითი (არასავალდებულო) მომსახურების მიმწოდებელია უშუალოდ ზოგადსაგანამანათლებლო დაწესებულება ან/და მის მიერ შერჩეული კონტრაქტორი.***

1. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურება (გახანგრძლივებული სწავლება, კვების სერვისი, ტრანსპორტირების სერვისი, საერთო საცხოვრებლით მომსახურეობა და სხვა) ხორციელდება შესაბამისი მარეგულირებლის მხრიდან საქმიანობის განხორციელების უფლების მიღების შემდეგ/საფუძველზე (ასეთის არსებობის შემთხვევაში);
2. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურების გაწევა ხორციელდება ნებაყოფლობითობის პრინციპით, მართვის კოლეგიალურ ორგანოსა და მომსახურების მიმღებთან შეთანხმებული წესითა და პირობებით და ემსახურება მოსწავლის განვითარების ხელშეწყობას;
3. შესაბამისი საქმიანობის განხორციელებისათვის კანონმდებლობით დადგენილი უფლების მოპოვების ვალდებულების არარსებობის შემთხვევაში, მომსახურება ხორციელდება უსაფრთხოების ზოგადად არსებული ნორმების დაცვით და ითვალისწინებს მოსწავლის საუკეთესო ინტერესებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლა არ ახორციელებს დამატებით არასავალდებულო ხასიათის მომსახურებას.
2. სკოლა არ ახორციელებს დამატებით არასავალდებულო ხასიათის მომსახურებას.
3. სკოლა არ ახორციელებს დამატებით არასავალდებულო ხასიათის მომსახურებას.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სასკოლო სასწავლო გეგმა;

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

ნაწილი IV. მეორე სტანდარტის აღწერა და შეფასება

I. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

ცხრილი ივსება თითოეული კურიკულუმისთვის ცალ-ცალკე

სტანდარტი 2	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*

II. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

სასკოლო კურიკულუმი **დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა**	**☒ შეესაბამება** **☐ მეტწილად შეესაბამება** **☐ ნაწილობრივ შეესაბამება** **☐ არ შეესაბამება**
კომონენტი 2.1 კურიკულუმის შემუშავება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.2 კურიკულუმის განხორციელება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.3 კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

2. სასკოლო კურიკულუმი

2.1. კურიკულუმის შემუშავება

2.1.1. კურიკულუმის შემუშავებაში ჩართულია სასკოლო საზოგადოება

1. კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას;
2. კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები;
3. კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;
4. კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას აქვს სასკოლო კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიის ამსახველი დოკუმენტი, თუმცა მკაფიოდ არ ჩანს თუ როგორ ხდება სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტების შესწავლა და კურიკულუმში ასახვა, არ ჩანს კურიკულუმის შემუშავების პროცესი, დიზაინი, ვის რა ფუნქცია აქვს; როგორ ხდება სასწავლო პროცესის შესახებ მონაცემთა შეგროვება და გათვალისწინება; რა ფორმით აღიწერება სწავლა-სწავლების მიზნები, მეთოდები და შეფასების ფორმები, მისი რეალიზების დრო და სივრცე. თუმცა სკოლას წარმოდგენილი აქვს სასკოლო კურიკულუმი, რომელიც გთვალისწინებულია დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურისათვის. დოკუმენტების შესწავლისა და საბუნებისმეტყველო საგნის, საზოგადოებრივი მეცნიერებების, ესთეტიკური აღზრდის, ტექნოლოგიების, ფიზიკური აღზრდისა და სპორტის, სახელმწიფო ენის, უცხოური ენების, მათემატიკის მასწავლებლებთან გასაუბრებაზე დაყრდნობით იკვეთება, რომ კურიკულუმის შემუშავების პროცესში მასწავლებლები აქტიურად თანამშრომლობენ საგნობრივ ექსპერტებთან, იღებენ რჩევებსა და რეკომენდაციებს, მსჯელობენ და აწყობენ განხილვას კათედრებზე, მასწავლებლები თანამშრომლობენ როგორც ერთმანეთთან, ასევე სხვა კათედრებთანაც. მასწავლებლები წინასწარ უგზავნიან კომპლექსური დავალების ბარათებს მშობლებს, მათთან კომუნიკაცია არის მნიშვნელოვანი მოსწავლეთა ინტერესებისა და შესაძლებლობების გათვალისწინებისთვის. მასწავლებლების მიერ იქმნება მატრიცის ჩარჩო, ამ ჩარჩოთი განისაზღვრება სამიზნე ცნება, ქვეცნება, საკითხი, კომპლექსური დავალების პირობა, სასწავლო რესურსები. მასწავლებლები აღნიშნავენ, რომ კურიკულუმის შემუშავების პროცესში სხვა კათედრებთან აქტიურად თანამშრომლობენ, ითვალისწინებენ ერთმანეთის მოსაზრებებს, გამოცდილებებს, მოსწავლეთა ინტერესებსა და საჭიროებებს. **კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას**; **ინდიკატორი 2.1.1.1 დაკმაყოფილებულია**

2. წარმოდგენილ დოკუმენტაციით და კათედრასთან ინტერვიუებთ დგინდება, რომ კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები. მაგალითად საგნობრივი კათედრების შედეგების ანალიზის საფუძველზე გამოკვეთილი საჭიროებები, რომელთა გათვალისწინებით ხდება საგნობრივი კურიკულუმების შემუშავება კათედრების მიერ, მასწავლებლები იყენებენ როგორც მოწოდებულ სანიმუშო კურიკულუმებს, ასევე ცდილობენ თავად შექმნან საკუთარი ორიგინალური, შემოქმედებითი და მოსწავლის საჭიროებებზე მორგებული კომპლექსური დავალებები. კურიკულუმებში ჩანს სასკოლო საზოგადოების დაინტერესება და ამ პროცესის ერთიანი ხედვა. შერჩეულ სასწავლო თემებით გათვალისწინებულია მოსწავლეთა ინტერესები. თვითშეფასების ფორმაში მოცემულია მაგალითები უცხოური ენის კათედრის თანამშრომლობის დაწყებითის კათედრასთან, მაგალითად ის თუ როგორ ეს ორივე კათედრა მშობლების აქტიურ ჩართულობით გეგმავენ და ახორციელებენ სხვა და სხვა საკლასო და სასკოლო აქტივობას, თუ როგორ ითვალისწინებენ ერთმანეთის აზრებს და ინტერესებს. ასევე, დაწყებითი საფეხურის ბუნებისმეტყველების საგნობრივ კურიკულუმების პროექტში კარგად ჩანს მოკლევადიანი და გრძელვადიანი სასწავლო მიზნები, საკითხების თემატურად დაყოფა, თემების

შესწავლის დაგეგმვა მიემართება სამიზნე ცნებებისაკენ (მაგალითად მე-3 კლასის ბუნებისმეტყველების საგნობრივი კურიკულუმი) სკოლა მისია-ხედვა- ღირებულებებზე და სტრატეგიულ გეგმაზე დაფუძნებით, ცდილობს გამოკვეთოს სასკოლო საზოგადოების ინტერესები და დაუკავშიროს ყოველდღიურ სასწავლო პროცესთან დაკავშირების მექანიზმებს. **ინდიკატორი 2.1.1.2 დაკმაყოფილებულია**

3. გასაუბრებისას პედაგოგებმა აღნიშნეს, რომ ისინი ერთმანეთთან თანამშრომლობენ და ერთად შეიმუშავებენ საგნობრივ კურიკულუმებს, მსჯელობენ რომელმა კომპლექსურმა გაამართლა და რომელმა არა, აკეთებენ წერილობით რეფლექსიებს. გარდა ამისა, ავტორიზაციის პროცესების მხარდაჭერის მიზნით განათლების სამინისტროს მიერ შემოთავაზებული აქტივობების ფარგლებში საგნობრივმა კათედრებმა შექმნეს 2023-2024 სასწავლო წლის კურიკულუმის ჩარჩოები, რომელიც გულისხმობენ კათედრების მიერ განვილი სასწავლო წლის რეფლექსიასა და სამომავლო ხედვის ჩამოყალიბებას: რამდენ კომპლექსურ დავალებას განახორციელებენ სემესტრის განმავლობაში, რომელ განმავითარებელ თუ განმსაზღვრელ შეფასების რუბრიკებს შეიმუშავებენ, რომელ სადიაგნოსტიკო ინსტრუმენტს აირჩევენ და სხვა. კურიკულუმები იქმნება კათედრის წევრების აქტიური თანამშრომლობითა და ჩართულობით. ამის შესახებ მასწავლებლები თავად საუბრობენ ინტერვიუს პროცესში, აგრეთვე, თითოეული მასწავლებლის როლი კურიკულუმების შემუშავებისას გაწერილია კათედრის სხდომების ოქმებში, პასუხისმგებელი პირები მინიშნებულია კათედრის სამოქმედო გეგმაშიც. ინტერვიუდან იკვეთება კურიკულუმების შემუშავებაში სასკოლო საზოგადოებისა და დაინტერესებული პირების ჩართულობაც. ზემოთქმულიდან გამომდინარე შეგვიძია ვთქვათ, რომ კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ. **ინდიკატორი 2.1.1.3 დაკმაყოფილებულია**

4. როგორც კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიაშია აღნიშნული, კურიკულუმი ვითარდება მოსწავლეების, მშობლების, მასწავლებლებისა და დირექციის აქტიური ჩართულობით და ითვალისწინებს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებს, აქედან გამომდინარე შეგვიძლია ვთქვათ, რომ კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ.სკოლას აქვს მოქმედი სოციალური ქსელი, სადაც განთავსებულია სკოლის პროექტები, აქტივობები https://www.facebook.com/profile.php?id=100088407353608 . დაგროვილი გამოცდილების საფუძველზე, დაწყებითი საფეხურის მასწავლებლები გეგმავენ მომავალი სასწავლო წლიდან გააქტიურონ მოსწავლეებთან და მშობლებთან სათანადო კომუნიკაცია და ინფორმაციების გაცვლა-გამოცვლა. გეგმავენ მიზნობრივი შეხვედრები მოაწყონ მშობლებთან, მათი მოწვევა სკოლაში და კომპლექსური დავალებების პრეზენტაციებზე დასწრება ხელს შეუწყობს მათ აქტიურ ჩართვას სწავლა-სწავლების პროცესებში. სკოლას წარმოდგენილი აქვს სადამრიგებლო პროგრამების ნიმუშები, სასკოლო სასწავლო გეგმის კალენდარი, არაფორმალური განათლების განვითარების იდეები და როგორც ჩანს, სკოლა იყენებს მისთვის რელევანტურ საშუალებებს, რომ სასკოლო კურიკულუმი და მისი მხარდამჭერი მასალები გახადოს ხელმისაწვდომი სასკოლო

საზოგადოების ყველა დაინტერესებული მხარისათვის. კურიკულუმი და მისი მხარდამჭერი მასალები გახადოს ხელმისაწვდომი სასკოლო საზოგადოების ყველა დაინტერესებული მხარისათვის.**ინდიკატორი 2.1.1.4 დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია;
- 2022-2023 სასწავლო წლის მიმდინარე კურიკულუმი დანართის სახით;
- მომდევნო 2023-2024 სასწავლო წლის კურიკულუმის ჩარჩოები;
- სადამრიგებლო პროგრამა;
- სკოლის 2023-2024 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმის პროექტი;
- სკოლის სოციალური ქსელი https://www.facebook.com/profile.php?id=100088407353608 ;
- 1-6 კლასების კომპლექსური ტიპის დავალებების ბარათები;
- კათედრის ოქმი.

2.1.2 კურიკულუმი ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმის საგნობრივი სტანდარტების და მეთოდური ორიენტირების მოთხოვნებს

1. შემუშავებული კურიკულუმი/ები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას;
2. კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს (გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი), მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები);
3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს;
4. განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს;
5. დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია წინარე გამოცდილების ანალიზი.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. შემუშავებული კურიკულუმები უმეტესად წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას. მიუხედავად იმისა, რომ რომ საგნობრივი მიმართულებები ორიენტირებული არიან კომპლექსური დავალებების სასწავლო პროცესში ინტეგრირებაზე, ჯერ კიდევ ვერ ანხორციელებენ პროცესის დაგეგმვას კომპლექსურიდან კომპლექსურამდე. თუმცა დოკუმენტაციისა შესწავლისა და პედაგოგებთან გასაუბრების შედეგად შეგვიძლია ვთქვათ, რომ პედაგოგებს გააზრებული აქვთ საფეხურებრივი შედეგები და სამიზნე ცნებებზე აგებული კონსტრუქტივისტული პრინციპები. მიმდინარე კურიკულუმები შექმნილია მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით, სადაც გათვალისწინებულია გრძელვადიანი მიზნები-სამიზნე ცნებები და შუალედური მიზანი-კომპლექსური დავალება. კურიკულუმების ჩარჩო ძირითადად აგებულია მიწოდებული მატრიცებსა და კომპლექსური დავალებების ნიუშების მიხედვით, მაგრამ არის ცალკეული შეთხვევები, როცა მასწავლებელი ახდენს დავალების მოდიფიცირებას. **ინდიკატორი 2.1.2.1 დაკმაყოფილებულია.**

2.მიმდინარე კურიკულუმის მიხედვით განსაზღვრულია გრძელვადიანი მიზნების-სამიზნე ცნებების ფარგლებში კომპლექსური დავალებები, რომლის განხორციელების ეტაპზე აუცილებელია ფუნქციურ-კომპონენტური უნარების დამუშავება საგნობრივი საკითხის ფარგლებში. ამისთვის კი პირველ რიგში პედაგოგებმა უნდა მოახდინონ აღქმა გლობალური ფუნქციური უნარების (კრიტიკული აზროვნება, შემოქმედებითობა, კომუნიკაცია, კოლაბორაცია, მოქალაქეობა, ხასიათი/ნება) მნიშვნელობა და აღიქვან სასწავლო გარემოს მახასიათებლად, რისთვისაც უნდა გაეცნონ შესაბამისი დოკუმენტებს და მასზე დაყრდნობით დააკვირდნენ და განსაზღვრონ სასწავლო პროცესის მიმდინარეობა.საგნობრივი კურიკულუმის ჩარჩოში, სასწავლო სასკოლო გეგმის პროექტში,მოსწავლეთა შეფასებისა(შფასების რუბრიკების სხვადასხვა ნიმუშებში) და მასწავლებლების თვითრეფლექსიის (მასწავლებლის გასაუბრების მასალა)ამსახველ დოკუმენტებში აღიწერება გრძელვადიანი მიზნები ეროვნული სასწავლო გეგმით დადგენილი ნორმების შესაბამისად,გაზიარებულია შედეგები, ქვეცნებები და მკვიდრი წარმოდგენები გრძელვადიან მიზნებად. აღქმულია გლობალური ფუნქციური უნარები:კრიტიკული აზროვნება, შემოქმედებითობა,კომუნიკაცია,კოლაბორაცია.(ამ უნარების განვითარებას ხელს უწყობს აგრეთვე არაფორმალური განათლების განვითარების ამსახველი მასალები, სხვადასხვა პროექტები), რომელთა შესრულების გამოცდილების გამოცდილება და დაგეგმილ ნაწილში ახლის განხორციელების სურვილი აქვს სკოლას.აქედან გამომდინარე,იგრძნობა სკოლის მზაობა და გრძელვადიანი მიზნები კორელაციაშია დანერგვის ინსტრუმენტებთან(დაგეგმვა,შეფასება).**ინდიკატორი 2.1.2.2 დაკმაყოფილებულია**

3. კათედრებთან ინტერვიუს დროს გამოჩნდა რომ სკოლა განიხილავს მოსწავლეს, როგორც სწავლა-სწავლების აქტიურ სუბიექტს და მიიჩნევს, რომ განათლების უმთავრესი მიზანი მოსწავლის პიროვნულ ძალთა განვითარების ხელშეწყობაა,

ამისათვის მათ შემუშავებული აქვთ ინდივიდუალური სასწავლო გეგმები. კურიკულუმში შეთავაზებულია კომპლექსური ბუნების დავალებები, როგორც კათედრის წარმომადგენლებმა აღნიშნეს გასაუბრებისას, სსსმ მოსწავლეებისათვის შექმნიან მოდიფიცირებულ კომპლექსურ დავალებებს. მასწავლებლებს მაგალითებათ მოყვანილი ჰქონდათ გასული სასწავლო წელს გამოყენებული დიფერენცირებული დავალებების მაალითები, რამაც დაადასტურა რომ მასწავლებლები სასწავლო პროცესში ითვალისწინებენ დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს.სკოლის მიერ წარმოდგენილი ბუნებისმეტყველების საგნობრივ კურიკულუმში შეტანილი კომპლექსური დავალების პირობიდან, მისი განხორციელების გზებისა და საშუალებების შემოთავაზების პროცესში შუალედური სასწავლო მიზნის მიღწევის აუცილებელ ინსტრუმენტია კომპლექსური დავალება, რომელშიც მასწავლებელს(მე -6 კლასში) გაითვალისწინებული აქვს მოსწავლეთა ინტერესები, შესაძლებლობები და საჭიროებები და მათ შესაბამის დავალებებს სთავაზობს, ცალკეული მოსწავლეებისთვის კი ამ დავალების ადაპტირებული ვერსიაა მოამზადებული (იგულისხმება არა მხოლოდ სსსმ, არამედ კლასის ნებისმიერი მოსწავლე, თუ დავალების ადაპტირებას საჭიროებს). დავალებების კომპლექსურ ბუნებასა და მრავალფეროვნებაზე (პროდუქტი) - დავალება აძლევს მოსწვალეს შესაძლებლობას გამოხატოს საკუთარი აზრი, ცოდნა, დამოკიდებულება მრავალი და მისთვის ეფექტური საშუალებით. დავალების პირობა ისეა შემუშავებული, რომ მოსწავლეებს ეძლევათ სხვადასხვა არჩევანი ერთი და იგივე საკითხის დამუშავებისა და ერთსა და იმავე სამიზნე ცნებაზე მუშაობისას და მოსწალის საბოლოო პროდუქტიც მრავალფეროვანი იქნება, (ესე, პოსტერი, მოხსენება, პრეზენტაცია, კომიქსი, სიმღერა, სცენარი თუ სხვა.) **სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს; ინდიკატორი 2.1.2.3 დაკმაყოფილებულია.**

4.დაწესებულებამ დაწყებით საფეხურზე წარმოადგინა მიმდინარე წლის კურიკულუმის მიხედვით განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკების ნიმუშები კომპლექსური დავალებებისა და პროექტის მიხედვით. ამჟამად სკოლა იყენებს განმსაზღვრელი შეფასების პირველ მოდელს. როგორც იკვეთება, სასკოლო საზოგადოებასთან იმართება საინფორმაციო შეხვედრები განმსაზღვრელი შეფასების მეორე მოდელთან დაკავშირებით, თუმცა მასწავლებლებთან ინტერვიუ ცხადყოფს, რომ სკოლა ახალ სასწავლო წელს განმსაზღვრელი შეფასების პირველ მოდელზე დარჩება.მტკიცებულებების სახით სკოლას ესთეტიკის კათედრაზე აქვს წარმოდგენილი განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფესაბის რუბრიკები (მუსიკა, სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება). ასევე, საბუნებისმეტყველო კათედრის მიერ დაწყებით საფეხურზე წარმოდგენილ საგნობრივ კურიკულუმებში,წარმოდგენილია განმავითარებელი შეფასების ნიმუშები,რომლებიც ეყრდნობა ეროვნული სასწავლო გეგმის შედეგების ტაქსონომიას,სასწავლო სასკოლო გეგმაში წარმოდგენილია განმსაზღვრელი შეფასების რამდენიმე რუბრიკა,რომელიც ზოგად წარმოდგენას ქმნის სკოლის ფარგლებში შეფასების აღნიშნული ტიპის წარმოების წესზე.შეფასების ორივე ტიპი ეყრდნობა სტანდარტით

გათვალისწინებულ მიღწევის ინდიკატორებს და დამიზნებულია,როგორც შუალედურ,ასევე გრძელვადიან მიზნებზე. განმავითარებელი შეფასების კრიტერიუმები ისეა ჩამოყალიბებული,რომ ხელს უწყობს სასწავლო პროცესის მიმდინარეობისას, სხვადასხვა სახის მეთოდური ორიენტირების გამოკვეთას,გულისხმობს მოსწავლეთა მხრიდან შესრულებული სამუშაოს აღწერას და წარმოდგენილი ნაშრომის გასიტყვებასა და შეფასებას. **რჩევა**: სასურველია პედაგოგებმა შეიმუშაონ განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები რათა შეფასება იყოს გამჭირვალე ,სანდო და ვალიდური და გააცნონ რუბრიკები მოსწავლეებს. რათა მოსწავლეები მეტად მობილიზებულნი იქნებიან როცა ეცოდინებათ რაში და როგორ ფასდებიან. **ამდენად, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს. ინდიკატორი 2.1.2.4 დაკმაყოფილებულია.**

5. დაწყებითი საფეხურის წარმოდგენილი კურიკულუმები აგებულია იმგვარად, რომ მასში გათვალისწინებულია წინარე გამოცდილება. ინტერვიუს დროს პედაგოგებმა აღნიშნეს,რომ კურიკულუმის აგებისას გაითვალისწინეს სწავლა-სწავლების პროცესში არსებული წარმატებული გამოცდილებაც და გამოწვევებიც. მადასტურებელ მასალად სკოლის დოკუმენტაციაში წარმოდგენილია მასწავლებელთა და მოსწავლეთა თვითშეფასების რეფლექსიის ნიმუშები, საიდანაც ჩანს სკოლის მზაობა ამ მიმართულებით.სასწავლო წლის ბოლოს კათედრა ადგენს ანგარიშებს, რომლებიც მოიცავს ისეთ საკითხებს, როგორიცაა: შემაჯამებელი და კომპლექსური დავალებების ანალიზი, ჩატარებული გაკვეთილების ნუსხა, კოლეგების ურთიერთდასწრება, განხორციელებული სასწავლო პროექტები. ასევე პროფესიული განვითარების კუთხით განხორციელებული აქტივობები, გავლილი ტრენინგები/ვებინარები, კონფერენციაზე დასწრება/მონაწილეობა და სხვა. მასწავლებელთა ანგარიშების საფუძველზე ფასდება არსებული მდგომარეობა, ხდება ძლიერი და გასაუმჯობესებელი მხარეების იდენტიფიცირება, რის შემდეგაც მუშავდება მომავალი წლის კათედრის სამოქმედო გეგმა და პრიორიტეტები. ურთიერთდასწრების გაკვეთილებზე მიღებული უკუკავშირის საფუძველზე თითოეული მასწავლებელი ინდივიდუალურად ადგენს გამოვლენილი სუსტი მხარეების გაუმჯობესების გზებს. ითვალისწინებს რა წინარე გამოცდილებას, ადგენს მომდევნო წლის სამუშაო გეგმას. არჩევს მისი საჭიროებების შესაბამის პროფესიული განვითარების აქტივობებს. ამდენად, სკოლას შექმნილი აქვს „კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის“ დოკუმენტი, რომელშიც გათვალისწინებულია წინარე გამოცდილების ანალიზი. რაც სკოლაში არსებულ გამოწვევებსა თუ მიგნებებს ეყრდნობა. ამ მიზნით კათედრაზე კვლავ იგეგმება ჩატარდეს დიაგნოსტიკური ტესტირება წელიწადში ორჯერ: სასწავლო წლის დასაწყისსა და ბოლოს. სკოლასთან ვიზიტისას რევიზირების პრაქტიკას დამაჯერებლად გაესვა ხაზი. აჯამებენ რა კათედრაზე შედეგს და უზიარებენ კათედრის წევრები ერთმანეთს მოსწავლეთა მიღწევებს, ყოველივეს ითვალისწინებენ დაგეგმვის პროცესში. მაგალითისათვის გასაუბრებაზე აღნიშნეს ის კომპლექსური დავალებები, რომლებიც განახორციელეს მიმდინარე სასწავლო წელს ეფექტიანობის გამო აღნიშნული კომპლექსურები

გათვალისწინებული აქვთ ახალი სასწავლო წლის კურიკულუმშიც.**ამდენად, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია წინარე გამოცდილების ანალიზი.ინდიკატორი 2.1.2.5 დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- კურიკულუმის ჩარჩო;
- მიმდინარე და მომავალი წლის განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასებები;
- სსსმ მოსწავლეზე გაწერილი ინდივიდუალური გეგმების ნიმუშები;
- კურიკულუმის შმუშავების მეთოდოლოგია;
- 2023-2024 წლების სასკოლო სასწავლო გეგმის პროექტი;
- კომპლექსური დავალებები;
- თემატური მატრიცები;
- მასწავლებელთა რეფლექსიები;
- შემაჯამებელთა ანალიზები;
- ინტეგრირებული გაკვეთილების აღწერილობა;

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.2.კურიკულუმის განხორციელება

2.2.1.სასწავლო პროცესი ეფუძნება სწავლა სწავლების კონსტრუქტივისტულ პრინციპებს

1. სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას;
2. ახალი ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით;
3. სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე;
4. სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული);
5. სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის მიერ წარმოდგენილი საგნობრივი კურიკულუმების ჩარჩოები წარმოდგენას იძლევა, რომ დაგეგმილი და დაწერილი კურიკულუმის რეალიზება ხდება საკლასო გარემოში,სადაც ხდება პრობლემების იდენტიფიცირება და ამ პრობლემების გადაწყვეტის გზები განიხილება.მოსწავლე ხდება აქტიური, რადგან წარმოდგენილი დავალებების მიხედვით მოსწავლე მოტივირებული ხდება და როგორც ჩანს, სწავლობს ფიქრს,,მსჯელობას და პრობლემების გადაჭრის გზებს. ნიმუშად წარმოდგენილია სხვადასხვა სასწავლო პროექტები, სადაც შესამჩნევია პოზიტიური სასკოლო კულტურა და საკლასო კლიმატი კი მნიშვნელოვანია მოსწავლის შემოქმედებით პროცესებში ჩართულობისათვის. მე-3 კლასის ბუნებისმეტყველების მასწავლებელმა გასაუბრების დროს წარმოადგინა სასწავლო პროექტი, რომელიც იძლევა წარმოდგენას იმის შესახებ, რომ სკოლაში სასწავლო პროცესი ისეა დაგეგმილი, რომ მოსწავლეებს აქვთ საშუალება აქტიურად ჩაერთონ შეთავაზებულ აქტივობებში, სპორტულ ფესტივალებსა თუ სხვა ღონისძიებში და გამოავლინონ საკუთარი გონებრივი, შემოქმედებითი და ფიზიკური უნარები. **სასწავლო პროცესი წარიმართება მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობით.ინდიკატორი 2.2.1.1 დაკმაყოფილებულია.**

2. პედაგოგების მიერ წარმოდგენილი კურკულუმის დანართების ნიმუშების მიხედვით შექმნილი კომპლექსური დავალებები, რომელიც ეტაპობრივად მუშავდება. მოითხოვს წინარე ცოდნაზე დაფუძნებით ახალი ცოდნის დაშენებას, რაც გაწერილია მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით კონსტრუქტივისტული ინსტრუმენტის დონზე. მოსწავლეთა მიერ შესრულებული დავალებებისა და პროექტების მიხედვით, პედაგოგები ხელს უწყობენ აღნიშნულ პროცესს. თუმცა იმისთვის, რომ კონსტრუქტივიზმის პრინციპის მიხედვით სკოლის/კათედრის კონცეპტუალური ხედვა საგნობრივ დონეზე მკაფიო და გაზომვადი იყოს, უცილებელია კურიკულუმის მეთოდოლოგიის დოკუმენტის დონეზე მისი

გაწერა და საგნობრივ შინაარსში ინტეგრირება. სკოლის პრაქტიკისა თუ დაგეგმილი კომპლექსური ბუნების დავალებებით მუშაობის ეტაპებზე მკაფიოა კომპლექსური დავალებების მნიშვნელოვანი პრინციპი, რომ სწავლა-სწავლების პროცესში მოსწავლისთვის ნაცნობი კონტექსტებია შემოტანილი. ამით მოსწავლეს კომპლექსური დავალების შესრულებისას უწევს გადაჭრას მისთვის ნაცნობი პრობლემა, გააკეთოს ანალოგია, შექმნას საინტერესო პროდუქტი, ახსნას ნაცნობი მოვლენა მეცნიერების თვალსაზრისით. სასწავლო თემის ფარგლებში კომპლექსური დავალებების პირობები შედგენილია ისე, რომ მოსწავლის ცოდნაზე დაყრდნობით ხორციელდება საგანთა შორის ინტეგრირება და ცოდნის ტრანსფერი, რაც უზრუნველყოფს ცოდნათა ორგანიზებასა და ურთიერთდაკავშირებას. **რომ ახალი ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით.ინდიკატორი 2.2.1.2 დაკმაყოფილებულია.**

3.ინტერვიუს პროცესში გამოიკვეთა, რომ კომპლექსური დავალებების განხორციელების პროცესი მიმდინარეობს აქტიური თანამშრომლობის ფარგლებში, თუმცა იმისთვის, რომ მოსწავლე დაეუფლოს სწავლის სტრატეგიებს და შემოქმედებითი პროდუქტი შექმნან გრძელვადიანი მიზნის ფარგლებში, აუცილებლად უნდა გაიწეროს ახალი სასწავლო წლისთვის კურიკულუმის ჩარჩოს მიხედვით კურიკულუმის დანართი, სადაც კომპლექსური დავალებების მიხედვით წარმოდგენილი იქნება ცოდნის აგების პრინციპი. სამივე საფეხურზე მასწავლებლები ცდილობენ მოსწავლეებს ასწავლონ სწავლის სწავლება. მოსწავლე ჩართულია ისეთ აქტივობებში, რომლებიც მას შეძენილი ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების საშუალებას აძლევს,მაგალითად ბუნების გაკვეთილზე მასწავლებელს კომპლექსური დავალების შესრულების პროცესში გამოყენებული აქვს ისეთი აქტივობა,თუ როგორ უნდა ისწავლონ მოსწავლეებმა სწორი ჯდომა მერხთან და რა გავლენას ახდენს ეს მათ ჯანმრთელობაზე, მოსწავლეებს შექმნილი აქვთ საცნობარო ბარათები, რომლებიც დაურიგდათ თანატოლებს და გაზარდეს ცნობიერება ამ კუთხით.შედეგადაც მოსწავლე აცნობიერებს, რა ნაბიჯები გადაიდგა დავალების შესრულებისას. მოსწავლეებს დავალების დასრულების შემდეგ ევალებათ პრეზენტაცია, სადაც საუბრობენ, რატომ ფიქრობენ, რომ დავალება სწორადაა შესრულებული; რა გზა გაიარეს დავალების შესრულებისას; რა დაეხმარათ, რა გაუძნელდათ; როგორ მოიქცეოდნენ, თავიდან რომ ასრულებდნენ სამუშაოს. შესაბამისი მიგნებები კათედრას სანიმუშოდ წარმოდგენილ თემატურ მატრიცასა და შეფასების რუბრიკებში აქვს წარმოდგენილი. სასწავლო პროცესში სწავლის სწავლაზე აქცენტების დასმა მასწავლებელთა პრაქტიკის ბუნებრივი ნაწილია, რაც სკოლაში ვიზიტისას **სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე; ინდიკატორი 2.2.1.3 დაკმაყოფილებულია.**

4. სკოლა ეროვნულ სასაწვლო გეგმაზე დაფუძნებით სასკოლო სასწავლო გეგმაში საუბრობს სასწავლო პროცესის ცოდნის სამ კატეგორიაზე ორიენტირებულობის აუცილებლობაზე. საგნობრივი კურიკულუმები და წარმოდგენილი კომპლექსური დავალებები, მიმდინარე საკლასო თუ არაფორმალური აქტივობებით ცოდნის სამ კატეგორიაზე ორიენტირებულობა ამოიცნობა. ცხადია, სასწავლო პროცესში მოსწავლე ამუშავებს კონკრეტულ ფაქტობრივ მასალას, ეცნობა ინფორმაციებს,

გარდაქმნის **პროცედურულ ცოდნად** და ცოდნის მოქმედებაში გადატანით, მის ინტრუმენტალიზაციისა და გამოყენებით კონკრეტულ პირობასა და მოცემულობაში **პირობისეულ ცოდნად** აყალიბებს. **მათემატიკის** კათედრამ წარმოადგინა კურიკულუმი, ფაქტობრივად ესაა პრობლემაზე დაფუძნებული დავალებებისა და აქტივობების განხორციელების გეგმა, სადაც მოსწავლეს უწევს, როგორც რესურსების მოძიება, ასევე მისი კონკრეტული პრობლემის ან გამოწვევის მიხედვით დამუშავება, ანალიზი და გამოსავლის მოძებნა (კომპლ. დავალების პირობიდან გამომდინარე). ასე, რომ სასწავლო პროცესი ხელს უწყობს საგნობრივი საკითხების სიღრმისეულ გააზრებას და ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე. **სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული); ინდიკატორი 2.2.1.4 დაკმაყოფილებულია**

5. სკოლის მიერ წარმოდგენილ დაწყებითი საფეხურის კურიკულუმებში იკვეთება თემათა ისეთი თანმიმდევრობა, რომელიც მოსწავლეთა ცოდნის ორგანიზებასა და ურთიერთდაკავშირებას უზრუნველყოფს. რესურსებად მითითებულია მაორგანიზებელი ცხრილები და სქემები, რაც მოსწავლეებს დაეხმარება ცოდნათა ორგანიზებასა და ურთიერთდაკავშირებაში. საკლასო ოთახებში წარმოდგენილი თვალსაჩინოებები(ფოტომასალიდან), დამხმარე რესურსები სასწავლო პროცესში მოსწავლეთა ცოდნის ორგანიზებასა და ურთიერთდაკავშირებას უზრუნველყოფს. ჩატარებული ინტეგრირებული გაკვეთილებიც ამ პროცესების ხელშემწყობია. მომავალი სასწავლო წლისთვის დაგეგმილი კომპლექსური ბუნების დავალებების შესრულება კიდევ უფრო მეტად დაეხმარება მოსწავლეებს ცოდნის ორგანიზებასა და ამავდროულად მასწავლებლებს აქვთ მზაობა, მოაწყონ უფრო მეტი არაფორმალური, პროექტული და პრობლემაზე დაფუძნებულ აქტივობები, სადამრიგებლო საათზე განხორციეელონ აქტივობები, რომლებიც ხელს შეუწყობს მოსწავლეთა ცოდნის ორგანიზებას, დაკავშირებას და ა.შ. დაწყებით საფეხურზე შერჩეულია ისეთი კომპლექსური დავალებები, რომ მოსწავლემ შეძლოს ცოდნის დაკავშირება ყოველდღიურ ცხოვრებასთან. **სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება.ინდიკატორი 2.2.1.5 დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- საგნობრივი კურიკულუმი;
- დაწყებითი საფეხურის კომპლექსური დავალებების სრული ნიმუშები (ინსტრუქციით);
- 2023-2024 წლის სასკოლო სასწავლო გეგმის პროექტი;

- შემაჯამებელი დავალების ნიმუში/ანალიზი;
- მასწავლებელთა რეფლექსიები;
- ინტეგრირებული გაკვეთილების გეგმა;

2.2.2. სასწავლო პროცესი ეფუძნება საგნობრივი სტანდარტებით გათვალისწინებულ გრძელვადიან მიზნებს.

1. სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით;
2. საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას;
3. შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე;
4. შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი;
5. სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი;
6. სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სასწავლო პროცესი ორიენტირებულია გრძელვადიან მიზნებზე. კურიკულუმები და კომპლექსური დავალებები ცხადყოფს, რომ სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენის გათავისებას. წარმოდგენილ კურიკულუმის ნიმუშებში მკაფიოდ არის გამოკვეთილი სამიზნე ცნება და მასზე დაყრდნობით ქვეცნებათა იერარქია, რომელიც იძლევა იმის საშუალებას, რომ თემის ფარგლებში მოახდინოს მოსწავლემ ცოდნის განზოგადება და მისი მკვიდრ წარმოდგენებში ასახვა. ამის კარგი მაგალითია მოსწავლეების მიერ კომპლექსური ბუნების დავალების შესრულების შედეგად შექმნილი შემოქმედებითი პროდუქტი. როგორც დაწყებითი საფეხურის პედაგოგებთან

გასაუბრებისას შედეგად დადგინდა, რომ კურიკულუმებში წარმოდგენილი საკითხები და მათი შესწავლისათვის შერჩეული რესურსები ერთმანეთთან შესაბამისობაშია და სასწავლო პროცესში ხელს შეუწყობს სამიზნე ცნებისა და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას. კურიკულუმებში განსაზღვრული სამიზნე ცნებები განსაზღვრავს იმ ცოდნას, რომელსაც მოსწავლე კონკრეტული საგნის შესწავლისას უნდა დაეუფლოს ე.ს.გ შესაბამისად. აღნიშნული დასტურდება კომპლექსური დავალებებით და განმავითარებელი შეფასების რუბრიკებით, კურიკულუმებით, კათედრების მიერ შემუშავებული განმავითარებელი შეფასების ინსტრუმენტებით.**მაგ:** მათემატიკის სამიზნე ცნებები მათ. მოდელი, კანონზომიერება და ლოგიკა, ასევე თემები, თემის მკვიდრი წარმოდგენები განსაზღვრავს იმ ცოდნას, რომელსაც მოსწავლე უნდა დაეუფლოს დაწყებით საფეხურზე მათემატიკის სწავლისას, ამ ცოდნისკენ სვლა კათედრაზე ხორციელდება შემდეგი მიდგომებით: კურიკულუმში ყველაგან აქვთ წარმოდგენილი სამიზნე ცნებები, აქვთ ჩაშლილი ქვეცნებები, მატრიცებში აქვთ თემის საკვანძო კითხვები და მკვიდრი წარმოდგენები. ასევე ინტერვიუს დროს დაზუსტდა, რომ პედაგოგებს აქვთ გააზრებული კავშირები სამიზნე ცნებებსა და თემებსა და მკვიდრ წარმოდგენებს შორის, მაგალითად ის, რომ მათემატიკური მოდელი რეალურ ცხოვრებაში მიმდინარე მოვლენებს აღწერს მათემატიკური ცნებების, ობიექტების და ენის გამოყენებით (პროცესები შეიძლება ჩაიწეროს რიცხვითი გამოსახულების, ალგებრული გამოსახულების, განტოლების, უტოლობის, სისტემების, ფუნქციის, დიაგრამის, გეომეტრიული ობიექტების და სხვ. მეშვეობით. მათემატიკური მოდელი გამოიყენება რეალური პროცესების აღსაწერად, ასახსნელად, პროგნოზირებისათვის და პრობლემის გადაჭრისთვის, აღწერილი აქვთ შეფასების რუბრიკებშიც. ამდენად, სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით. **ინდიკატორი 2.2.2.1 დაკმაყოფილებულია**

2. მოსწავლის შემეცნების (აზროვნების, კოგნიციის) განვითარებასთან ერთად ხდება სოციალური უნარ-ჩვევების ეტაპობრივი განვითარებაცფსიქო-სოციალური სფერო განსაზღვრავს ბავშვის პიროვნული თვისებების ჩამოყალიბებასა და ადამიანებთან ურთიერთობას. სკოლა მოსწავლეთა პიროვნული და ფსიქო-სოციალური განვითარებისათვის ხელშემწყობ გარემოს ქმნის ისეთი პროექტებისა და არაფორმალური აქტივობებით, რომლებიც საკვანძო კომპეტენციებს ავითარებს, როგორებიცაა: თვითცნობიერება, თანამშრომლობითი უნარები, ემოციების მართვა, კონფლიქტების მართვა, პასუხისმგებლობის აღება საკუთარ ქმედებებზე, კრიტიკული, შემოქმედებითი და ციფრული უნარების განვითარება, ტოლერანტული კულტურის განნვითარება. განხორციელებული პროექტები და აქტივობები (ემოციური ინტელექტის განვითარება, ჰარმონია კონფლიქტების ნაცვლად, ციფრული სკოლა). სკოლის ხედვიდან ცხადი ხდება, რომ მდგრადი შედეგების მისაღწევად მას ესაჭიროება მუდმივი მონიტორინგი, თვითრეფლექსია და პროფესიულ განვითარებაზე აქტიური მუშაობა. მასწავლებლებთან ინტერვიუს პროცესში გამოიკვეთა, რომ სასწავლო პროცესში გათვალისწინებულია მოსწავლის

პიროვნულ განვითარებაზე მორგებული აქტივობები, რომ სასწავლო პროცესი თანამშრომლობასა და მოსწავლის პიროვნულ განვითარებაზეა ორიენტირებული, თუმცა იმისთვის, ეს პროცესი გაზომვადი იყოს აუცილებელია სასწავლო პროცესში აქცენტები გაკეთდეს მოსწავლის კოგნიტურ და სოციო-ემოციურ განვითარებაზე, კურიკულუმში აქტივობები ამას ხელს უნდა უწყობდეს და კომპლექსური დავალების განხორციელების პროცესში თანმიმიდევრულად უნდა მოხდეს მისი განვითარება თითოეული მოსწავლის მიერ. მასწავლებლებთან ინტერვიუს დროს გაირკვა, რომ ეს საკითხები ესმით, გააზრებული აქვთ და მომავალი სასწავლო წლის საგნობრივ მატრიცებში აუცილებლად გაითვალისწინებენ. **საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას; 2.2.2.2 დაკმაყოფილებულია**

3. შეფასების სისტემა ორიენტირებული უნდა იყოს მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე, რაც ეყრდნობა მესამე თაობის ეროვნულ სასაწვლო გეგმას. სკოლას გააზრებული და განსაზღვრული აქვს, რომ ფასდება არა მარტო სწავლის შედეგი, არამედ, როგორ მიმდინარეობს სწავლა/სწავლების პროცესი. ამისათვის წარმოდგენილია განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების მეთოდოლოგია თუ რუბრიკები. შერჩეული განმავითარებელი შეფასებათა ინსტრუმენტები ხელს უწყობს მოსწავლის წინსვლას და ორიენტირებულია მის მხარდაჭერაზე, რაც უქმნის მოსწავლეს სწავლის მიმართ პოზიტიურ დამოკიდებულებას და ზრდის მოტივაციას. გაკვეთილებზე დაკვირვებების, დიაგნოსტიკური ტესტების საფუძველზე, შესასვლელი და გასასვლელი ბარათების გამოყენება, შეფასებას ხდის მეტად გამჭირვალეს, ობიექტურსა და სამართლიანს, რაც სკოლაში მხარდამჭერი მექანიზმების უზრუნველყოფის საფუძველია. დაწყებით საფეხურის პედაგოგებთან გასაუბრებისას დადგინდა, რომ სკოლას აქვს მზობა, რომ შეფასების სისტემა ორიენტირებული იყოს ფაქტობრივ ცოდნაზეც და გაითვალისწინონ მოსწავლის პიროვნული განვითარებისთვის აქტურალური ყველა გარემოება. წარმოდგენილმა შეფასების რუბრიკებმა, ასევე ინტერვიუმ აჩვენა, რომ შეფასების წარმოებისას მასწავლებელები ითვალისწინებენ შეფასების სტრატეგიებს: რომელ მიზანზეა ორიენტირებული შეფასება, რამდენად აძლევს სასწავლო პროცესში შესრულებული დავალებები მოსწავლეს ცოდნის/საკუთარი შესაძლებლობების წარმოჩენის საშუალებას და რამდენად შეუწყო ხელი კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის პროცესმა მოსწავლის ფუნქციური უნარების განვითარებას. ინტერვიუს დროს მაგ: მათემატიკის ერთ-ერთმა პედაგოგმა ფაქტიურად თვითრეფლექსია წარმოადგინა ზეპირად, ანუ იმის ანალიზი თუ რამდენად მოახდინა მისმა საქმიანობამ ზეგავლენა მოსწავლის მიღწევებზე, შესაბამისად **მათემატიკაში,** ისევე როგორც დაწყებითი საფეხურის ყველა საგანი შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითერბის მხარდაჭერაზე. **უცხოური ენების** მასწავლებლებთან ინტერვიუმ დაგვარწმუნა იმაში, რომ მათ გააზრებული აქვთ, რომ შეფასება არის მრავალმხრივი პროცესი. ისინი ითვალისწინებენ ეროვნული სასწავლო გეგმით შემოთავაზებულ შეფასების პრინციპებს, იაზრებენ შეფასების სისტემის მნიშვნელობას და ახალი სასწავლო წლისთვის გეგმავენ უფრო დეტალიზებული შეფასების რუბრიკების შექმნას.პროცესი.**რჩევა**

:საურველია, პედაგოგებმა უკეთ გააცნობიერონ, რომ შეფასება ინტეგრირებულია სასწავლო პროცესში და და მოსწავლის ყოველდღიური პროცესის განუყოფელი ნაწილია. პედაგოგებმა უფრო მეტი მონდომება და ძალისხმევა უნდა მიექციონ ამ პროცესს, რათა იყოს შეფასდება ჰოლისტური.ასევე სასურველია მასწავლებლებმა სასწავლო პროცესში მოსწავლის განვითარებისთვის მიზანმიმართულად შეიმუშაონ/ გამოიყენონ შეფასების ორივე ფორმა. **ინდიკატორი 2.2.2.3 დაკმაყოფილებულია.**

4. დაწყებით საფეხურზე, **სახელმწიფო ენის კათედრაზე** შექმნილია განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების (V-VIკლ.) სისტემა, რომელიც სწავლა-სწავლების აუცილებელი კომპონენტია. მისი მთავარი ფუნქცია ობიექტურობის დაცვაა, რაც ადასტურებს, რომ შეფასების სისტემა არის სანდო და ვალიდური. **საბუნებისმეტყველო მეცნიერებების კათედრა** მოსწავლეთა შეფასებებს ახდენს კურიკულუმში წარმოდგენილი კომპლექსური დავალებების, შემაჯამებელი დავალების, ექსპერიმენტების ჩატარებზე. წარმოდგენილია განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკის ნიმუშები, ბიოლოგიის და ფიზიკის მიხედვით, სადაც აქცენეტები გაკეთებული სტანდარტის მისაღწევ შედეგებზე ინდიკატორების მიხედვით. მასწავლებლებთან გასაუბრებით დასტურდება, რომ სასწავლო წლის დაწყებისთანავე მოსწავლეებსა და მათ მშობლებს აქვთ ინფორმაცია თუ რა მიზანი აქვს შეფასებას, რა ფორმით (წერითი/ზეპირი გამოცდა, ტესტირება თუ სხვა) მოხდება შეფასება და ასევე რა შედეგი ექნება მას. პროცესზე პასუხისმგებელი პირები უზრუნველყოფენ შეფასების პროცესის გამჭვირვალობას, სამართლიანობას, ობიექტურობას. **საზოგადოებრივი მეცნიერებების კათედრა** მოსწავლეთა შეფასებებს ახდენს კურიკულუმში წარმოდგენილი კომპლექსური დავალებების, შემაჯამებელი დავალების (ტესტის) და სასწავლო პროექტის მიხედვით. წარმოდგენილია განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკის ნიმუშები, ისტორიაში და მოქალაქეობის მიხედვით, სადაც აქცენეტები გაკეთებული სტანდარტის მისაღწევ შედეგებზე ინდიკატორების მიხედვით. პედაგოგებს აქვთ გააზრებული რომ შეფასება სასწავლო პროცესის განუყოფელი ნაწილია და სერიოზულად უდგებიან მას. ამ დასკვნის საფუძველს ნაწილობრივ გვაძლევს წარმოდგენილი სწავლის შედეგების შეფასების სისტემის ხარისხის უზრუნველყოფის/ვერიფიკაციის მექანიზმის დოკუმენტი, შეფასების რუბრიკები, კურიკულუმი, მომავალი დაგეგმილი სასწავლო პროექტები, ზეპირად განხილული მოსწავლეთა მიერ შესრულებული დავალებები, სასწავლო პროცესში გამოყენებული მასალები/აქტივობები. ასევე მშობლის ბარათები, სადაც შეფასების რუბრიკებიცაა ჩაშენებული. **სპორტის და ისტ-ის პედაგოგებთან გასაუბრებისას დადგინდა, რომ ახალი სასწავლო წლისთვის კათედრა გეგმავს** შეფასების რუბრიკების დახვეწას. მასწავლებლის გასაუბრების შედეგებიდან გამომდინარე თემების მიხედვით შემუშავებული შეფასების რუბრიკები **გათვლილი იქნება მოსწავლეთ ცოდნის დონეზე და გაზიარებული მოსწავლეებისა და მშობლებისთვის. ამდენად შეგვიძლია დავასკვნათ, რომ შეფასების სისტება არის და იქნება ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური და სამართლიანი.რჩევა:** მოხდეს შეფასების რუბრიკების შემუშავება სასწავლი

თემის ირგვლივ და გააცნონ მოსწავლეებს. უმჯობესია რამდენიმე რუბრიკას მაინც თუ მოსწავლეებთან ერთად შეიმუშავებენ მეტი სანდოობისათვის და გამჭვირვალობისათვის.**ინდიკატორი 2.2.2.4 დაკმაყოფილებულია.**

5. შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმის ეფექტურად განხორციელებისათვის სკოლას დიდი დრო და რესურსი დასჭირდებათ, საჭიროა მასწავლებელთა და მოსწავლეთა პორტფოლიოების შეფასების ცოდნა, რაშიც პირველ ნაბიჯებს აშკარად დგამს სკოლა, წარმოდგენილ მასალაში არაფორმალური განათლების ფარგლებში წარმოდგენილ პროექტებში, შემაჯამებელი დავალებების ანალიზში, ჩანს ეფექტური შეფასება, რომელიც მოიცავს არა მარტო სტანდარტის შედეგებს, არამედ გამჭოლი პრიორიტეტების, კომპეტენტური უნარების შეფასებასაც. **სკოლას აქვს შემუშავებული ვერიფიკაციის მექანიზმი. ინდიკტორი 2.2.2.5 დაკმაყოფილებულია**

6. სკოლა საუბრობს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების სათანადო აღრიცხვისა და შენახვის კანონმდებლობით დადგენილი წესების შესახებ. დირექტორის სამართლებრივ - ადმინისტრაციული ბრძანებით განსაზღვრული აქვს ელექტრონული ჟურნალის მონიტორინგზე პასუხისმგებელი პირი. კათედრის მიერ მოსწავლეთა მიერ მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვა და გაანალიზება ხორციელდება არსებული კომპლექსური დავალებების, შემაჯამებელი დავალებების მიხედვით, თუმცა ეს პროცესი უფრო სპონტანურია. საჭიროა მეტად დაიხვეწოს, რადგან წარმოდგენილი მონაცემების შესწავლის შემდეგ მოსწავლის საჭიროებებიდან გამომდინარე ცვლილებები უნდა შევიდეს ახალ კურიკულუმში. იკვეთება მზაობა, რომ სკოლა სამომავლოდ უზრუნველყოფს აღნიშნული ინდიკატორის მოთხოვნის დაცვას და გაატერებს შესაბამის ზომებს **2023-2024 სასწავლო წლიდან სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემს/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით. ინდიკატორი 2.2.2.6 დაკმაყოფილებულია**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- კურიკულუმი;
- მიმდინარე და მომავალი სასწავლო წლის განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები;
- მოსწავლის ნამუშევრების ანალიზი;
- შემაჯამებელი დავალებების ანალიზი;
- ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმი;

2.2.3. სასწავლო პროცესი ეფუძნება ზრუნვასა და მხარდაჭერას

1. სასწავლო პროცესში შექმნილია მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო;
2. სასწავლო პროცესი წარიმართება მოსწავლეზე ორიენტირებულად;
3.სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციას;
4.უზრუნველყოფილია პოზიტიური კლიმატი სკოლისა და კლასის დონეზე.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლაში შექმნილია მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო. სკოლის მისია და ხედვა ორიენტირებულია მოსწავლეზე, სკოლის პრიორიტეტები და სასკოლო საზოგადოების ინტერესები გათვალისწინებულია საათობრივ ბადეში, მოსწავლეებს აქვთ საგნების არჩევის შესაძლებლობა. საგნობრივი პროგრამები იძლევა მოსწავლეთა პიროვნული ზრდის შესაძლებლობას. კათედრაზე შემუშავებულია ინდ. სასწავლო გეგმები, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მოსწავლეებისთვის. კათედრაზე, მოსწავლეებთან და მშობლებთან შექმნილია პოზიტიური, კეთილგანწყობილი და თანამშრომლობაზე დაფუძნებული გარემო. ხორციელდება მრავალი საინტერესო პროექტი. . ინტერვიუსას გამოიკვეთა, რომ სკოლაში შექმნილია პოზიტიური სასწავლო გარემო, მხარდაჭერილია მოსწავლეთა ინიციატივები და ერთად გეგმავენ აქტივობებსა თუ ღონისძიებებს, გარდა ამისა, მოსწავლეთა ინდივიდუალური ინტერესები და შეხედულებები შეძლებისდაგვარად გათვალისწინებულია საგნობრივი კურიკულუმების ჩამოყალიბების დროს. **სასწავლო პროცესში შექმნილია მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო;2.2.3.1 დაკმაყოფილებულია**

2. სკოლაში შექმნილია მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო. სკოლის მისია და ხედვა ორიენტირებულია მოსწავლეზე, სკოლის პრიორიტეტები და სასკოლო საზოგადოების ინტერესები გათვალისწინებულია საათობრივ ბადეში, მოსწავლეებს აქვთ საგნების არჩევის შესაძლებლობა. საგნობრივი პროგრამები იძლევა მოსწავლეთა პიროვნული ზრდის შესაძლებლობას. კათედრაზე შემუშავებულია ინდ. სასწავლო გეგმები, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მოსწავლეებისთვის. კათედრაზე, მოსწავლეებთან და მშობლებთან შექმნილია პოზიტიური, კეთილგანწყობილი და თანამშრომლობაზე დაფუძნებული გარემო. ხორციელდება მრავალი საინტერესო პროექტი. ინტერვიუსას გამოიკვეთა, რომ სკოლაში შექმნილია პოზიტიური სასწავლო გარემო, მხარდაჭერილია მოსწავლეთა ინიციატივები და ერთად გეგმავენ აქტივობებსა თუ ღონისძიებებს, გარდა ამისა, მოსწავლეთა ინდივიდუალური ინტერესები და შეხედულებები შეძლებისდაგვარად

გათვალისწინებულია საგნობრივი კურიკულუმების ჩამოყალიბების დროს. **შეგვიძლია დავასკვნათ, რომ სასწავლო პროცესი მომავალ სასწავლო წელს წარიმართება მოსწავლეზე ორიენტირებულად.ინდიკატორი 2.2.3.2 დაკმაყოფილებულია.**

3. ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით დაწყებითი კათედრის წევრთა შორის გამოცდილების გაზიარება, წარმატებების წინაპირობათა განსაზღვრა და პრობლემების გადაჭრის გზების ძიება, სხვა საგნობრივ კათედრებთან ძალიან მნიშვნელოვანია. ამის უზრუნველყოფისათვის კი მეტად მნიშვნელოვანია თანამშრომლობა, გუნდურობა. გასაუბრებისას პედაგოგებმა აღნიშნეს, რომ ისინი ერთობლივად მუშაობენ კურიკულუმის შემუშავება/განვითარებაზე, უზიარებენ ერთმანეთს თავიანთ გამოცდილებას, რჩევებს. სკოლის მიერ წარმოდგენილ კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიაში მასწავლებლის როლის შესახებ წერია: „მონაწილეობა უნდა მიიღოს კათედრის წევრებთან ერთად სასწავლო პროცესის ძლიერი და სუსტი მხარეების გაანალიზებაში.“ ე.ი. დოკუმენტაციაც „ავალდებულებს/მოუწოდებს“ მასწავლებელს თანამშრომლობისკენ. ერთწლიან სამოქმედო გეგმაში გაწერილია აქტივობები მშობლებთან ურთიერთობების შესახებ, მაგალითად: „დამრიგებელთა მიერ მშობლებთან კომუნიკაცია სხვადასხვა საკომუნიკაციო არხების გამოყენებით (მეილი, ტელეფონი, სოციალური ქსელი და ა.შ)“, სკოლამ წარმოადგინა ასევე „მოსწავლეთა თვითმმართველობის დებულება“, სადაც მოსწავლეთა თვითმმართველობის ძირითად მიზნებს სხვადასხვა საგნმანათლებლო აქტივობების ორგანიზება თუ მოზარდის გონებრივი და ფიზიკური უნარ-ჩვევების, ჯანსაღი ცხოვრების წესის და სხვა დამკვიდრება წარმოადგენს. იხილეთ სოციალურ ქსელში აქტივობების სურათები https://www.facebook.com/profile.php?id=100088407353608 **ამრიგად, სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციას; ინდიკატორი 2.2.3.3 დაკმაყოფილებულია**

4. სკოლის მიერ წარმოდგენილი მარეგულირებელი დოკუმენტების, კათდრების სხდომის ოქმებისა და მასწავლებლებთან დგინდება, რომ თანამშრომლობა სკოლის პრიორიტეტული მიმართულებაა. მასწავლებლები ერთად გეგმავენ გაკვეთილებს და ესწრებიან ერთმანეთს. ასევე აჯამებენ წინა წლის შედეგებს და ერთად ქმნიან მომდევნო წლის კურიკულუმს. ერთად არჩევენ რომელ კომპლექსურ დავალებას განახორციელებენ, რომელმა გამოიწვია მოსწავლეებში მეტი დაინტერესება, ერთობლივად ქმნიან სასწავლო რესურსებს.

სკოლაში თანამშრომლობითი კულტურის მაგალითია „კრიტიკული მეგობრის“ ინსტიტუტის არსებობა სკოლაში, რის საშუალებითაც კათედრის წევრები ესწრებიან და აფასებენ კოლეგების მიერ ჩატარებულ გაკვეთილებს და აკეთებენ შესაბამის უკუკავშირებს.

მაგალითად, საზოგადოებრივი მეცნიერებების კათედრის მუშაობა ორგანიზებულად, რეალური გამოწვევებისა და საჭიროებების გათვალისიწინებით ხორციელდება, რადგან მიმდინარე კურიკულუმის დანართების, შეფასების რუბრიკებისა და სასწავლო პროექტების შექმნაში ჩართულია უკლებლივ ყველა პედაგოგი. კათედრაზე არის მაღალი თანამშროლობრივი გარემო. უცხოური ენების კათედრასთან გასაუბრებისას პედაგოგებმა აღნიშნეს, რომ ისინი ერთობლივად მუშაობენ

კურიკულუმის შემუშავება/განვითარებაზე, უზიარებენ ერთმანეთს თავიანთ გამოცდილებას, რჩევებს. სკოლამ წარმოადგინა ასევე „მოსწავლეთა თვითმმართველობის დებულება“, სადაც მოსწავლეთა თვითმმართველობის ძირითად მიზნებს სხვადასხვა საგნმანათლებლო აქტივობების ორგანიზება თუ მოზარდის გონებრივი და ფიზიკური უნარ-ჩვევების, ჯანსაღი ცხოვრების წესის და სხვა დამკვიდრება სკოლის მიერ მოწოდებული კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიიდან გამომდინარე, სადაც აღწერილია, რომ კურიკულუმის შემუშავებასა და განვითარებაში ჩართულები არიან როგორც მასწავლებლები ასევე დირექცია, ასევე კურიკულუმი ვითარდება მოსწავლეების, მშობლების, მასწავლებლებისა და დირექციის აქტიური ჩართულობით და ითვალისწინებს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებს მომავალ სასწავლო წელს, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ სასწავლო პროცესი წარიმართება თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციაზე დაფუძნებით. **უზრუნველყოფილია და მომავალ სასწავლო წელს კიდევ მეტად იქნება უზრუნველყოფილი პოზიტიური კლიმატი სკოლისა და კლასის დონეზე.2.2.3.4 დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- 2023-2024 სასწ.წლის სასკოლო სასწავლო გეგმის პროექტი;
- სასკოლო კურიკულუმები;
- განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები;
- კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია;
- სკოლის შინაგანაწესი;
- მოსწავლეთა თვითმმართველობის დებულება;
- 2022-2023 ერთწლიანი სამოქმედო გეგმა;
- სკოლის სოციალური ქსელი https://www.facebook.com/profile.php?id=100088407353608

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.3. კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება

2.3.1 მიმდინარე პროცესების მონიტორინგი და შეფასება წარმოადგენს სასწავლო პროცესის თანმდევ განუყოფელ ნაწილს

1. მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად;
2. მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას;
3. მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. მასწავლებლებს დაწყებით საფეხურზე გაცნობიერებული აქვთ მონიტორინგისა და შეფასების მნიშვნელობა. კათედრის შეხვედრებზე იგეგმება სასწავლო პროცესი და მასთან დაკავშირებული საკითხები, შემდეგ კი კეთდება მონიტორინგი კათედრის წევრების დაკვირვების შედეგების საფუძველზე, თუ რამდენად მიმდინარეობს პროცესები თავდაპირველი გეგმის შესაბამისად საჭიროების შემთხვევაში ხდება გეგმის მოდიფიცირება კათედრაზევე ზეპირსიტყვიერად ხდება მოსწავლეთა შედეგების შეფასების ანალიზი და მომავალი საქმიანობა იგეგმება შედეგების გაუმჯობესებისკენ. მასწავლებლები აფასებენ მოსწავლის მიერ შექმნილ პროდუქტს კურიკულუმში გაწერილი კრიტერიუმების მიხედვით. თუმცა სკოლა სამომავლოდ გეგმავს შეიმუშაოს მონიტორინგის ფორმები დადგენილი მეთოდოლოგიის შესაბამისად.

ინდიკატორი 2.3.1.1 დაკმაყოფილებულია

2. დაწყებითი საფეხური მასწავლებლებთან ინტერვიუს პროცესში გამოიკვეთა, რომ კათედრაზე არის მაღალი თანამშრომლობრივი კულტურა, კერძოდ პედაგოგები კურიკულუმის შექმნის პროცესში თანამშროლობენ, ასევე მისი განხორციელების პროცესში ხდება ურთიერთდასწრებები გაკვეთილებზე და მიღებული შედგების ანალიზი, უკუკავშირის გაცნობა ერთმანეთის მიერ და სასწავლო პროცესში თანამშრომლობა. სკოლას აქვს ხარისხის მართვის ჯგუფი და გაწერილი

დებულება. აქედან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას. მასწავლელებელთა რეფლექსიები მოწმობს, რომ სკოლას გააზრებული აქვს სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერისა და დახმარების მნიშვნელობა სასკოლო კურიკულუმის მონიტორინგისა და შეფასების პროცესში. სკოლის მიერ ატვირთულ დოკუმენტაციაში, მასწავლებელთა მიერ განხორციელებულ კვლევებში ჩანს, რომ ისინი მუდმივად ზრუნავენ საკუთარი პრაქტიკის ურთიერთგაზიარებაზე, პრობლემური საკითხების გამოვლენასა და მისი დაძლევის გზებზე. პედაგოგებთან ინტერვიუს პროცესში გამოიკვეთა, რომ კათედრაზე არის მაღალი თანამშრომლობრივი კულტურა, კერძოდ პედაგოგები კურიკულუმის შექმნის პროცესში თანამშროლობენ, ასევე მისი განხორციელების პროცესში ხდება ურთიერთდასწრებები გაკვეთილებზე და მიღებული შედგების ანალიზი, უკუკავშირის გაცნობა ერთმანეთის მიერ და სასწავლო პროცესში თანამშრომლობა. შესწავლილი დოკუმენტაციიდან გამომდინარე, **შეგვიძლიათ დავსკვნათ , რომ მომავალ წელს მონიტორინგი და შეფასება მოემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას, ისე, როგორც ეს გაწერილია მეთოდოლოგიის დოკუმენტში.2.3.1.2 დაკმაყოფილებულია**

3. პედაგოგებთან ინტერვიუს პროცესში და წარმოდგენილი მასალებით გამოიკვეთა, რომ სასწავლო პროცესში დაკვირვება ხდება ურთიერთდასწრებებით, მოსწავლეთა მიღწევების ანალიზით, ცალკეული აქტივობებისა და დავალებების მიხედვით. ეს ხდება ცალკეულ მასწავლებლებთან და აქვს სპონტანური ხასიათი.დაწყებით საფეხურზე წარმოდგენილ დოკუმენტაციაზე დაყრდნობით, ასევე ინტერვიურების პროცესში მასწავლებელთა მიერ გამოთქმული მოსაზრებებით დგინდება, რომ სკოლაში ამ ეტაპზე არსებული მონიტორინგისა და შეფასების არსებული პრაქტიკა მიმართულია პრობლემების გადაჭრისაკენ, სკოლას აქვს ხედვა, თუ რა გზითა და საშუალებებით განახორციელებს აღნიშნულ პროცესს მომავალში მისი სისტემაში მოყვანისა და საასწავლო პროცესზე სასურველი შედეგების ასახვის მიზნით. **სკოლას აქვს ხედვა, თუ რა გზითა და საშუალებებით განახორციელებს აღნიშნულ პროცესს მომავალში მისი სისტემაში მოყვანისა და საასწავლო პროცესზე სასურველი შედეგების ასახვის მიზნით. 2.3.1.3 დაკმაყოფილებულია**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- შეფასების რუბრიკები;
- კურიკულუმი;

- განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები;
- კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია;

2.3.2. სასწავლო პროცესის შეფასება ატარებს ჰოლისტურ ხასიათს

1. შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს;
2. შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით;
3. შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები;
4. შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.კათედრები შეფასებისას იყენებენ საგნობრივი სტანდარტის ფარგლებში შემუშავებული შეფასების რუბრიკებს, ასევე კომპლექსური დავალებების შესაბამისად შექმნილი განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების კრიტერიუმებს, რომლებიც ეყრდნობა სამიზნე ცნებისა და მასთან დაკავშირებული მკვიდრი წარმოდგენების გააქტიურებას, ასევე თემის ფარგლებში მისაღწევ შედეგებს. ამავდროულად, ის გეგმავს და ატარებს დიაგნოსტიკურ ტესტირებებს, რაც შესაძლებლობას აძლევს ერთმანეთს შეადაროს და ჰოლისტური სახით წარმოადგინოს სხვადასხვა წყაროზე დაყრდნობით მიღებული შედეგები. ჩანს, რომ სწავლების პროცესში მასწავლებლები იყენებენ მრავალფეროვან აქტივობებს, როლებიც მიმართულია სხვადასხვა ტიპის შემსწავლელთა გამოვლენისა და მათ საჭიროებებზე მორგებული დავალებების შექმნისაკენ. დაწყებით საფეხურზე განხორციელებული კომპლექსური დავალების ნიმუშები ცხადყოფს, რომ მასწავლებლები ცდილობენ მის დაგეგმვას იმგვარად, რომ მონაცემების შეგროვება მოხდეს მრავალფეროვანი მეთოდებით, სხვადასხვა წყაროსა და

რესურსის გამოყენებით, რაც შეამცირებს შეფასების ვარიაციის შეცდომას და შესაძლებლობას მისცემს მათ სრული სურათის წარმოსადგენად. მოსწავლეების შეფასება არ არის ორიენტირებული მხოლოდ კომპლექსური დავალების საბოლოო პროდუქტის შეფასებაზე. მოსწავლის შეფასება ხდება კომპლექსური დავალების მიმდინარეობის დროს, სხვადასხვა აქტივობების საშუალებით.ამგვარი პოზიცია მასწავლებლებს აძლევს შესაძლებლობას შეფასება იყოს ჰოლისტური ხასიათის.

ინდიკატორი 2.3.2.1 დაკმაყოფილებულია

2. პედაგოგების მიერ მოსწავლეთა შეფასება ხორციელდება განმსაზღვრელი და განმავითარებელი შესაფასების ინსტრუმენტების მიხედვით. მაგრამ იმისთვის, რომ სტანდარტის შედეგების მიხედვით მოხდეს მოსწავლეთა მიღწევების სრულად გაზომვა, აუცილებელია სხვადასხვა ინსტრუმენტების შემუშავება. კერძოდ, სადიაგნოსტიკო ინსტრუმეტი, განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები სტანდარტზე დაფუძნებით. სკოლას აქვს მასწავლებელთა მიერ განხორციელებული კვლევების გამოცდილება, სადაც იკვეთება, რამდენად ეფექტურია მათი შემუშავებული ინტერვენცია სწავლის შედეგების თვალსაზრისით, რომელიც ასახავს სხვადასხვა კონტექსტის გათვალისწინებას მოსწავლეთა შეფასებისას. ინტერვიუს დროს მასწავლებლები საუბრობენ იმის შესახებ, რომ შეფასებისას ითვალისწინებენ მრავალგვარ კონტექსტს, როგორებიცაა: შესასწავლი თემა და საკითხი, მოსწავლეთა აკადემიური მოსწრება, სწავლის პერიოდი, მოსწავლეთა ინტერესები და შესაძლებლობები, საფეხურის ფარგლებში ცნებების დაფარვის ხარისხი და მათი დასკვნის ვალიდაციას სწორედ მრავალი კოტექსტიდან დანახული სიტუაცია უზრუნველყოფს. **შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით; 2.3.2.2 დაკმაყოფილებულია**

3.შესწავლილი დოკუმენტაციის დასტურდება, რომ მასწავლებელები საჭირო დროს მიმართავენ დიაგნოსტიკურ შეფასებას. სკოლას აქვს ჩარჩო, თუ როგორ განაზოგადოს დიაგნოსტიკური კვლევის პროცესში მიღებული შედეგები. ასევე, მასწავლებლები პრაქტიკის კვლევის პროცესში იყენებენ ინტერვიუს, ფოკუს-ჯგუფებს, ტესტირებას, ანკეტირებას და სხვ. იცნობენ მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვან მეთოდებს, სხვადასხვა დროს მიმართავენ დისკუსიებს, პროექტულ სწავლებას, რაც საშუალებას აძლევს მათ შეფასების შედეგების შესახებ ინფორმაცია სხვადასხვა მეთოდით მოიპოვონ. **2.3.2.3 დაკმაყოფილებულია.**

4. წარმოდგენილი მასალებიდან ირკვევა და მასწავლებელთა ინტერვიუებიდანაც დასტურდება, რომ მასწავლებლები სწავლების თითქმის ყველა საფეხურზე იყენებენ სწავლების დიფერენცირებულ მიდგომებს. გამომდინარე იქიდან, რომ მოსწავლეზე, მის სასწავლო სიტუაციაზე, გარემოებაზე გავლენას ახდენს არა მხოლოდ უშუალო გარემომცველი მიკროსისტემა, არამედ ფაქტორთა მთელი რიგი სხვადასხვა სისტემებიდან, სკოლა აცნობიერებს და გეგმავს, რომ კურიკულუმის მონიტორინგისა და შეფასების დოკუმენტში, რომლის შექნაზეც სკოლა ახლა მუშაობს და რომლის კონტურებიც გამოკვეთილია დოკუმენტში 2023-2024 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმის პროექტი, ნათლად

გაწეროს ყველა იმ ფაქტორის ზემოქმედება, რაც მომავალში გავლენას მოახდენს მოსწავლეთა შეფასების სრული სურათის შექმნაზე. მნიშვნელოვანია, რომ შეფასებისას საჭიროა სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინება. შეფასების რუბრიკები ყველა საგანში ის ეფექტური ინსტრუმენტებია, რომელიც გამოიყენება როგორც მოსწავლეების ნამუშევრის, ასევე მუშაობის პროცესის შეფასების მიზნით. სკოლაში დიფერენცირებული მიდგომების პრაქტიკა არის საშუალება შეფასდეს მოსწავლეთა უნარები, დაისახოს მათი ჰოლისტური განვითარების გზა. ამდენად, სკოლა ახალ კურიკულუმში გეგმავს ისეთი სტრატეგიების დანერეგვას, რომელიც ორიენტირებული იქნება თითოეული მოსწავლის ინტერესისა და უნარის დადგენაზე. **ამრიგად, სკოლას აქვს მზაობა შეფასება გახორციელდეს სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით.2.3.2.4 დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- კურიკულუმი;
- განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები;
- კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია;

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია

2.4.1 წლიური მუშაობის შედეგად იქმნება კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია

1. იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი;
2. კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. მასწავლებლები გასაუბრებისას გამოყოფენ მნიშვნელოვან ასპექტს იმასთან დაკავშირებით, რომ კათედრის წევრები ამზადებენ ე.წ. დოკუმენტების კრებულს სიტყვიერს თუ სარეკომენდაციოდ გაწერილი მასალების ნაერთს, რომლებიც შეიცავს: რა მიგნებები აქვთ სამუშაო გამოცდილებიდან კარგ, რას დასჭირდება გადამუშავება,რატომ არ გაამართლა ფურცელზე დაწერილმა, რამ გაამართლა და რატომ, როგორ გამოვკვეთე პრობლემა და როგორია გადაჭრის გზები და საშუალებები, ამ შედეგებს აჯერებენ და წარუდგენენ ადმინისტრაციას.აღნიშნული აქტივობა ხელს შეუწყობს კურიკულუმის განვითარებასა და მხარდაჭერას. **იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი;2.4.1.1დაკმაყოფილებულია**

2.წარმოდგენილი დოკუმენტაციით დგინდება, რომ დაწყებით საფეხურზე სკოლას ჯერ არ აქვს სასკოლო კურიკულუმის რევიზირებული ვერსია, სადაც ასახულია მოსწავლეთა შედეგები საფეხურებისა და საგნების მიხედვით, ასევე არ იკვეთება სასწავლო მასალების ეფექტიანობისა და ვალიდობის მონაცემების ასახვა რაიმე სახით (ცხრილები, დიაგრამები, პრეზენტაციები), მაგრამ, სკოლაში არსებობს მასწავლებლების მიერ დაგეგმილი და რეალიზებული პროცესების (კომპლექსური დავალებები, სასწავლო თუ სასკოლო პროექტები) რეფლექსიები, გამოცდილების ურთიერთგაზიარების პრაქტიკა, რაც დასტურდება მასწავლებელთა ინტერვიუებითა და კათედრის ჩანაწერებით. ამრიგად, სკოლას აქვს მზაობა კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია მყარად დააფუძნოს წინარე გამოცდილებას , სადაც გათვალისწინებული იქნება მონიტორინგისა და შეფასების შედეგები.**2.4.1.2 დაკმაყოფილებულია**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- კურკულუმი;
- სასკოლო სასწავლო გეგმა;
- 2023-23 წლის სასკოლო სასწავლო გეგმის ნიმუში;

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

I. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

ცხრილი ივსება თითოეული კურიკულუმისთვის ცალ-ცალკე

სტანდარტი 2	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*

II. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

სასკოლო კურიკულუმი **საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა**	**☒ შეესაბამება** **☐ მეტწილად შეესაბამება** **☐ ნაწილობრივ შეესაბამება** **☐ არ შეესაბამება**
კომონენტი 2.1 კურიკულუმის შემუშავება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.2 კურიკულუმის განხორციელება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.3 კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

2. სასკოლო კურიკულუმი

2.1. კურიკულუმის შემუშავება

2.1.1. კურიკულუმის შემუშავებაში ჩართულია სასკოლო საზოგადოება

1.კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას;
2.კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები;
3.კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;
4.კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას აქვს სასკოლო კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიის ამსახველი დოკუმენტი, თუმცა მკაფიოდ არ ჩანს თუ როგორ ხდება სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტების შესწავლა და კურიკულუმში ასახვა, არ ჩანს კურიკულუმის შემუშავების პროცესი, დიზაინი, ვის რა ფუნქცია აქვს;როგორ ხდება სასწავლო პროცესის შესახებ მონაცემთა შეგროვება და გათვალისწინება;რა ფორმით აღიწერება სწავლა-სწავლების მიზნები, მეთოდები და შეფასების ფორმები, მისი რეალიზების დრო და სივრცე. თუმცა სკოლას წარმოდგენილი აქვს სასკოლო კურიკულუმი , რომელიც გთვალისწინებულია დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურისათვის.დოკუმენტების შესწავლისა და საბუნებისმეტყველო საგნის,საზოგადოებრივი მეცნიერებების,ესთეტიკური აღზრდის,ტექნოლოგიების,ფიზიკური აღზრდისა და სპორტის,სახელმწიფო ენის,უცხოური ენების,მათემატიკის მასწავლებლებთან გასაუბრებაზე დაყრდნობით იკვეთება, რომ კურიკულუმის შემუშავების პროცესში მასწავლებლები აქტიურად თანამშრომლობენ საგნობრივ ექსპერტებთან, იღებენ რჩევებსა და რეკომენდაციებს, მსჯელობენ და აწყობენ განხილვას კათედრებზე, მასწავლებლები თანამშრომლობენ როგორც ერთმანეთთან, ასევე სხვა კათედრებთანაც. მასწავლებლები წინასწარ უგზავნიან კომპლექსური დავალების ბარათებს მშობლებს, მათთან კომუნიკაცია არის მნიშვნელოვანი მოსწავლეთა ინტერესებისა და შესაძლებლობების გათვალისწინებისთვის. მასწავლებლების მიერ იქმნება მატრიცის ჩარჩო, ამ ჩარჩოთი განისაზღვრება სამიზნე ცნება, ქვეცნება,საკითხი, კომპლექსური დავალების პირობა, სასწავლო რესურსები. მასწავლებლები აღნიშნავენ, რომ კურიკულუმის შემუშავების პროცესში სხვა კათედრებთან აქტიურად თანამშრომლობენ, ითვალისწინებენ ერთმანეთის მოსაზრებებს, გამოცდილებებს, მოსწავლეთა ინტერესებსა და საჭიროებებს.**ინდიკატორი 2.1.1.1 დაკმაყოფილებულია**

2. საბაზო საფეხურის კურიკულუმის ჩარჩოს შექმნის პროცესში პედაგოგებმა გაითვალისწინეს მიმდინარე 2022-2023 სასწავლო წლის კურიკულუმის მიხედვით სასწავლო პროცესის ფარგლებში გამოკვეთილი დეტალები, მოსწავლეთა საჭიროებები, ინტერესები, სურვილები და შესაბამისი შინაარსი ასახეს მომდევნო სასწავლო წლის კურიკულუმში. მაგ:საზოგადოებრივი მეცნიერებების კათედრის მასწავლებლებთან ინტერვიუების დროს აღინიშნა, რომ სკოლა ატარებს კვლევას, რომლის შედეგადაც გამოიკვეთება სასკოლო საზოგადოების, კერძოდ, მშობლებისა და მოსწავლეების ინტერესები , საჭიროებები და ყოველივე ეს გათვალისწინებული იქნება მათი მხრიდან სასკოლო კურიკულუმების ჩამოყალიბებისას. მაგ. სასკოლო ექსკურსიები, სახლმუზეუმებში ვიზიტი და ა. შ.ასევე მშობელთა ინტერესების დასადგენად ტარდება სხვადასხვა ტიპის გამოკითხვა, საერთო სასკოლო პროექტის შერჩევის, საწრეო და საკლუბო საქმიანობის განსაზღვრის პროცესში გათვალისწინებულია მოსწავლეთა ინტერესები. **ინდიკატორი 2.1.1.2 დაკმაყოფილებულია**

3. გასაუბრებისას პედაგოგებმა აღნიშნეს, რომ ისინი ერთმანეთთან თანამშრომლობენ და ერთად შეიმუშავებენ საგნობრივ კურიკულუმებს, მსჯელობენ რომელმა კომპლექსურმა გაამართლა და რომელმა არა, აკეთებენ წერილობით რეფლექსიებს. გარდა ამისა, ავტორიზაციის პროცესების მხარდაჭერის მიზნით განათლების სამინისტროს მიერ შემოთავაზებული აქტივობების ფარგლებში საგნობრივმა კათედრებმა შექმნეს 2023-2024 სასწავლო წლის კურიკულუმის ჩარჩოები, რომელიც გულისხმობს კათედრების მიერ განვილი სასწავლო წლის რეფლექსიასა და სამომავლო ხედვის ჩამოყალიბებას: რამდენ კომპლექსურ დავალებას განახორციელებენ სემესტრის განმავლობაში, რომელ განმავითარებელი თუ განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკებს შეიმუშავებენ, რომელ სადიაგნოსტიკო ინსტრუმენტს აირჩევენ და სხვა. კურიკულუმები იქმნება კათედრის წევრების აქტიური თანამშრომლობითა და ჩართულობით. ამის შესახებ მასწავლებლები თავად საუბრობენ ინტერვიუს პროცესში. აგრეთვე, თითოეული მასწავლებლის როლი კურიკულუმების შემუშავებისას გაწერილია კათედრის სხდომების ოქმებში, პასუხისმგებელი პირები მინიშნებულია კათედრის სამოქმედო გეგმაშიც. ინტერვიუდან იკვეთება კურიკულუმების შემუშავებაში სასკოლო საზოგადოებისა და დაინტერესებული პირების ჩართულობაც. **კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;**

ინდიკატორი 2.1.1.3 დაკმაყოფილებულია

3. როგორც კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიაშია აღნიშნული, კურიკულუმი ვითარდება მოსწავლეების, მშობლების, მასწავლებლებისა და დირექციის აქტიური ჩართულობით და ითვალისწინებს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებს, აქედან გამომდინარე ლოგიკურად შემიძლია ვთქვათ, რომ კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ. სკოლას აქვს მოქმედი სოციალური ქსელი, სადაც განთავსებულია სკოლის პროექტები, აქტივობები, https://www.facebook.com/profile.php?id=100088407353608 მასწავლებლები მშობლებს უზიარებენ კომპლექსური დავალების ბარათებს. დამრიგებლები ახდენენ მშობელთა გამოკითხვას, რაც საშუალებას იძლევა გაიცონონ მოსწავლეთა ინტერესები და

საჭიროებები, რომლებიც გათვალისწინებული იქნება კურუკულუმის დანერგვისა და განხორციელების პროცესში. სკოლაში განხორციელებული სპორტული ღონისძიებები სკოლის სოციალური ქსელის საშუალებით გაზიარებული იყო სასკოლო საზოგადოების მიერ. კათედრის მიერ შემუშავებული კურიკულუმებში ჩაშენებული და განსახორციელებელი კომპლექსური დავალებები ითვალისწინებს სხვადასხვა სპორტულ ღონისძიებებს, ფესტივალს, რომლის შესახებაც ინფორმაცია მიეწოდებათ სოციალური ქსელისა და მშობელთა კრებების საშუალებით. როგორც გასაუბრებისას სკოლის წარმომადგენლებმა აღნიშნეს, დაგროვილი გამოცდილების საფუძველზე სკოლა გეგმავს მომავალი სასწავლო წლიდან გააქტიუროს მოსწავლეებთან და მშობლებთან სათანადო კომუნიკაცია და ინფორმაციების გაცვლა-გამოცვლა. სკოლა გეგმავს მშობლებთან მიზნობრივი შეხვედრების ორგანიზებას.**ინდიკატორი 2.1.1.4 დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია;
- 2022-2023 სასწავლო წლის მიმდინარე კურიკულუმი დანართის სახით;
- 2023-2024 სასწავლო წლის კურიკულუმის ჩარჩოები;
- სადამრიგებლო პროგრამა;
- სკოლის 2023-2024 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმის პროექტი;
- სკოლის სოციალური ქსელი https://www.facebook.com/profile.php?id=100088407353608
- საბაზო საფეხურის კომპლექსური ბუნების დავალებების ბარათები;

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.1.2 კურიკულუმი ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმის საგნობრივი სტანდარტების და მეთოდური ორიენტირების მოთხოვნებს

1.შემუშავებული კურიკულუმი/ები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას;
2. კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს (გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი), მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები);
3.სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს;
4.განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს;
5.დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია წინარე გამოცდილების ანალიზი.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. კათედრების მიერ წარმოდგენილია საბაზო საფეხურის საგნობრივი კურიკულუმის ჩარჩოები, რომლებიც ნათელყოფს მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის დანერგვის პროცესს კურიკულუმებში ერთი ან ორი თემის ფარგლებში მოცემულია კომპლექსური ბუნების დავალებები, კონტექსტ მაგალითები, რესურსები. კურიკულუმებში გათვალისწინებულია ყველა სავალდებულო თემა, თუმცა ყველა თემაზე კომპლექსური ბუნების დავალებების შექმნა იგეგმება მომავალი სასწავლო წლისთვის. კურიკულუმებში გაწერილი საგანმანათლებლო აქტივობები შეიძლება ჩაითვალოს,როგორც მოსწავლეებში შემოქმედებითი უნარების გააქტიურებაზეა ორიენტირებული.კომპლექსური დავალებების პირობები, აღიარებს მოსწავლეს,როგორც სწავლა-სწავლების აქტიურ სუბიექტს და სწავლის პროცესი განიხილება, როგორც ცოდნის აქტიური კონსტრუირების პროცესი,რომელიც თავად მოსწავლემ უნდა აწარმოოს.კურიკულუმებში (მაგ: მე-8 კლასის ქიმია),ინტეგრირებულია მეტაკოგნიციის განვითარების სტრატეგიები,წახალისებულია რეფლექსია მოსწავლის შესრულებულ სამუშაოზე:რა გამომივიდა კარგად.,რატომ?რა იყო ცოდნის ის გამოცდილება,რამაცწარმატება მომიტანა?ამ პროცესებს ადასტურებს მასწავლებლებთან გასაუბრების შედეგებიც.**ინფიკატორი 2.1.2.1 დაკმაყოფილებულია**

2. საბაზო საფეხურზე წარმოდგენილი კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს. არსებული კომპლექსური დავალებებითა და კომპლექსური დავალების ბარათებით ჩანს, რომ სასწავლო პროცესი ორიენტირებულია გრძელვადიან მიზნებზე. სკოლის მიერ წარმოდგენილ სასკოლო კურიკულუმის ჩარჩოებში იკითხება, რომ მომდევნო სასწავლო წელს დაგეგმილი პროცესები ხელს შეუწყობს მოსწავლის წინარე ცოდნის გააქტიურებასა და ახალ ცოდნამდე მიყვანის პროცესს. კურიკულუმის ჩარჩოები აგებულია იმ თემების გათვალისწინებით, რომლებიც ნაცნობი კონტექსტია მოსწავლისთვის, ეს დაეხმარება მას ახალი ინფორმაციის წინარე ცოდნასთან დაკავშირებაში, დამუშავებასა და გააზრებაში. შერჩეული კომპლექსური დავალებები შემლებისდაგვარად გათვლილია ისეთი გლობალურ-ფუნქციური უნარების განვითარებაზე, როგორებიცაა: მოქალაქეობა, კრიტიკული აზროვნება, შემოქმედებითობა, თანამშრომლობა, კომუნიკაცია და სხვა (სახელმწიფო ენა). საბაზო საფეხურის ჩარჩო კურიკულუმებზე დაყრდნობით სახვით და გამოყენებით ხელოვნებასა და მუსიკაში მკაფიოდ ჩანს რომ, სასწავლო პროცესი იგეგმება საფეხურების მიხედვით განსაზღვრავრული საგნობრივი მოთხოვნების შესაბამისად , თემატური ბლოკების/თემების ფარგლებში, სადაც მუშავდება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული საფეხურის შედეგი და გრძელვადიანი სამიზნე ცნებები, მასთან დაკავშრებული ქვეცნებები. კომპლექსური დავალებები. საკითხები, კონტექსტ მაგალითები, გააზრებულია პროცესი საბაზო საფეხურის ორივე საგნის (მუსიკა, სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება) კურიკულუმებით დასტურდება რომ, სასწავლო პორცესში კომპლექსური დავალება განიხილება, როგორც შუალედური სასწავლო მიზანი.**ინდიკატორი 2.1.2.2 დაკმაყოფილებულია**

3. სკოლის მიერ წარმოდგენილი საგნობრივ კურიკულუმებში საბაზო საფეხურზე მაგ:ქიმიქ,ფიზიკა,გეოგრაფია, ბიოლოგია, შეტანილი კომპლექსური დავალების პირობიდან, მისი განხორციელების გზებისა და საშუალებების შემოთავაზების პროცესში შუალედური სასწავლო მიზნის მიღწევის აუცილებელ ინსტრუმენტია კომპლექსური დავალება, რომელშიც მასწავლებელს(ქიმია მე -9 კლასში) გაითვალისწინებული აქვს მოსწავლეთა ინტერესები, შესაძლებლობები და საჭიროებები და მათ შესაბამის დავალებებს სთავაზობს, ცალკეული მოსწავლეებისთვის კი ამ დავალების ადაპტირებული ვერსიაა მოამზადებული (იგულისხმება არა მხოლოდ სსსმ, არამედ კლასის ნებისმიერი მოსწავლე, თუ დავალების ადაპტირებას საჭიროებს). დავალებების კომპლექსურ ბუნებასა და მრავალფეროვნებაზე (პროდუქტი) - დავალება აძლევს მოსწვალეს შესაძლებლობას გამოხატოს საკუთარი აზრი, ცოდნა, დამოკიდებულება მრავალი და მისთვის ეფექტური საშუალებით. დავალების პირობა ისეა შემუშავებული, რომ მოსწავლეებს ეძლევათ სხვადასხვა არჩევანი ერთი და იგივე საკითხის დამუშავებისა და ერთსა და იმავე სამიზნე ცნებაზე მუშაობისას და მოსწალის საბოლოო პროდუქტიც მრავალფეროვანი იქნება, (ესე, პოსტერი, მოხსენება, პრეზენტაცია, კომიქსი, სიმღერა, სცენარი თუ სხვა.)**აქედან გამომდინარე**

ჩანს, რომ კათედრებს აქვთ ხედვა და მზაობა სასწავლო პროცესში გაითვალისწინონ დიფერენცირებულ/ინკლუზიური მიდგომები. ინდიკატორი 2.1.2.3 დაკმაყოფილებულია

4. კათედრების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციიდან ირკვევა, რომ სკოლა აქტიურად იყენებს განმავითარებელი შეფასების სხვადასხვა ინსტრუმენტს, როგორც საგაკვეთილო თემის შესაბამისად, ასევე მოსწავლეთა ასაკობრივი და ინდივიდუალური თავისებურებების გათვალისწინებით. ახალი 2023-2024 სასწავლო წლიდან განმავითარებელი შეფასება მოხდება კომპლექსური დავალებების შესაბამისი კრიტერიუმების მიხედვით. ამჟამად სკოლა იყენებს განმსაზღვრელი შეფასების პირველ მოდელს. კათედრას აქვს შემუშავებული განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები, რომლებიც მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს. მაგ: მათემატიკის კათედრამ წარმოადგინა 1 სანიმუშო განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკა ცალკე ფაილად. რუბრიკა ეფუძნება საბაზო საფეხურის მათემატიკის სტანდარტს და მასში გაწერილ ინდიკატორებს. სკოლას აქვს მზაობა, სამივე კლასშიც შექმნან ყველა თემისთვის განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკა. ასევე ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ გააზრებული აქვთ განმსაზღვრელი შეფასების როლი სწავლის შედეგების აღწერასა და მიღწევის საერთო მაჩვენებელთან მიმართებით. განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს. კერძოდ: ისინი დიდ ყურადღებას უთმობენ განმავითარებელ შეფასებას და კონკრეტულ კომპლექსურ დავალებაზე მუშაობისას, აკვირდებიან პროცესს, ინიშნავენ მოსწავლეთა აქტივობებს და პერიოდულად აწვდიან უკუკავშირს, სადაც აღნიშნავენ რა გააკეთეს კარგად და რა აქვთ გამოსასწორებელი. უკუკავშირს უბრუნებენ კონკრეტული კომპლექსური დავალების ფარგლებში წარსადგენ პროდუქტთან მიმართებით. გამომდინარე იქიდან, რომ კომპლექსური დავალება არის გრძელვადიან მიზნამდე მისვლის საშუალება, შეგვიძლია ვთქვათ,რომ მასწავლებლის მიერ გაცემული განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებს. გარდა ამისა, ასეთი მიდგომით, უზრუნველყოფილია საკითხის სიღრმისეული შესწავლა, მოსწავლე არის აღიარებული და მასწავლებელთან ერთად არის პასუხისმგებელი საკუთარ სწავლასა და განვითარებაზე. რაც შეეხება განმსაზღვრელ შეფასებას, შეფასების რუბრიკებში რომელიც აკვირდებიან პროცესს, ინიშნავენ მოსწავლეთა აქტივობებს და პერიოდულად აწვდიან უკუკავშირს, სადაც აღნიშნავენ რა გააკეთეს კარგად და რა აქვთ გამოსასწორებელი. უკუკავშირს უბრუნებენ კონკრეტული კომპლექსური დავალების ფარგლებში წარსადგენ პროდუქტთან მიმართებით. რაც შეეხება განმსაზღვრელ შეფასებას, შეფასების რუბრიკებში რომელიც წარმოდგენილია ქიმიასა და ბიოლოგიაში მოცემულია კრიტერიუმები რომელიც მიემართება გრძელვადიან მიზნებს და მეთოდიკურ ორიენტირებს. **შესაბამისად, განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა დამეთოდიკურ ორიენტირებს“. ინდიკატორი 2.1.2.4 დაკმაყოფილებულია**

5. საბაზო საფეხურის წარმოდგენილი კურიკულუმები აგებულია იმგვარად, რომ მასში გათვალისწინებულია წინარე გამოცდილება. ინტერვიუს დროს პედაგოგებმა აღნიშნეს,რომ კურიკულუმის აგებისას გაითვალისწინეს სწავლა-სწავლების პროცესში არსებული წარმატებული გამოცდილებაც და გამოწვევებიც. მადასტურებელ მასალად სკოლის დოკუმენტაციაში წარმოდგენილია მასწავლებელთა და მოსწავლეთა თვითშეფასების რეფლექსიის ნიმუშები, საიდანაც ჩანს სკოლის მზაობა ამ მიმართულებით.სასწავლო წლის ბოლოს კათედრა ადგენს ანგარიშებს, რომლებიც მოიცავს ისეთ საკითხებს, როგორიცაა: შემაჯამებელი და კომპლექსური დავალებების ანალიზი, ჩატარებული გაკვეთილების ნუსხა, კოლეგების ურთიერთდასწრება, განხორციელებული სასწავლო პროექტები. ასევე პროფესიული განვითარების კუთხით განხორციელებული აქტივობები, გავლილი ტრენინგები/ვებინარები, კონფერენციაზე დასწრება/მონაწილეობა და სხვა. მასწავლებელთა ანგარიშების საფუძველზე ფასდება არსებული მდგომარეობა, ხდება ძლიერი და გასაუმჯობესებელი მხარეების იდენტიფიცირება, რის შემდეგაც მუშავდება მომავალი წლის კათედრის სამოქმედო გეგმა და პრიორიტეტები. ურთიერთდასწრების გაკვეთილებზე მიღებული უკუკავშირის საფუძველზე თითოეული მასწავლებელი ინდივიდუალურად ადგენს გამოვლენილი სუსტი მხარეების გაუმჯობესების გზებს. ითვალისწინებს რა წინარე გამოცდილებას, ადგენს მომდევნო წლის სამუშაო გეგმას. არჩევს მისი საჭიროებების შესაბამის პროფესიული განვითარების აქტივობებს. ამდენად, სკოლას შექმნილი აქვს „კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის“ დოკუმენტი, რომელშიც გათვალისწინებულია წინარე გამოცდილების ანალიზი. რაც სკოლაში არსებულ გამოწვევებსა თუ მიგნებებს ეყრდნობა. ამ მიზნით კათედრაზე კვლავ იგეგმება ჩატარდეს დიაგნოსტიკური ტესტირება წელიწადში ორჯერ: სასწავლო წლის დასაწყისსა და ბოლოს. სკოლასთან ვიზიტისას რევიზირების პრაქტიკას დამაჯერებლად გაესვა ხაზი. აჯამებენ რა კათედრაზე შედეგეს და უზიარებენ კათედრის წევრები ერთმანეთს მოსწავლეთა მიღწევებს, ყოველივეს ითვალისწინებენ დაგეგმვის პროცესში. მაგალითისათვის გასაუბრებაზე აღნიშნეს ის კომპლექსური დავალებები, რომლებიც განახორციელეს მიმდინარე სასწავლო წელს ეფექტიანობის გამო აღნიშნული კომპლექსურები გათვალისწინებული აქვთ ახალი სასწავლო წლის კურიკულუმშიც. **დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია წინარე გამოცდილების ანალიზი.ინდიკატორი 2.1.2.5 დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- კურიკულუმი;
- მიმდინარე და მომავალი წლის განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასებები;
- სსსმ მოსწავლეზე გაწერილი ინდივიდუალური გეგმების ნიმუშები;

- კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია;
- 2023-2024 წლის სასკოლო სასწავლო გეგმის პროექტი;
- კომპლექსური დავალებები;
- თემატური მატრიცები;
- მასწავლებელთა რეფლექსიები;
- შემაჯამებელთა ანალიზები;
- ინტეგრირებული გაკვეთილების აღწერილობა;

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.2.კურიკულუმის განხორციელება

2.2.1.სასწავლო პროცესი ეფუძნება სწავლა სწავლების კონსტრუქტივისტულ პრინციპებს

1. სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას;
2. ახალი ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით;
3. სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე;
4. სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული);
5. სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის მიერ წარმოდგენილი კურიკულუმის ჩარჩო წარმოდგენას იძლევა, რომ დაგეგმილი და დაწერილი კურიკულუმის რეალიზება ხდება საკლასო გარემოში,სადაც ხდება პრობლემების იდენტიფიცირება და ამ პრობლემების გადაწყვეტის გზები განიხილება.მოსწავლე ხდება აქტიური, რადგან წარმოდგენილი დავალებების მიხედვით მოსწავლე მოტივირებული ხდება და როგორც ჩანს,სწავლობს ფიქრს,,მსჯელობას და პრობლემების გადაჭრის გზებს. ნიმუშად წარმოდგენილია სხვადასხვა სასწავლო პროექტები,ქიმიის მასწავლებლის ინიციატივით სკოლაში შექმნილია კლუბი,,ალქიმიკოსები'',კლუბს გააჩნია წესდება, გაწერილი აქვს სამოქმედო გეგმა,მოსწავლეები მასწავლებლის მხარდაჭერით, ახორციელებენ საინტერესო აქტივობებს,მათ შორის კვლევებს,სადაც შესამჩნევია პოზიტიური სასკოლო კულტურა და საკლასო კლიმატი ეს კი მნიშვნელოვანია მოსწავლის შემოქმედებით პროცესებში ჩართულობისათვის. მე-10 კლასის ქიმიის მასწავლებელმა გასაუბრების დროს წარმოადგინა სასწავლო პროექტი, რომელიც იძლევა წარმოდგენას იმის შესახებ, რომ სკოლაში სასწავლო პროცესი ისეა დაგეგმილი , რომ მოსწავლეებს აქვთ საშუალება აქტიურად ჩაერთონ შეთავაზებულ აქტივობებში, სპორტულ ფესტივალებსა თუ სხვა ღონისძიებში და გამოავლინონ საკუთარი გონებრივი, შემოქმედებითი უნარები.სკოლას აქვს სპორტული კუთხეც, სადაც სასკოლო ფესტივალებში გამარჯვებული ბავშვებისა თუ გუდნების სიგელებეს, თასებს ინახავენ. ეს ყველაფერი კი ძალიან დადებითად მოქმედებს ბავშვების მოტივაციაზე. **შესაბამისად, სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას. ინდიკატორი 2.2.1.1 დაკმაყოფილებულია**

2. სამივე საფეხურზე წარმოდგენილი კურიკულუმის თემები,საკვანძო შეკითხვები, შემოთავაზებული კონტექსტ-მაგალითები,სასკოლო პროექტების ინიცირების წახალისება და მოსწავლისათვის საინტერესო არაფორმალური განათლების წარმოდგენილი ელემენტები,რომელთა განხორციელებული ვერსიებია წარმოდგენილი დაეხმარება მოსწავლეს,რომ სასწავლო პროცესი მოსწავლის გამოცდილებას მიუახლოვდეს.სასწავლო პროცესში საგნობრივი საკითხების შერჩევისას და სწავლებისას მკაფიოდ ჩანს მოსწავლის ინტერესები, საჭიროებები და შესაძლებლობები და მასწავლებელთა მიერ ინტერვიუს დროს დაინიცირებულ მოსწავლის და მასწავლებლის თვითრეფლექსიის ნიმუშში მოაზრებულია შეკითხვები, რომლებიც დააფიქრებს მოსწავლეებს თვითრეფლექსიაზე, თვითცნობიერებაზე, სოციალურ ცნობიერებაზე.**ამდენად, შეგვიძლია ვთქვათ, რომ ახალი ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით.ინდიკატორი 2.2.1.2 დაკმაყოფილებულია.**

3. საბაზო საფეხურზე მასწავლებლები ცდილობენ მოსწავლეებს ასწავლონ სწავლის სწავლება. მოსწავლე ჩართულია ისეთ აქტივობებში, რომლებიც მას შეძენილი ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების საშუალებას აძლევს,მაგალითად ქიმიის

მასწავლებელს გაკვეთილზე კომპლექსური დავალების შესრულების პროცესში გამოყენებული აქვს ისეთი აქტივობა,თუ როგორ უნდა ისწავლონ მოსწავლეებმა ჯანსაღი და მავნე საკვების ერთმანეთისაგან გარჩევა და რა გავლენას ახდენს ეს მათ ჯანმრთელობაზე, მოსწავლეებს შექმნილი აქვთ საცნობარო ბარათები, რომლებიც დაურიგდათ თანატოლებს და გაზარდეს ცნობიერება ამ კუთხით.შედეგადაც მოსწავლე აცნობიერებს, რა ნაბიჯები გადაიდგა დავალების შესრულებისას. მოსწავლეებს დავალების დასრულების შემდეგ ევალებათ პრეზენტაცია, სადაც საუბრობენ, რატომ ფიქრობენ, რომ დავალება სწორადაა შესრულებული; რა გზა გაიარეს დავალების შესრულებისას; რა დაეხმარათ, რა გაუძნელდათ; როგორ მოიქცეოდნენ, თავიდან რომ ასრულებდნენ სამუშაოს. შესაბამისი მიგნებები კათედრას სანიმუშოდ წარმოდგენილ თემატურ მატრიცასა და შეფასების რუბრიკებში აქვს წარმოდგენილი. სასწავლო პროცესში სწავლის სწავლაზე აქცენტების დასმა მასწავლებელთა პრაქტიკის ბუნებრივი ნაწილია, რაც სკოლაში ვიზიტისას დადასტურდა.**ამდენად, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე; ინდიკატორი 2.2.1.3 დაკმაყოფილებულია.**

4. სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული) კომპლექსურ დავალებებზე დაფუძნებული სწავლება თავისთავად უზრუნველყოფს ცოდნის სამ კატეგორიაზე ორიენტირებას,ინტერვიუს დროს კი აღნიშნეს ,რომ ისინი აძლევენ დავალებებს, სადაც მოსწავლეს უწევს, როგორც რესურსების მოძიება, ასევე მისი კონკრეტული პრობლემის ან გამოწვევის მიხედვით დამუშავება, ანალიზი და გამოსავლის/ გადაწყვეტის მოძებნა. განსაკუთრებულ ყურადღებას ამახვილებენ აქტივობებში,როგორ უნდა გამოიყენონ მიღებული ცოდნა შემდგომ ცხოვრებისეულ სიტუაციებში სკოლის მიერ წარმოდგენილი საგნობრივი კურიკულუმის ჩარჩო, სასწავლო პროექტები, მოსწავლეთა ნამუშევრები ეჭვგარეშეა, რომ ხელს შეუწყობს მოსწავლეს საგნობრივი საკითხების სიღრმისეულ გააზრებაში, მოქმედებასა და ნაბიჯების თანმიმდევრობით დაგეგმვა-განხორციელებასა და შესწავლილი მასალის ყოველდღიურ ცხოვრებასთან დაკავშირებაში.**ამდენად, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული);ინდიკატორი 2.2.1.4 დაკმაყოფილებულია**

5. სადამრიგებლო პროგრამები, პროექტული სწავლების მეთოდები,რომლებიც კომპლექსური დავალებების იდეებშია ასახული, ორიენტირებულია პირობისეულ ცოდნაზე,პრობლემის გადაჭრაზე, გამოწვევებთან გამკლავებაზე, რაიმე პროდუქტის შექმნაზე და ა.შ, შესაბამისად და გულისხმობს მოსწავლის კომპეტენტური უნარების გააქტიურებას, გამოცდილების მობილიზებას და დაკავშირებას ერთმანეთთან.ამ საკითხების გადაჭრის და განხორციელების გზებზე აქტიურად საუბრობენ საბუნებისმეტყველო საგნების მასწავლებლები სამივე საფეხურზე(ბიოლოგიის მასწავლებლის მიერ განხორციელებული პროექტიმოსწავლის ხელით დამზადებული ეკოლოგიურად,, სუფთა ჩანთა”) და იკვეთება მზაობა იმის თაობაზე, რომ სასწავლო პროცესში გათვალისწინებული იქნას გრძელვადიანი მიზნები, რომელიც აუცილებლად მიიღწევა სწორად შესრულებული ცოდნის ორგანიზებასა და ურთიერთდაკავშირების შედეგად.ასევე, ინტერვიუს დროს გამოიკვეთა

რომ იგეგმება ინტეგრირებული გაკვეთილები. მაგალითად მათემატიკა გეოგრაფიის საგანტა დაინტეგრირებით,რომელიც უკვე განხორციელდა გასულ წელს, სადაც მოსწავლეებს დასჭირდებათ, ცოდნის როგორც დაორგანოზების ისე ურთიერთდაკავშირების უნარები. ეს ფაქტორები გათვალისწინებულია საგნობრივი კურიკულუმის შემუშავების პროცესში, რადგან კომპლექსური დავალებების დანერგვა ვერ განხორციელდება ცოდნათა დაკავშირებისა და კონსტრუირების გარეშე.**ამდენად შეგვიძლია დავასკვნათ, რომ სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება.ინდიკატორი 2.2.1.5 დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- საგნობრივი კურიკულუმი;
- საბაზო საფეხურის კომპლექსური დავალებების სრული ნიმუშები (ინსტრუქციით);
- 2023-2024 წლის სასკოლო სასწავლო გეგმის პროექტი;
- შემაჯამებელი დავალების ნიმუში/ანალიზი;
- მასწავლებელთა რეფლექსიები;
- ინტეგრირებული გაკვეთილების გეგმა;

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.2.2. სასწავლო პროცესი ეფუძნება საგნობრივი სტანდარტებით გათვალისწინებულ გრძელვადიან მიზნებს.

1.სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით;
2.საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას;
3.შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე;
4.შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი;
5.სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი;
6.სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. საბაზო საფეხურის ყველა კათედრის მიმართულებით დოკუმენტაციის შესწავლისა და პედაგოგებთან გასაუბრების შედეგად დასტურდება, რომ რომ სასწავლოპროცესი იმგვარადაა დაგეგმილი, რომ ხელი ეწყობა სამიზნე ცნებისა და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით, რაც ხელს უწყობს სამიზნე ცნებების გათავისებას სხვადასხვა კონტექსტში. ეს დასტურდება კურიკულუმში ასახული კომპლექსური ბუნების დავალებებით, გამოყენებული რესუსებით, განმავითარებელი შეფასების რუბრიკებით. კურიკულუმებს დანართად ახლავს კომპლექსური დავალების ბარათები, სადაც ნათლად ჩანს მიმართებები სამიზნე ცნებებს, მის მკვიდრ წარმოდგენებს, საკითხებსა და საკვანძო კითხვას შორის კონტექსტთან კავშირში **ინდიკატორი 2.2.2.1 დაკმაყოფილებულია**
2. საბაზო საფეხურზე მოსწავლის შემეცნების (აზროვნების, კოგნიციის) განვითარებასთან ერთად ხდება სოციალური უნარ-ჩვევების ეტაპობრივი განვითარებაც. ფსიქო-სოციალური სფერო განსაზღვრავს ბავშვის პიროვნული თვისებების ჩამოყალიბებასა და ადამიანებთან ურთიერთობას. სკოლა მოსწავლეთა პიროვნული და ფსიქო-სოციალური განვითარებისათვის ხელშემწყობ გარემოს ქმნის ისეთი პროექტებისა და არაფორმალური აქტივობებით, რომლებიც საკვანძო კომპეტენციებს ავითარებს, როგორებიცაა: თვითცნობიერება, თანამშრომლობითი უნარები, ემოციების მართვა, კონფლიქტების მართვა, პასუხისმგებლობის აღება საკუთარ ქმედებებზე, კრიტიკული, შემოქმედებითი და ციფრული უნარების განვითრება, ტოლერანტული კულტურის განვითარება. განხორციელებული პროექტები და აქტივობები (ემოციური ინტელექტის განვითარება, ჰარმონია კონფლიქტების ნაცვლად, ციფრული სკოლა). სკოლის ხედვიდან ცხადი

ხდება, რომ მდგრადი შედეგების მისაღწევად მას ესაჭიროება მუდმივი მონიტორინგი, თვითრეფლექსია და პროფესიულ განვითარებაზე აქტიური მუშაობა. მასწავლებლებთან ინტერვიუს პროცესში გამოიკვეთა, რომ სასწავლო პროცესში გათვალისწინებულია მოსწავლის პიროვნულ განვითარებაზე მორგებული აქტივობები, რომ სასწავლო პროცესი თანამშრომლობასა და მოსწავლის პიროვნულ განვითარებაზეა ორიენტირებული, თუმცა იმისთვის, ეს პროცესი გაზომვადი იყოს აუცილებელია სასწავლო პროცესში აქცენტები გაკეთდეს მოსწავლის კოგნიტურ და სოციო-ემოციურ განვითარებაზე, კურიკულუმში აქტივობები ამას ხელს უნდა უწყობდეს და კომპლექსური დავალების განხორციელების პროცესში თანმიმიდევრულად უნდა მოხდეს მისი განვითარება თითოეული მოსწავლის მიერ. მასწავლებლებთან ინტერვიუს დროს გაირკვა, რომ ეს საკითხები ესმით, გააზრებული აქვთ და მომავალი სასწავლო წლის საგნობრივ მატრიცებში აუცილებლად გაითვალისწინებენ. **ინდიკატორი 2.2.2.2 დაკმაყოფილებულია**

3. როგორც სკოლის კათედრების მასწავლებლებთან გასაუბრების შედეგად დგინდება, ისინი კათედრებზე შეიმუშავებენ შეფასების მრავალფეროვან რუბრიკებს,როგორც განმავითარებელი, ასევე განმსაზღვრელი შეფასებისათვის.რადგან ეროვნული სასწავლო გეგმის თანახმად,განმავითარებელი შეფასება ჰოლისტური შეფასების მექანიზმად განმავითარებელი შეფასების სახით გვთავაზობს სტანდარტის შედეგების მიღწევის ტაქსონომიას და სწავლა-სწავლების პროცესში წარმოადგენს მეთოდიკური ორიენტირების რეალიზების საშუალებას.აქედან გამომდინარე სკოლა იცნობს შედეგების მიღწევის ხუთ დონეს,სავარაუდოდ ასახავს ცოდნის კონსტრუირების საფეხურებს დეკლარატიულიდან პირობისეულ ცოდნამდე .მოსწავლის თვითშეფასების ანგარიშის ნიმუშში, წარმოდგენილია ძლიერი და სუსტი მხარეების დადგენის უნარი და მოსწავლის მიერ საკუთარი წინსვლის ხელშესაწყობად გააზრებული ნაბიჯების გადადგმის უნარი.სკოლა შეფასების აუცილებელ კომპონენტად მიიჩნევს დიფერენცირებას,(კომპლექსური დავალებების აგების იდეაში) და მოსწავლის დიაგნოსტირების განვითარების ყველა სფეროს მიხედვით.აქედან გამომდინარე,შეფასების სისტემა მომავალ სასწავლო წელს, ორიენტირებული იქნება, მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე.**შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე; ინდიკატორი 2.2.2.3 დაკმაყოფილებულია.**

4. საბაზო საფეხურზე კათედრების მიერ მოწოდებული მიმდინარე და მომავალი სასწავლო წლის საბაზო საფეხურის განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკებიდან გამომდინარე, რომლებშიც გასაგებად არის გაწერილი, თუ როგორ და რის მიხედვით შეფასდებიან მოსწავლეები (გრძელვადიან მიზნებზე სამიზნე ცნებებზე, შედეგებზე, დაყრდნობით), შეიძლება ითქვას, რომ შეფასების სისტება არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური და სამართლიანი. ამის დასტურია ასევე საგნების მიხედვით შეფასების რუბრიკები, კურიკულუმი, მომავალი დაგეგმილი სასწავლო პროექტები, ზეპირად განხილული მოსწავლეთა მიერ შესრულებული დავალებები, სასწავლო პროცესში გამოყენებული მასალები/აქტივობები.მასწავლებლებმა ინტერვიუს დროს აღნიშნეს, რომ მნიშვნელოვანია სასკოლო საზოგადოებასა და პირველ

რიგში მოსწავლეს ჰქონდეს განცდა, რომ შეფასება ნათლად მიემართება და მიზნობრივად აფასებს სწავლის შედეგებს. ასევე, მნიშვნელოვანია სწორად შერჩეული შეფასების კრიტერიუმები, რომ მოსწავლეს გააზრებული ჰქონდეს რა კრიტერიუმები უნდა დააკმაყოფილოს მისმა პასუხმა, პროდუქტმა თუ ნაშრომმა. მოსწავლეებს უნდა შეეძლოთ დაინახონ რატომ არის მათი სწავლის შედეგი ღირებული და რა როლს ასრულებს ეს შედეგი სწავლის პროცესში მიზნებთან მიმართებით. მასწავლებლებთან გასაუბრებით დასტურდება, რომ სასწავლო წლის დაწყებისთანავე მოსწავლეებსა და მათ მშობლებს აქვთ ინფორმაცია თუ რა მიზანი აქვს შეფასებას, რა ფორმით (წერითი/ზეპირი გამოცდა, ტესტირება თუ სხვა) მოხდება შეფასება და ასევე რა შედეგი ექნება მას. პროცესზე პასუხისმგებელი პირები უზრუნველყოფენ შეფასების პროცესის გამჭვირვალობას, სამართლიანობას, ობიექტურობას.**ინდიკატორი 2.2.2.4 დაკმაყოფილებულია.**

5. შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმის ეფექტურად განხორციელებისათვის სკოლას დიდი დრო და რესურსი დასჭირდებათ, საჭიროა მასწავლებელთა და მოსწავლეთა პორტფოლიოების შეფასების ცოდნა, რაშიც პირველ ნაბიჯებს აშკარად დგამს სკოლა, წარმოდგენილ მასალაში არაფორმალური განათლების ფარგლებში წარმოდგენილ პროექტებში, შემაჯამებელი დავალებების ანალიზში, ჩანს ეფექტური შეფასება, რომელიც მოიცავს არა მარტო სტანდარტის შედეგებს, არამედ გამჭოლი პრიორიტეტების, კომპეტენტური უნარების შეფასებასაც.აქედან გამომდინარე **ინდიკატორი 2.2.2.5 დაკმაყოფილებულია**

6. სკოლა საუბრობს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების სათანადო აღრიცხვისა და შენახვის კანონმდებლობით დადგენილი წესების შესახებ.კათედრის მიერ მოსწავლეთა მიერ მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვა და გაანალიზება ხორციელდება არსებული კომპლექსური დავალებების, შემაჯამებელი დავალებების მიხედვით, თუმცა ეს პროცესი უფრო სპონტანურია. საჭიროა მეტად დაიხვეწოს, რადგან წარმოდგენილი მონაცემების შესწავლის შემდეგ მოსწავლის საჭიროებებიდან გამომდინარე ცვლილებები უნდა შევიდეს ახალ კურიკულუმში. იკვეთება მზაობა, რომ სკოლა სამომავლოდ უზრუნველყოფს აღნიშნული ინდიკატორის მოთხოვნის დაცვას და გაატერებს შესაბამის ზომებს ანუ **2023-2024 სასწავლო წლიდან სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემს/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით.**

ინდიკატორი 2.2.2.6 დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- კურიკულუმი;

- მიმდინარე და მომავალი სასწავლო წლის განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები;
- მოსწავლის ნამუშევრების ანალიზი;
- შემაჯამებელი დავალებების ანალიზი;
- ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმი;

2.2.3. სასწავლო პროცესი ეფუძნება ზრუნვასა და მხარდაჭერას

1. სასწავლო პროცესში შექმნილია მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო;
2. სასწავლო პროცესი წარიმართება მოსწავლეზე ორიენტირებულად;
3. სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციას;
4. უზრუნველყოფილია პოზიტიური კლიმატი სკოლისა და კლასის დონეზე.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის მიერ წარმოდგენილია სხვა და სხვა დოკუმენტები რომლებშიც გაცხადებულია სკოლის მისია და ღირებულებები, რაც პირდაპირ მიუთითებს სკოლის არჩევანზე, იყოს მოსწავლის მხარდამჭერი და მიიღოს ყველა ის სიახლე, რომელიც ეხმარება სკოლას გახდეს წარმატებული და აღზარდოს წარმატებული ადამიანები. ასევე, მოცემულია სკოლის მიერ შემუშავებული საგნობრივი პროგრამები, რომელიც ორიენტირებულია მოსწავლის განვითარებაზე. ეს ყველაფერი იძლევა იმის თქმის საშუალებას, რომ სასწავლო პროცესში შექმნილია მოსწავლის მხარდამჭერი გარემო. მასწავლებელთან ინტერვიუდან გამომდინარე სკოლა უზრუნველყოფს მოსწავლეებისთვის მხარდამჭერ და მიმღებლობის გარემოს სხვადასხვა ტიპის აქტივობებით და ღონისძიებებით, მათ შორის არაფორმალური განათლების ფორმების გამოყენებით.კათედრაზე შემუშავებულია ინდ. სასწავლო გეგმები, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მოსწავლეებისთვის. კათედრაზე,მოსწავლეებთან და მშობლებთან შექმნილია პოზიტიური, კეთილგანწყობილი და თანამშრომლობაზე დაფუძნებული გარემო. ხორციელდება მრავალი საინტერესო პროექტი. ინტერვიუსას გამოიკვეთა, რომ სკოლაში შექმნილია პოზიტიური სასწავლო გარემო, მხარდაჭერილია მოსწავლეთა ინიციატივები და ერთად გეგმავენ აქტივობებსა თუ ღონისძიებებს, გარდა ამისა, მოსწავლეთა ინდივიდუალური ინტერესები და შეხედულებები შეძლებისდაგვარად გათვალისწინებულია საგნობრივი კურიკულუმების ჩამოყალიბების დროს.**ამრიგად, სასწავლო პროცესში შექმნილია მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო; ინდიკატორი 2.2.3.1 დაკმაყოფილებულია**

2. სკოლის მიერ მოსწავლის შედეგებზე დაკვირვებით, შესაძლოა ვიფიქროთ, რომ ორიენტირებულია მოსწავლის წარმატებასა და პროგრესზე. საგანში მასწავლებელი კომპლექსური დავალებების დანერგვით უზრუნველყოფს მოსწავლეთა თანაბარ ჩართულობას სასწავლო პროცესში, რადგან გათვალისწინებულია თითოეული მოსწავლის ინდივიდუალური საჭიროები და ინტერესები. ასევე იყენებენ დიფერენცირებული მიდგომებს, დავალებების შეთავაზებისას ითვალისწინებენ მათ ინტერესებს, ასაკს, თავისებურებებსა და საჭიროებებს. სასწავლო პროცესის მოსწავლეზე ორიენტირებისათვის, ხელი ეწყობა მოსწავლეთა შინაგანი ძალების გააქტიურებას, წინარე ცოდნაზე დაფუძნებით, მიეწოდება ახალი ცოდნა, ხდება ცოდნათა ურთიერთდაკავშირება და ორგანიზება, რეალიზდება ცოდნის სამივე კატეგორია. სკოლა არაფორმალური განათლების მიართულებით ასევე უზრუნველყოფს მოსწავლეზე ორიენტირეაბს, რითაც უვითარებს 21-ე საუკუნის უნარ-ჩვევებს. კურიკულუმებიდან, კომპლექსური დავალების ნიმუშებიდან, ასევე სკოლის მიერ მოწოდებული 2023-24 წლის სასკოლო სასწავლო გეგმის პროექტში აღწერილი სკოლის ფილოსოფიის ნაწილიდან გამომდინარე, სადაც მკაფიოდ არის გაწერილი სწავლა-სწავლების ხუთივე კონსტრუქტივისტული პრინციპი, რომლებსაც დაეფუძნება სასწავლო პროცესი, **შეგვიძლია დავასკვნათ, რომ სასწავლო პროცესი მომავალ სასწავლო წელს წარიმართება მოსწავლეზე ორიენტირებულად. ინდიკატორი 2.2.3.2 დაკმაყოფილებულია.**

3. ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით კათედრის წევრთა შორის გამოცდილების გაზიარება, წარმატებების წინაპირობათა განსაზღვრა და პრობლემების გადაჭრის გზების ძიება, სხვა საგნობრივ კათედრებთან ძალიან მნიშვნელოვანია. ამის უზრუნველყოფისათვის კი მეტად მნიშვნელოვანია თანამშრომლობა, გუნდურობა. გასაუბრებისას პედაგოგებმა აღნიშნეს, რომ ისინი ერთობლივად მუშაობენ კურიკულუმის შემუშავება/განვითარებაზე, უზიარებენ ერთმანეთს თავიანთ გამოცდილებას, რჩევებს. სკოლამ წარმოადგინა ასევე „მოსწავლეთა თვითმმართველობის დებულება“, სადაც მოსწავლეთა თვითმმართველობის ძირითად მიზნებს სხვადასხვა საგნმანათლებლო აქტივობების ორგანიზება თუ მოზარდის გონებრივი და ფიზიკური უნარ-ჩვევების, ჯანსაღი ცხოვრების წესის და სხვა დამკვიდრება წარმოადგენს. იხილეთსოციალურ ქსელში აქტივობების სურათები https://www.facebook.com/profile.php?id=100088407353608 . **ამრიგად, სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციას; ინდიკატორი 2.2.3.3 დაკმაყოფილებულია**

4. სკოლის მიერ წარმოდგენილი მარეგულირებელი დოკუმენტების, კათედრების სხდომის ოქმებისა და მასწავლებლებთან გასაუბრებით დგინდება, რომ თანამშრომლობა სკოლის პრიორიტეტული მიმართულებაა. მასწავლებლები ერთად გეგმავენ გაკვეთილებს და ესწრებიან ერთმანეთს. ასევე აჯამებენ წინა წლის შედეგებს და ერთად ქმნიან მომდევნო წლის კურიკულუმს. ერთად არჩევენ რომელ კომპლექსურ დავალებას განახორციელებენ, რომელმა გამოიწვია მოსწავლეებში მეტი დაინტერესება, ერთობლივად ქმნიან სასწავლო რესურსებს. სკოლაში თანამშრომლობითი კულტურის მაგალითია „კრიტიკული მეგობრის“ ინსტიტუტის არსებობა სკოლაში, რის საშუალებითაც კათედრის წევრები ესწრებიან და აფასებენ

კოლეგების მიერ ჩატარებულ გაკვეთილებს და აკეთებენ შესაბამის უკუკავშირებს. სკოლამ წარმოადგინა ასევე „მოსწავლეთა თვითმმართველობის დებულება“, სადაც მოსწავლეთა თვითმმართველობის ძირითად მიზნებს სხვადასხვა საგნმანათლებლო აქტივობების ორგანიზება თუ მოზარდის გონებრივი და ფიზიკური უნარ-ჩვევების, ჯანსაღი ცხოვრების წესის და სხვა დამკვიდრება წარმოადგენს. სოციალურ ქსელში აქტივობების სურათები https://www.facebook.com/profile.php?id=100088407353608 . ინტერვიუირებისას მასწავლებლებმა ისაუბრეს იმაზე, პრაქტიკულად როგორ უწყობენ ხელს პოზიტიური კლიმატისა შექმნას კლასის დონეზე სადამრიგებლო საათებით, ხოლო სკოლის დონეზე პროექტებით, კლუბური მუშაობითა და აქტივობებით, სადაც ყველას შეუძლია საკუთარი ინდივიდუალური საჭიროებების გამოვლენა და განვითარება. **ინდიკატორი 2.2.3.4. დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სასკოლო სასწავლო გეგმა;
- სასკოლო კურკულუმები;
- განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები;
- 2023-2024 წლის სასკოლო საასწავლო გეგმის პროექტი;
- კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია;

- სკოლის შინაგანაწესი 2022-2023;
- მოსწავლეთა თვითმმართველობის დებულება;
- 2022-2023 ერთწლიანი სამოქმედო გეგმა;
- სკოლის სოციალური ქსელი https://www.facebook.com/profile.php?id=100088407353608

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.3. კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება

2.3.1. მიმდინარე პროცესების მონიტორინგი და შეფასება წარმოადგენს სასწავლო პროცესის თანმდევ განუყოფელ ნაწილს

1.მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად;
2.მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას;
3.მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:
1. სკოლას წარმოდგენილი აქვს კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია. ცალკეული ინსტრუმენტების შეფასების რუბრიკების მიხედვით აქცენტები კეთდება მოსწავლეთა მიღწევების ანალიზზე, მაგრამ იმისათვის, რომ სრულად გაიზომოს/განისაზღვროს ეროვნული სასწავო გეგმის მიხედვით, როგორ მიმდინარეობს სასწავლო პროცესი და რა შედეგებზე გადიან მოსწავლეები, აუცილებლია კურიკულუმის მეთოდოლოგიის ინსტრუმენტზე დაყრდნობით შექმნილი კურიკულუმის საფუძველზე სასწავლო პროცესის დიაგნოსტირება. როგორც შესწავლილი სასკოლო დოკუმენტებით ირკვევა, სკოლაში მიმდინარეობს განხორციელებული კურიკულუმების მონიტორინგი, ანალიზი და შეფასება, რასაც კათედრები საკუთარი უფლებამოსილების ფარგლებში ახორციელებენ. სკოლის მიერ შემუშავებული ,,სასკოლო კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია“ მოიცავს პრინციპებს, რომელსაც ეფუძნება სასკოლო კურიკულუმი. იგი განსაზღვრავს კურიკულუმის განვითარების ეტაპებს, რომელშიც დაზუსტებულია ყველა ჩართული პირის ფუნქცია, განსაზღვრულია კურიკულუმის დანერგვის მექანიზმები, ასევე ამ პროცესის მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმები. სკოლის დირექციის განმარტებით, მიმდინარეობს მუშაობა სასკოლო კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიის სრულყოფაზე, სადაც განისაზღვრება თუ რა პერიოდულობით მოხდება მონიტორინგი, ვინ გააკეთებს, რომელ წყაროებს შეისწავლიან, როგორი იქნება შეფასება. საგნობრივი კურიკულუმის მონიტორინგისა და შეფასების წარმოებაში მნიშვნელოვანი ელემენტებია მოსწავლეების შედეგების დიაგნოსტირება, მასწავლებლების პროფესიული საჭიროებების იდენტიფიცირება, სკოლის ინსტიტუციური განვითარება და ყოველივე ამის საფუძველზე დანერგვის ინსტრუმენტების სრულყოფა.**ინდიკატორი 2.3.1.1 დაკმაყოფილებულია**
2. საბაზო საფეხურის მასწავლებლებთან ინტერვიუს პროცესში გამოიკვეთა, რომ კათედრაზე არის მაღალი თანამშრომლობრივი კულტურა, კერძოდ პედაგოგები კურკულუმის შექმნის პროცესში თანამშროლობენ, ასევე მისი განხორციელების პროცესში ხდება ურთიერთდასწრებები გაკვეთილებზე და მიღებული შედგების ანალიზი, უკუკავშირის გაცნობა ერთმანეთის მიერ და სასწავლო პროცესში თანამშრომლობა. აქედან გამომდინარე შეიძლება ითქვას, რომ მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას.

მასწავლელებელთა რეფლექსიები მოწმობს, რომ სკოლას გააზრებული აქვს სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერისა და დახმარების მნიშვნელობა სასკოლო კურიკულუმის მონიტორინგისა და შეფასების პროცესში. სკოლის მიერ ატვირთულ დოკუმენტაციაში, მასწავლებელთა მიერ განხორციელებულ კვლევებში ჩანს, რომ ისინი მუდმივად ზრუნავენ საკუთარი პრაქტიკის ურთიერთგაზიარებაზე, პრობლემური საკითხების გამოვლენასა და მისი დაძლევის გზებზე. პედაგოგებთან ინტერვიუს პროცესში გამოიკვეთა, რომ კათედრაზე არის მაღალი თანამშრომლობრივი კულტურა, კერძოდ პედაგოგები კურიკულუმის შექმნის პროცესში თანამშროლობენ, ასევე მისი განხორციელების პროცესში ხდება ურთიერთდასწრებები გაკვეთილებზე და მიღებული შედგების ანალიზი, უკუკავშირის გაცნობა ერთმანეთის მიერ და სასწავლო პროცესში თანამშრომლობა. შესწავლილი დოკუმენტაციიდან გამომდინარე, **შეგვიძლიათ დავსკვნათ, რომ მომავალ წელს მონიტორინგი და შეფასება მოემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას, ისე, როგორც ეს გაწერილია მეთოდოლოგიის დოკუმენტში.**

ინდიკატორი 2.3.1.2 დაკმაყოფილებულია

3. პედაგოგებთან ინტერვიუს პროცესში და წარმოდგენილი მასალებით გამოიკვეთა, რომ სასწავლო პროცესში დაკვირვება ხდება ურთიერთდასწრებებით, მოსწავლეთა მიღწევების ანალიზით, ცალკეული აქტივობებისა და დავალებების მიხედვით. ეს ხდება ცალკეულ მასწავლებლებთან და აქვს სპონტანური ხასიათი. სკოლის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტებში ვკითხულობთ, რომ სკოლა ახორციელებს მონიტორინგსა და შეფასებას, რომელსაც მიიჩნევს პრობლემის გადაჭრის გზად. სახელმწიფო კათდრის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციაზე დაყრდნობით, ასევე ინტერვიურების პროცესში მასწავლებელთა მიერ გამოთქმული მოსაზრებებით დგინდება, რომ სკოლაში ამ ეტაპზე არსებული მონიტორინგისა და შეფასების არსებული პრაქტიკა მიმართულია პრობლემების გადაჭრისაკენ, სკოლას აქვს ხედვა, თუ რა გზითა და საშუალებებით განახორციელებს აღნიშნულ პროცესს მომავალში მისი სისტემაში მოყვანისა და საასწავლო პროცესზე სასურველი შედეგების ასახვის მიზნით. **სკოლას აქვს ხედვა, თუ რა გზითა და საშუალებებით განახორციელებს აღნიშნულ პროცესს მომავალში მისი სისტემაში მოყვანისა და საასწავლო პროცესზე სასურველი შედეგების ასახვის მიზნით. 2.3.1.3 დაკმაყოფილებულია**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- შეფასების რუბრიკები;
- კურიკულუმი;
- განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები;
- კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია;

2.3.2. სასწავლო პროცესის შეფასება ატარებს ჰოლისტურ ხასიათს

1.შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს;
2.შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით;
3.შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები;
4.შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:
1. კათედრები შეფასებისას იყენებენ საგნობრივი სტანდარტის ფარგლებში შემუშავებული შეფასების რუბრიკებს, ასევე კომპლექსური დავალებების შესაბამისად შექმნილი განმავითრებელი და განმსაზღვრელი შეფასების კრიტერიუმებს, რომლებიც ეყრდნობა სამიზნე ცნებისა და მასთან დაკავშირებული მკვიდრი წარმოდგენების გააქტიურებას, ასევე თემის ფარგლებში მისაღწევ შედეგებს. ამავდროულად, ის გეგმავს და ატარებს დიაგნოსტიკურ ტესტირებებს, რაც შესაძლებლობას აძლევს ერთმანეთს შეადაროს და ჰოლისტური სახით წარმოადგინოს ხვადასხვა წყაროზე დაყრდნობით მიღებული შედეგები. ჩანს, რომ სწავლების პროცესში მასწავლებლები იყენებენ მრავალფეროვან აქტივობებს, როლებიც მიმართულია სხვადასხვა ტიპის შემსწავლელთა გამოვლენისა და მათ საჭიროებებზე მორგებული დავალებების შექმნისაკენ. განხორციელებული კომპლექსური დავალების ნიმუშები ცხადყოფს, რომ მასწავლებლები ცდილობენ მის დაგეგმვას იმგვარად, რომ მონაცემების შეგროვება მოხდეს მრავალფეროვანი მეთოდებით, სხვადასხვა წყაროსა და რესურსის გამოყენებით, რაც შეამცირებს შეფასების ვარიაციის შეცდომას და შესაძლებლობას მისცემს მათ სრული სურათის წარმოსადგენად. მოსწავლეების შეფასება არ არის ორიენტირებული მხოლოდ კომპლექსური დავალების საბოლოო პროდუქტის შეფასებაზე. მოსწავლის შეფასება ხდება კომპლექსური დავალების მიმდინარეობის დროს, სხვადასხვა აქტივობების საშუალებით. მასწავლებლებთან ინტერვიებისას გამოიკვეთა, რომ მოსწავლეთა შეფასებისას გათვალისწინებულია არა მარტო მათი აკადემიური უნარები, არამედ სოციალური და ოჯახური მდგომარეობა. ამგვარი პოზიცია მასწავლებლებს აძლევს შესაძლებლობას შეფასება იყოს ჰოლისტური ხასიათის.**აქედან გამომდინარე, შეგვიძლია ვიფიქროთ, რომ მომავალ სასწავლო წელს სასწავლო პროცესის შეფასება დაეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს.**
ინდიკატორი 2.3.2.1 დაკმაყოფილებულია

2. პედაგოგების მიერ მოსწავლეთა შეფასება ხორციელდება განმსაზღვრელი და განმავითარებელი შესაფასების ინსტრუმენტების მიხედვით. მაგრამ იმისთვის, რომ სტანდარტის შედეგების მიხედვით მოხდეს მოსწავლეთა მიღწევების სრულად გაზომვა, აუცილებელია სხვადასხვა ინსტრუმენტების შემუშავება. კერძოდ, სადიაგნოსტიკო ინსტრუმეტი, განმსაზვრელი და განმავითარებელი შეფახების რუბრიკები სტანდარტზე დაფუძნებით. სკოლას აქვს მასწავლებელთა მიერ განხორციელებული კვლევების გამოცდილება, სადაც იკვეთება, რამდენად ეფექტურია მათი შემუშავებული ინტერვენცია სწავლის შედეგების თვალსაზრისით, რომელიც ასახავს სხვადასხვა კონტექსტის გათვალისწინებას მოსწავლეთა შეფასებისას. ინტერვიუს დროს მასწავლებლები საუბრობენ იმის შესახებ, რომ შეფასებისას ითვალისწინებენ მრავალგვარ კონტექსტს, როგორებიცაა: შესასწავლი თემა და საკითხი, მოსწავლეთა აკადემიური მოსწრება, სწავლის პერიოდი, მოსწავლეთა ინტერესები და შესაძლებლობები, საფეხურის ფარგლებში ცნებების დაფარვის ხარისხი და მათი დასკვნის ვალიდაციას სწორედ მრავალი კოტექსტიდან დანახული სიტუაცია უზრუნველყოფს. **მაშასადამე, შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით; ინდიკატორი 2.3.2.2 დაკმაყოფილებულია**

3. შესწავლილი დოკუმენტაციის დასტურდება, რომ მასწავლებელები საჭირო დროს მიმართავენ დიაგნოსტიკურ შეფასებას. სკოლას აქვს ჩარჩო, თუ როგორ განაზოგადოს დიაგნოსტიკური კვლევის პროცესში მიღებული შედეგები. ასევე, მასწავლებლები პრაქტიკის კვლევის პროცესში იყენებენ ინტერვიუს, ფოკუს-ჯგუფებს, ტესტირებას, ანკეტირებას და სხვ. იცნობენ მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვან მეთოდებს, სხვადასხვა დროს მიმართავენ დისკუსიებს, პროექტულ სწავლებას, რაც საშუალებას აძლევს მათ შეფასების შედეგების შესახებ ინფორმაცია სხვადასხვა მეთოდით მოიპოვონ.

ინდიკატორი 2.3.2.3 დაკმაყოფილებულია.

4. წარმოდგენილი მასალებიდან ირკვევა და მასწავლებელთა ინტერვიუებიდანაც დასტურდება, რომ მასწავლებლები სწავლების თითქმის ყველა საფეხურზე იყენებენ სწავლების დიფერენცირებულ მიდგომებს. გამომდინარე იქიდან, რომ მოსწავლეზე, მის სასწავლო სიტუაციაზე, გარემოებაზე გავლენას ახდენს არა მხოლოდ უშუალო გარემომცველი მიკროსისტემა, არამედ ფაქტორთა მთელი რიგი სხვადასხვა სისტემებიდან, სკოლა აცნობიერებს და გეგმავს, რომ კურიკულუმის მონიტორინგისა და შეფასების დოკუმენტში, რომლის შექნაზეც სკოლა ახლა მუშაობს და რომლის კონტურებიც გამოკვეთილია დოკუმენტში 2023-2024 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმის პროექტში, ნათლად გაწეროს ყველა იმ ფაქტორის ზემოქმედება, რაც მომავალში გავლენას მოახდენს მოსწავლეთა შეფასების სრული სურათის შექმნაზე. მნიშვნელოვანია, რომ შეფასებისას საჭიროა სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინება. შეფასების რუბრიკები ყველა საგანში ის ეფექტური ინსტრუმენტებია, რომელიც გამოიყენება როგორც მოსწავლეების ნამუშევრის, ასევე მუშაობის პროცესის შეფასების მიზნით. სკოლაში დიფერენცირებული მიდგომების პრაქტიკა არის საშუალება შეფასდეს მოსწავლეთა უნარები, დაისახოს მათი ჰოლისტური განვითარების გზა. ამდენად, სკოლა ახალ კურიკულუმში გეგმავს ისეთი

სტრატეგიების დანერეგვას, რომელიც ორიენტირებული იქნება თითოეული მოსწავლის ინტერესისა და უნარის დადგენაზე. **ამრიგად, სკოლას აქვს მზაობა შეფასება გახორციელდეს სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით.**
ინდიკატორი 2.3.2.4 დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- კურიკულუმი;
- 2023-2023 წლის სასკოლო სასწავლო გეგმის პროექტი;
- განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები;
- კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია;

შეფასება:
- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია
2.4.1 წლიური მუშაობის შედეგად იქმნება კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია

1.იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი;
2.კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. შესწავლილი დოკუმენტაცია ცხადყოფს, რომ სკოლას ბოლო წლების მანძილზე აქვს კურიკულუმების შემუშავებისა და განხორციელების პრაქტიკა, რომელიც ორიენტირებულია ცნებებით სწავლების დანერგვაზე, როგორც გრძელვადიანი სასწავლო ორიენტირის გამოყენებაზე. მათ აქვთ პრაქტიკული გამოცდილება სწავლების ყოველ წელს ანალიზის საფუძველზე გააკეთონ დასკვნები, გადახედონ საფეხურის ფარგლებში მიღწეულ შედეგებს და სასწავლო პროცესი დაგეგმონ გამოვლენილი პრობლემებისა და საჭიროებების საფუძველზე. ამას მოწმობს მასწავლებელთა სკოლის ფარგლებში არსებული პრაქტიკის ურთიერთგაზიარება, რაც დასტურდება მათ მიერ წარმოდგენილი დოკუმენტებისა და ინტერვიურების პროცესში, ასევე ჩანს კათედრების მიერ წარმოდგენილ მასალებსა და პედაგოგთა რეფლექსიებში. სკოლა ახლა მუშაობს საჭიროებათა პაკეტის შემუშავებაზე, რომელიც იქნება მთავარი დასაყრდენი ახალი სასწავლო წლის კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერისათვის. სკოლა გეგმავს მისი საუკეთესო პრაქტიკის გამოყენებას სასწავლო პროცესის გასაუმჯობესებლად და ამ გამოცდილების გათვალისწინებით პასუხისმგებლობის გაზიარებას სასკოლო საზოგადოების წევრებს შორის მის ყველა დონეზე: ადმინისტრაცია, მასწავლებელი, მოსწავლე, მშობელი. სკოლაში ვიზიტისას გამოიკვეთა, რომ სკოლა შეფასების შედეგებს გამოიყენებს არსებულ კურიკულუმში ცვლილებების შეტანის მიზნით. **ამრიგად, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი;ინდიკატორი 2.4.1.1დაკმაყოფილებულია**

2. სკოლას გააზრებული აქვს, რომ კათედრა კურიკულუმის განვითარების პროცესში უნდა დაეყრდნოს წინარე გამოცდილებას და გაითვალისწინოს მონიტორინგისა და შეფასების შედეგები, რასაც წინარე გამოცდილებისას მხოლოდ ფრაგმენტული ხასიათი ჰქონდა. სამომავლოდ ამ კუთხით სკოლა აპირებს დაგეგმოს კონკრეტული მონიტორინგის გეგმა (პაკეტი), რომლის ფარგლებში გაეცნობიან საბაზო/საშუალო კლასების მასწავლებელთა გამოცდილებებს, გავლილ კურიკულუმებს, გააანალიზებენ შედეგებს და ანალიზისა და აზრთა გაზიარების საფუძველზე, შექმნიან გადამუშავებულ ვერსიას. სკოლას აქვს მზაობა დახვეწოს, განავითაროს თავისი პრაქტიკა ამ კუთხით. მაგრამ, სკოლაში არსებობს მასწავლებლების მიერ დაგეგმილი და რეალიზებული პროცესების (კომპლექსური დავალებები, სასწავლო თუ სასკოლო პროექტები) რეფლექსიები, გამოცდილების ურთიერთგაზიარების პრაქტიკა, რაც დასტურდება მასწავლებელთა ინტერვიუებითა და კათედრის ჩანაწერებით. **ამრიგად, სკოლას აქვს მზაობა კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია მყარად დააფუძნოს წინარე გამოცდილებას , სადაც გათვალისწინებული იქნება მონიტორინგისა და შეფასების შედეგები.**

ინდიკატორი 2.4.1.2 დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- კურკულუმი;
- სასკოლო სასწავლო გეგმა;
- კათედრების ოქმები;
- 2023-2024 წლის სასკოლო სასწავლო გეგმის პროექტი;

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

I. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

ცხრილი ივსება თითოეული კურიკულუმისთვის ცალ-ცალკე

II. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

სტანდარტი 2	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სასკოლო კურიკულუმი **საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა**	**☒ შეესაბამება** **☐ მეტწილად შეესაბამება** **☐ ნაწილობრივ შეესაბამება** **☐ არ შეესაბამება**
კომონენტი 2.1 კურიკულუმის შემუშავება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.2 კურიკულუმის განხორციელება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.3 კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

2. სასკოლო კურიკულუმი

2.1. კურიკულუმის შემუშავება

2.1.1. კურიკულუმის შემუშავებაში ჩართულია სასკოლო საზოგადოება

1.კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას;
2.კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები;
3.კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;
4.კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:
1. სკოლას აქვს სასკოლო კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიის ამსახველი დოკუმენტი, თუმცა მკაფიოდ არ ჩანს თუ როგორ ხდება სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტების შესწავლა და კურიკულუმში ასახვა, არ ჩანს კურიკულუმის შემუშავების პროცესი, დიზაინი, ვის რა ფუნქცია აქვს;როგორ ხდება სასწავლო პროცესის შესახებ მონაცემთა შეგროვება და გათვალისწინება;რა ფორმით აღიწერება სწავლა-სწავლების მიზნები, მეთოდები და შეფასების ფორმები, მისი რეალიზების დრო და სივრცე. თუმცა სკოლას წარმოდგენილი აქვს სასკოლო კურიკულუმი , რომელიც გთვალისწინებულია დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურისათვის.დოკუმენტების შესწავლისა და საბუნებისმეტყველო საგნის,საზოგადოებრივი მეცნიერებების,ესთეტიკური აღზრდის,ტექნოლოგიების,ფიზიკური აღზრდისა და სპორტის,სახელმწიფო ენის,უცხოური ენების,მათემატიკის მასწავლებლებთან გასაუბრებაზე დაყრდნობით იკვეთება, რომ კურიკულუმის შემუშავების პროცესში მასწავლებლები აქტიურად თანამშრომლობენ საგნობრივ ექსპერტებთან, იღებენ რჩევებსა და რეკომენდაციებს, მსჯელობენ და აწყობენ განხილვას კათედრებზე, მასწავლებლები თანამშრომლობენ როგორც ერთმანეთთან, ასევე სხვა კათედრებთანაც. მასწავლებლები წინასწარ უგზავნიან კომპლექსური დავალების ბარათებს მშობლებს, მათთან კომუნიკაცია არის მნიშვნელოვანი მოსწავლეთა ინტერესებისა და შესაძლებლობების გათვალისწინებისთვის. მასწავლებლების მიერ იქმნება მატრიცის ჩარჩო, ამ ჩარჩოთი განისაზღვრება სამიზნე ცნება, ქვეცნება,საკითხი, კომპლექსური დავალების პირობა, სასწავლო რესურსები. მასწავლებლები აღნიშნავენ, რომ კურიკულუმის შემუშავების პროცესში სხვა კათედრებთან

აქტიურად თანამშრომლობენ, ითვალისწინებენ ერთმანეთის მოსაზრებებს, გამოცდილებებს, მოსწავლეთა ინტერესებსა და საჭიროებებს.**ინდიკატორი 2.1.1.1 დაკმაყოფილებულია**

2. საშუალო საფეხურის კურიკულუმის ჩარჩოს შექმნის პროცესში პედაგოგებმა გაითვალისწინეს მიმდინარე 2022-2023 სასწავლო წლის კურიკულუმის მიხედვით სასწავლო პროცესის ფარგლებში გამოკვეთილი დეტალები, მოსწავლეთა საჭიროებები, ინტერესები, სურვილები და შესაბამისი შინაარსი ასახეს მომდევნო სასწავლო წლის კურიკულუმში. მაგ:საზოგადოებრივი მეცნიერებების კათედრის მასწავლებლებთან ინტერვიუების დროს აღინიშნა, რომ სკოლა ატარებს კვლევას, რომლის შედეგადაც გამოიკვეთება სასკოლო საზოგადოების, კერძოდ, მშობლებისა და მოსწავლეების ინტერესები, საჭიროებები და ყოველივე ეს გათვალისწინებული იქნება მათი მხრიდან სასკოლო კურიკულუმების ჩამოყალიბებისას. მაგ. სასკოლო ექსკურსიები, სახლმუზეუმებში ვიზიტი და ა. შ.ასევე მშობელთა ინტერესების დასადგენად ტარდება სხვადასხვა ტიპის გამოკითხვა, საერთო სასკოლო პროექტის შერჩევის, საწრეო და საკლუბო საქმიანობის განსაზღვრის პროცესში გათვალისწინებულია მოსწავლეთა ინტერესები. **ინდიკატორი 2.1.1.2 დაკმაყოფილებულია**

3. გასაუბრებისას პედაგოგებმა აღნიშნეს, რომ ისინი ერთმანეთთან თანამშრომლობენ და ერთად შეიმუშავებენ საგნობრივ კურიკულუმებს, მსჯელობენ რომელმა კომპლექსურმა გაამართლა და რომელმა არა, აკეთებენ წერილობით რეფლექსიებს. გარდა ამისა, ავტორიზაციის პროცესების მხარდაჭერის მიზნით განათლების სამინისტროს მიერ შემოთავაზებული აქტივობების ფარგლებში საგნობრივმა კათედრებმა შექმნეს 2023-2024 სასწავლო წლის კურიკულუმის ჩარჩოები, რომელიც გულისხმობს კათედრების მიერ განვილი სასწავლო წლის რეფლექსიასა და სამომავლო ხედვის ჩამოყალიბებას: რამდენ კომპლექსურ დავალებას განახორციელებენ სემესტრის განმავლობაში, რომელ განმავითარებელი თუ განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკებს შეიმუშავებენ, რომელ სადიაგნოსტიკო ინსტრუმენტს აირჩევენ და სხვა. კურიკულუმები იქმნება კათედრის წევრების აქტიური თანამშრომლობითა და ჩართულობით. ამის შესახებ მასწავლებლები თავად საუბრობენ ინტერვიუს პროცესში. აგრეთვე, თითოეული მასწავლებლის როლი კურიკულუმების შემუშავებისას გაწერილია კათედრის სხდომების ოქმებში, პასუხისმგებელი პირები მინიშნებულია კათედრის სამოქმედო გეგმაშიც. ინტერვიუდან იკვეთება კურიკულუმების შემუშავებაში სასკოლო საზოგადოებისა და დაინტერესებული პირების ჩართულობაც. **კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;**

ინდიკატორი 2.1.1.3 დაკმაყოფილებულია

4. როგორც კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიაშია აღნიშნული, კურიკულუმი ვითარდება მოსწავლეების, მშობლების, მასწავლებლებისა და დირექციის აქტიური ჩართულობით და ითვალისწინებს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებს, აქედან გამომდინარე ლოგიკურად შემიძლია ვთქვათ, რომ კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ. სკოლას აქვს მოქმედი სოციალური ქსელი, სადაც განთავსებულია სკოლის პროექტები, აქტივობები,

https://www.facebook.com/profile.php?id=100088407353608 მასწავლებლები მშობლებს უზიარებენ კომპლექსური დავალების ბარათებს. დამრიგებლები ახდენენ მშობელთა გამოკითხვას, რაც საშუალებას იძლევა გაიცონონ მოსწავლეთა ინტერესები და საჭიროებები, რომლებიც გათვალისწინებული იქნება კურუკულუმის დანერგვისა და განხორციელების პროცესში. სკოლაში განხორციელებული სპორტული ღონისძიებები სკოლის სოციალური ქსელის საშუალებით გაზიარებული იყო სასკოლო საზოგადოების მიერ. კათედრის მიერ შემუშავებული კურიკულუმებში ჩაშენებული და განსახორციელებელი კომპლექსური დავალებები ითვალისწინებს სხვადასხვა სპორტულ ღონისძიებებს, ფესტივალს, რომლის შესახებაც ინფორმაცია მიეწოდებათ სოციალური ქსელისა და მშობელთა კრებების საშუალებით. როგორც გასაუბრებისას სკოლის წარმომადგენლებემა აღნიშნეს, დაგროვილი გამოცდილების საფუძველზე სკოლა გეგმავს მომავალი სასწავლო წლიდან გააქტიუროს მოსწავლეებთან და მშობლებთან სათანადო კომუნიკაცია და ინფორმაციების გაცვლა-გამოცვლა. სკოლა გეგმავს მშობლებთან მიზნობრივი შეხვედრების ორგანიზებას.**ინდიკატორი 2.1.1.4 დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია;
- 2022-2023 სასწავლო წლის მიმდინარე კურიკულუმი დანართის სახით;
- 2023-2024 სასწავლო წლის კურიკულუმის ჩარჩოები;
- სადამრიგებლო პროგრამა;
- სკოლის 2023-2024 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმის პროექტი;
- სკოლის სოციალური ქსელი https://www.facebook.com/profile.php?id=100088407353608
- საშუალო საფეხურის კომპლექსური ბუნების დავალებების ბარათები;

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

2.1.3 კურიკულუმი ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმის საგნობრივი სტანდარტების და მეთოდური ორიენტირების მოთხოვნებს

1.შემუშავებული კურიკულუმი/ები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას;
2. კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს (გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი), მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები);
3.სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს;
4.განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს;
5.დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია წინარე გამოცდილების ანალიზი.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. კათედრების მიერ წარმოდგენილია საშუალო საფეხურის საგნობრივი კურიკულუმის ჩარჩოები, რომლებიც ნათელყოფს მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის დანერგვის პროცესს კურიკულუმებში ერთი ან ორი თემის ფარგლებში მოცემულია კომპლექსური ბუნების დავალებები, კონტექსტ მაგალითები, რესურსები. კურიკულუმებში გათვალისწინებულია ყველა სავალდებულო თემა, თუმცა ყველა თემაზე კომპლექსური ბუნების დავალებების შექმნა იგეგმება მომავალი სასწავლო წლისთვის. კურიკულუმებში გაწერილი საგანმანათლებლო აქტივობები შეიძლება ჩაითვალოს,როგორც მოსწავლეებში შემოქმედებითი უნარების გააქტიურებაზეა ორიენტირებული.კომპლექსური დავალებების პირობები, აღიარებს მოსწავლეს,როგორც სწავლა-სწავლების აქტიურ სუბიექტს და სწავლის პროცესი განიხილება, როგორც ცოდნის აქტიური კონსტრუირების პროცესი,რომელიც თავად მოსწავლემ უნდა აწარმოოს.კურიკულუმებში, ინტეგრირებულია მეტაკოგნიციის განვითარების სტრატეგიები,წახალისებულია რეფლექსია

მოსწავლის შესრულებულ სამუშაოზე:რა გამომივიდა კარგად.,რატომ?რა იყო ცოდნის ის გამოცდილება,რამაც წარმატება მომიტანა? ამ პროცესებს ადასტურებს მასწავლებლებთან გასაუბრების შედეგებიც. **ინფიკატორი 2.1.2.1 დაკმაყოფილებულია**

2. საშუალო საფეხურზე წარმოდგენილი კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს. არსებული კომპლექსური დავალებებითა და კომპლექსური დავალების ბარათებით ჩანს, რომ სასწავლო პროცესი ორიენტირებულია გრძელვადიან მიზნებზე. სკოლის მიერ წარმოდგენილ სასკოლო კურიკულუმის ჩარჩოებში იკითხება, რომ მომდევნო სასწავლო წელს დაგეგმილი პროცესები ხელს შეუწყობს მოსწავლის წინარე ცოდნის გააქტიურებასა და ახალ ცოდნამდე მიყვანის პროცესს. კურიკულუმის ჩარჩოები აგებულია იმ თემების გათვალისწინებით, რომლებიც ნაცნობი კონტექსტია მოსწავლისთვის, ეს დაეხმარება მას ახალი ინფორმაციის წინარე ცოდნასთან დაკავშირებაში, დამუშავებასა და გააზრებაში. შერჩეული კომპლექსური დავალებები შემლებისდაგვარად გათვლილია ისეთი გლობალურ-ფუნქციური უნარების განვითარებაზე, როგორებიცაა: მოქალაქეობა, კრიტიკული აზროვნება, შემოქმედებითობა, თანამშრომლობა, კომუნიკაცია და სხვა (სახელმწიფო ენა). საშუალო საფეხურის ჩარჩო კურიკულუმებზე დაყრდნობით სახვით და გამოყენებით ხელოვნებასა და მუსიკაში მკაფიოდ ჩანს რომ, სასწავლო პროცესი იგეგმება საფეხურების მიხედვით განსაზღვრავრული საგნობრივი მოთხოვნების შესაბამისად , თემატური ბლოკების/თემების ფარგლებში, სადაც მუშავდება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული საფეხურის შედეგი და გრძელვადიანი სამიზნე ცნებები, მასთან დაკავშრებული ქვეცნებები. კომპლექსური დავალებები. საკითხები, კონტექსტ მაგალითები, გააზრებულია პროცესი საშუალო საფეხურის კურიკულუმებით დასტურდება რომ, სასწავლო პორცესში კომპლექსური დავალება განიხილება, როგორც შუალედური სასწავლო მიზანი.**ინდიკატორი 2.1.2.2 დაკმაყოფილებულია**

3. სკოლის მიერ წარმოდგენილი საგნობრივ კურიკულუმებში საშუალო საფეხურზე მაგ:ქიმიქ,ფიზიკა,გეოგრაფია, ბიოლოგია, შეტანილი კომპლექსური დავალების პირობიდან, მისი განხორციელების გზებისა და საშუალებების შემოთავაზების პროცესში შუალედური სასწავლო მიზნის მიღწევის აუცილებელ ინსტრუმენტია კომპლექსური დავალება, რომელშიც მასწავლებელს გაითვალისწინებული აქვს მოსწავლეთა ინტერესები, შესაძლებლობები და საჭიროებები და მათ შესაბამის დავალებებს სთავაზობს , ცალკეული მოსწავლეებისთვის კი ამ დავალების ადაპტირებული ვერსიაა მოამზადებული (იგულისხმება არა მხოლოდ სსსმ, არამედ კლასის ნებისმიერი მოსწავლე, თუ დავალების ადაპტირებას საჭიროებს). დავალებების კომპლექსურ ბუნებასა და მრავალფეროვნებაზე (პროდუქტი) - დავალება აძლევს მოსწვალეს შესაძლებლობას გამოხატოს საკუთარი აზრი, ცოდნა, დამოკიდებულება მრავალი და მისთვის ეფექტური საშუალებით. დავალების პირობა ისეა შემუშავებული, რომ მოსწავლეებს ეძლევათ სხვადასხვა არჩევანი ერთი და იგივე საკითხის დამუშავებისა და ერთსა და იმავე სამიზნე ცნებაზე მუშაობისას და მოსწალის საბოლოო პროდუქტიც მრავალფეროვანი იქნება, (ესე, პოსტერი, მოხსენება, პრეზენტაცია, კომიქსი, სიმღერა, სცენარი თუ სხვა.)**აქედან გამომდინარე**

ჩანს, რომ კათედრებს აქვთ ხედვა და მზაობა სასწავლო პროცესში გაითვალისწინონ დიფერენცირებულ/ინკლუზიური მიდგომები. ინდიკატორი 2.1.2.3 დაკმაყოფილებულია

4. კათედრების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციიდან ირკვევა, რომ სკოლა აქტიურად იყენებს განმავითარებელი შეფასების სხვადასხვა ინსტრუმენტს, როგორც საგაკვეთილო თემის შესაბამისად, ასევე მოსწავლეთა ასაკობრივი და ინდივიდუალური თავისებურებების გათვალისწინებით. ახალი 2023-2024 სასწავლო წლიდან განმავითარებელი შეფასება მოხდება კომპლექსური დავალებების შესაბამისი კრიტერიუმების მიხედვით. ამჟამად სკოლა იყენებს განმსაზღვრელი შეფასების პირველ მოდელს. კათედრას აქვს შემუშავებული განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები, რომლებიც მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს. მაგ: მათემატიკის კათედრამ წარმოადგინა 1 სანიმუშო განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკა ცალკე ფაილად. რუბრიკა ეფუძნება საშუალო საფეხურის მათემატიკის სტანდარტს და მასში გაწერილ ინდიკატორებს. სკოლას აქვს მზაობა, სამივე კლასშიც შექმნან ყველა თემისთვის განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკა. ასევე ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ გააზრებული აქვთ განმსაზღვრელი შეფასების როლი სწავლის შედეგების აღწერასა და მიღწევის საერთო მაჩვენებელთან მიმართებით. განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს. კერძოდ: ისინი დიდ ყურადღებას უთმობენ განმავითარებელ შეფასებას და კონკრეტულ კომპლექსურ დავალებაზე მუშაობისას, აკვირდებიან პროცესს, ინიშნავენ მოსწავლეთა აქტივობებს და პერიოდულად აწვდიან უკუკავშირს, სადაც აღნიშნავენ რა გააკეთეს კარგად და რა აქვთ გამოსასწორებელი. უკუკავშირს უბრუნებენ კონკრეტული კომპლექსური დავალების ფარგლებში წარსადგენ პროდუქტთან მიმართებით. გამომდინარე იქიდან, რომ კომპლექსური დავალება არის გრძელვადიან მიზნამდე მისვლის საშუალება, მასწავლებლის მიერ გაცემული განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებს. გარდა ამისა, ასეთი მიდგომით, უზრუნველყოფილია საკითხის სიღრმისეული შესწავლა, მოსწავლე არის აღიარებული და მასწავლებელთან ერთად არის პასუხისმგებელი საკუთარ სწავლასა და განვითარებაზე. რაც შეეხება განმსაზღვრელ შეფასებას, შეფასების რუბრიკებში რომელიც აკვირდებიან პროცესს, ინიშნავენ მოსწავლეთა აქტივობებს და პერიოდულად აწვდიან უკუკავშირს, სადაც აღნიშნავენ რა გააკეთეს კარგად და რა აქვთ გამოსასწორებელი. უკუკავშირს უბრუნებენ კონკრეტული კომპლექსური დავალების ფარგლებში წარსადგენ პროდუქტთან მიმართებით. რაც შეეხება განმსაზღვრელ შეფასებას, შეფასების რუბრიკებში რომელიც წარმოდგენილია ქიმიასა და ბიოლოგიაში მოცემულია კრიტერიუმები რომელიც მიემართება გრძელვადიან მიზნებს და მეთოდიკურ ორიენტირებს. **შესაბამისად, განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა დამეთოდიკურ ორიენტირებს“**

ინდიკატორი 2.1.2.4 დაკმაყოფილებულია

5. საშუალო საფეხურის წარმოდგენილი კურიკულუმები აგებულია იმგვარად, რომ მასში გათვალისწინებულია წინარე გამოცდილება. ინტერვიუს დროს პედაგოგებმა აღნიშნეს, რომ კურიკულუმის აგებისას გაითვალისწინეს სწავლა-სწავლების პროცესში არსებული წარმატებული გამოცდილებაც და გამოწვევებიც. მადასტურებელ მასალად სკოლის დოკუმენტაციაში წარმოდგენილია მასწავლებელთა და მოსწავლეთა თვითშეფასების რეფლექსიის ნიმუშები, საიდანაც ჩანს სკოლის მზაობა ამ მიმართულებით.სასწავლო წლის ბოლოს კათედრა ადგენს ანგარიშებს, რომლებიც მოიცავს ისეთ საკითხებს, როგორიცაა: შემაჯამებელი და კომპლექსური დავალებების ანალიზი, ჩატარებული გაკვეთილების ნუსხა, კოლეგების ურთიერთდასწრება, განხორციელებული სასწავლო პროექტები. ასევე პროფესიული განვითარების კუთხით განხორციელებული აქტივობები, გავლილი ტრენინგები/ვებინარები, კონფერენციაზე დასწრება/მონაწილეობა და სხვა. მასწავლებელთა ანგარიშების საფუძველზე ფასდება არსებული მდგომარეობა, ხდება ძლიერი და გასაუმჯობესებელი მხარეების იდენტიფიცირება, რის შემდეგაც მუშავდება მომავალი წლის კათედრის სამოქმედო გეგმა და პრიორიტეტები. ურთიერთდასწრების გაკვეთილებზე მიღებული უკუკავშირის საფუძველზე თითოეული მასწავლებელი ინდივიდუალურად ადგენს გამოვლენილი სუსტი მხარეების გაუმჯობესების გზებს. ითვალისწინებს რა წინარე გამოცდილებას, ადგენს მომდევნო წლის სამუშაო გეგმას. არჩევს მისი საჭიროებების შესაბამის პროფესიული განვითარების აქტივობებს. ამდენად, სკოლას შექმნილი აქვს „კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის“ დოკუმენტი, რომელშიც გათვალისწინებულია წინარე გამოცდილების ანალიზი. რაც სკოლაში არსებულ გამოწვევებსა თუ მიგნებებს ეყრდნობა. ამ მიზნით კათედრაზე კვლავ იგეგმება ჩატარდეს დიაგნოსტიკური ტესტირება წელიწადში ორჯერ: სასწავლო წლის დასაწყისსა და ბოლოს. სკოლასთან ვიზიტისას რევიზირების პრაქტიკას დამაჯერებლად გაესვა ხაზი. აჯამებენ რა კათედრაზე შედეგეს და უზიარებენ კათედრის წევრები ერთმანეთს მოსწავლეთა მიღწევებს, ყოველივეს ითვალისწინებენ დაგეგმვის პროცესში. მაგალითისათვის გასაუბრებაზე აღნიშნეს ის კომპლექსური დავალებები, რომლებიც განახორციელეს მიმდინარე სასწავლო წელს ეფექტიანობის გამო აღნიშნული კომპლექსურები გათვალისწინებული აქვთ ახალი სასწავლო წლის კურიკულუმშიც. **დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია წინარე გამოცდილების ანალიზი.ინდიკატორი 2.1.2.5 დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- კურიკულუმი;
- მიმდინარე და მომავალი წლის განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასებები;

- სსსმ მოსწავლეზე გაწერილი ინდივიდუალური გეგმების ნიმუშები;
- კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია;
- 2023-2024 წლის სასკოლო სასწავლო გეგმის პროექტი;
- კომპლექსური დავალებები;
- თემატური მატრიცები;
- მასწავლებელთა რეფლექსიები;
- შემაჯამებელთა ანალიზები;
- ინტეგრირებული გაკვეთილების აღწერილობა;

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.2.კურიკულუმის განხორციელება

2.2.1.სასწავლო პროცესი ეფუძნება სწავლა სწავლების კონსტრუქტივისტულ პრინციპებს

1. სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას;
2. ახალი ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით;
3. სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე;

4. სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული);

5. სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის მიერ წარმოდგენილი კურიკულუმის ჩარჩო წარმოდგენას იძლევა, რომ დაგეგმილი და დაწერილი კურიკულუმის რეალიზება ხდება საკლასო გარემოში,სადაც ხდება პრობლემების იდენტიფიცირება და ამ პრობლემების გადაწყვეტის გზები განიხილება.მოსწავლე ხდება აქტიური, რადგან წარმოდგენილი დავალებების მიხედვით მოსწავლე მოტივირებული ხდება და როგორც ჩანს,სწავლობს ფიქრს,,მსჯელობას და პრობლემების გადაჭრის გზებს. ნიმუშად წარმოდგენილია სხვადასხვა სასწავლო პროექტები,ქიმიის მასწავლებლის ინიციატივით სკოლაში შექმნილია კლუბი,,ალქიმიკოსები'',კლუბს გააჩნია წესდება, გაწერილი აქვს სამოქმედო გეგმა,მოსწავლეები მასწავლებლის მხარდაჭერით, ახორციელებენ საინტერესო აქტივობებს,მათ შორის კვლევებს,სადაც შესამჩნევია პოზიტიური სასკოლო კულტურა და საკლასო კლიმატი ეს კი მნიშვნელოვანია მოსწავლის შემოქმედებით პროცესებში ჩართულობისათვის. მე-10 კლასის ქიმიის მასწავლებელმა გასაუბრების დროს წარმოადგინა სასწავლო პროექტი, რომელიც იძლევა წარმოდგენას იმის შესახებ, რომ სკოლაში სასწავლო პროცესი ისეა დაგეგმილი , რომ მოსწავლეებს აქვთ საშუალება აქტიურად ჩაერთონ შეთავაზებულ აქტივობებში, სპორტულ ფესტივალებსა თუ სხვა ღონისძიებში და გამოავლინონ საკუთარი გონებრივი, შემოქმედებითი უნარები.სკოლას აქვს სპორტული კუთხეც, სადაც სასკოლო ფესტივალებში გამარჯვებული ბავშვებისა თუ გუდნების სიგელებეს, თასებს ინახავენ. ეს ყველაფერი კი ძალიან დადებითად მოქმედებს ბავშვების მოტივაციაზე. **შესაბამისად, სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას.ინდიკატორი 2.2.1.1 დაკმაყოფილებულია**

2. სამივე საფეხურზე წარმოდგენილი კურიკულუმის თემები,საკვანძო შეკითხვები, შემოთავაზებული კონტექსტ-მაგალითები,სასკოლო პროექტების ინიცირების წახალისება და მოსწავლისათვის საინტერესო არაფორმალური განათლების წარმოდგენილი ელემენტები,რომელთა განხორციელებული ვერსიებია წარმოდგენილი დაეხმარება მოსწავლეს,რომ სასწავლო პროცესი მოსწავლის გამოცდილებას მიუახლოვდეს.სასწავლო პროცესში საგნობრივი საკითხების შერჩევისას და სწავლებისას მკაფიოდ ჩანს მოსწავლის ინტერესები, საჭიროებები და შესაძლებლობები და მასწავლებელთა მიერ ინტერვიუს დროს დაინიცირებულ მოსწავლის და მასწავლებლის თვითრეფლექსიის ნიმუშში მოაზრებულია შეკითხვები, რომლებიც დააფიქრებს მოსწავლეებს თვითრეფლექსიაზე, თვითცნობიერებაზე, სოციალურ ცნობიერებაზე.**ამდენად, შეგვიძლია**

ვთქვათ, რომ ახალი ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით.ინდიკატორი 2.2.1.2 დაკმაყოფილებულია.

3. საშუალო საფეხურზე მასწავლებლები ცდილობენ მოსწავლეებს ასწავლონ სწავლის სწავლება. მოსწავლე ჩართულია ისეთ აქტივობებში, რომლებიც მას შეძენილი ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების საშუალებას აძლევს,მაგალითად ქიმიის მასწავლებელს გაკვეთილზე კომპლექსური დავალების შესრულების პროცესში გამოყენებული აქვს ისეთი აქტივობა,თუ როგორ უნდა ისწავლონ მოსწავლეებმა ჯანსაღი და მავნე საკვების ერთმანეთისაგან გარჩევა და რა გავლენას ახდენს ეს მათ ჯანმრთელობაზე, მოსწავლეებს შექმნილი აქვთ საცნობარო ბარათები, რომლებიც დაურიგდათ თანატოლებს და გაზარდეს ცნობიერება ამ კუთხით.შედეგადაც მოსწავლე აცნობიერებს, რა ნაბიჯები გადაიდგა დავალების შესრულებისას. მოსწავლეებს დავალების დასრულების შემდეგ ევალებათ პრეზენტაცია, სადაც საუბრობენ, რატომ ფიქრობენ, რომ დავალება სწორადაა შესრულებული; რა გზა გაიარეს დავალების შესრულებისას; რა დაეხმარათ, რა გაუძნელდათ; როგორ მოიქცეოდნენ, თავიდან რომ ასრულებდნენ სამუშაოს. შესაბამისი მიგნებები კათედრას სანიმუშოდ წარმოდგენილ თემატურ მატრიცასა და შეფასების რუბრიკებში აქვს წარმოდგენილი. სასწავლო პროცესში სწავლის სწავლაზე აქცენტების დასმა მასწავლებელთა პრაქტიკის ბუნებრივი ნაწილია, რაც სკოლაში ვიზიტისას დადასტურდა.**ამდენად, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე; ინდიკატორი 2.2.1.3 დაკმაყოფილებულია.**

4. სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული) კომპლექსურ დავალებებზე დაფუძნებული სწავლება თავისთავად უზრუნველყოფს ცოდნის სამ კატეგორიაზე ორიენტირებას,ინტერვიუს დროს კი აღნიშნეს ,რომ ისინი აძლევენ დავალებებს, სადაც მოსწავლეს უწევს, როგორც რესურსების მოძიება, ასევე მისი კონკრეტული პრობლემის ან გამოწვევის მიხედვით დამუშავება, ანალიზი და გამოსავლის/ გადაწყვეტის მოძებნა. განსაკუთრებულ ყურადღებას ამახვილებენ აქტივობებში,როგორ უნდა გამოიყენონ მიღებული ცოდნა შემდგომ ცხოვრებისეულ სიტუაციებში სკოლის მიერ წარმოდგენილი საგნობრივი კურიკულუმის ჩარჩო, სასწავლო პროექტები, მოსწავლეთა ნამუშევრები ეჭვგარეშეა, რომ ხელს შეუწყობს მოსწავლეს საგნობრივი საკითხების სიღრმისეულ გააზრებაში, მოქმედებასა და ნაბიჯების თანმიმდევრობით დაგეგმვა-განხორციელებასა და შესწავლილი მასალის ყოველდღიურ ცხოვრებასთან დაკავშირებაში.**ამდენად, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული);ინდიკატორი 2.2.1.4 დაკმაყოფილებულია**

5. სადამრიგებლო პროგრამები, პროექტული სწავლების მეთოდები,რომლებიც კომპლექსური დავალებების იდეებშია ასახული, ორიენტირებულია პირობისეულ ცოდნაზე,პრობლემის გადაჭრაზე, გამოწვევებთან გამკლავებაზე, რაიმე პროდუქტის შექმნაზე და ა.შ, შესაბამისად და გულისხმობს მოსწავლის კომპეტენტური უნარების გააქტიურებას, გამოცდილების მობილიზებას და დაკავშირებას ერთმანეთთან.ამ საკითხების გადაჭრის და განხორციელების გზებზე

აქტიურად საუბრობენ საბუნებისმეტყველო საგნების მასწავლებლები სამივე საფეხურზე(ბიოლოგიის მასწავლებლის მიერ განხორციელებული პროექტიმოსწავლის ხელით დამზადებული ეკოლოგიურად,, სუფთა ჩანთა") და იკვეთება მზაობა იმის თაობაზე, რომ სასწავლო პროცესში გათვალისწინებული იქნას გრძელვადიანი მიზნები, რომელიც აუცილებლად მიიღწევა სწორად შესრულებული ცოდნის ორგანიზებასა და ურთიერთდაკავშირების შედეგად.ასევე, ინტერვიუს დროს გამოიკვეთა რომ იგეგმება ინტეგრირებული გაკვეთილები. მაგალითად მათემატიკა გეოგრაფიის საგანტა დაინტეგრირებით, რომელიც უკვე განხორცილედა გასულ წელს, სადაც მოსწავლეებს დასჭირდებათ, ცოდნის როგორც დაორგანოზების ისე ურთიერთდაკავშირების უნარები. ეს ფაქტორები გათვალისწინებულია საგნობრივი კურიკულუმის შემუშავების პროცესში, რადგან კომპლექსური დავალებების დანერგვა ვერ განხორციელდება ცოდნათა დაკავშირებისა და კონსტრუირების გარეშე.**ამდენად შეგვიძლია დავასკვნათ, რომ სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება.ინდიკატორი 2.2.1.5 დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- საგნობრივი კურიკულუმი;
- საბაზო საფეხურის კომპლექსური დავალებების სრული ნიმუშები (ინსტრუქციით);
- 2023-2024 წლის სასკოლო სასწავლო გეგმის პროექტი;
- შემაჯამებელი დავალების ნიმუში/ანალიზი;
- მასწავლებელთა რეფლექსიები;
- ინტეგრირებული გაკვეთილების გეგმა;

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.2.2. სასწავლო პროცესი ეფუძნება საგნობრივი სტანდარტებით გათვალისწინებულ გრძელვადიან მიზნებს.

1. სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით;
2. საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას;
3. შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე;
4. შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი;
5. სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი;
6. სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. საშუალო საფეხურის ყველა კათედრის მიმართულებით დოკუმენტაციის შესწავლისა და პედაგოგებთან გასაუბრების შედეგად დასტურდება, რომ რომ სასწავლოპროცესი იმგვარადაა დაგეგმილი, რომ ხელი ეწყობა სამიზნე ცნებისა და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით, რაც ხელს უწყობს სამიზნე ცნებების გათავისებას სხვადასხვა კონტექსტში. ეს დასტურდება კურიკულუმში ასახული კომპლექსური ბუნების დავალებებით, გამოყენებული რესუსებით, განმავითარებელი შეფასების რუბრიკებით. კურიკულუმებს დანართად ახლავს კომპლექსური დავალების ბარათები, სადაც ნათლად ჩანს მიმართებები სამიზნე ცნებებს, მის მკვიდრ წარმოდგენებს, საკითხებსა და საკვანძო კითხვას შორის კონტექსტთან კავშირში **ინდიკატორი 2.2.2.1 დაკმაყოფილებულია**

2. საშუალო საფეხურზე მოსწავლის შემეცნების (აზროვნების, კოგნიციის) განვითარებასთან ერთად ხდება სოციალური უნარ-ჩვევების ეტაპობრივი განვითარებაც. ფსიქო-სოციალური სფერო განსაზღვრავს ბავშვის პიროვნული თვისებების ჩამოყალიბებასა და ადამიანებთან ურთიერთობას. სკოლა მოსწავლეთა პიროვნული და ფსიქო-სოციალური განვითარებისათვის ხელშემწყობ გარემოს ქმნის ისეთი პროექტებისა და არაფორმალური აქტივობებით, რომლებიც საკვანძო კომპეტენციებს ავითარებს, როგორებიცაა: თვითცნობიერება, თანამშრომლობითი უნარები, ემოციების მართვა, კონფლიქტების მართვა, პასუხისმგებლობის აღება საკუთარ ქმედებებზე, კრიტიკული, შემოქმედებითი და ციფრული უნარების განვითრება, ტოლერანტული კულტურის განვითარება. განხორციელებული პროექტები და აქტივობები (ემოციური ინტელექტის განვითარება, ჰარმონია კონფლიქტების ნაცვლად, ციფრული სკოლა). სკოლის ხედვიდან ცხადი ხდება, რომ მდგრადი შედეგების მისაღწევად მას ესაჭიროება მუდმივი მონიტორინგი, თვითრეფლექსია და პროფესიულ განვითარებაზე აქტიური მუშაობა. მასწავლებლებთან ინტერვიუს პროცესში გამოიკვეთა, რომ სასწავლო პროცესში გათვალისწინებულია მოსწავლის პიროვნულ განვითარებაზე მორგებული აქტივობები, რომ სასწავლო პროცესი თანამშრომლობასა და მოსწავლის პიროვნულ განვითარებაზეა ორიენტირებული, თუმცა იმისთვის, ეს პროცესი გაზომვადი იყოს აუცილებელია სასწავლო პროცესში აქცენტები გაკეთდეს მოსწავლის კოგნიტურ და სოციო-ემოციურ განვითარებაზე, კურიკულუმში აქტივობები ამას ხელს უნდა უწყობდეს და კომპლექსური დავალების განხორციელების პროცესში თანმიმიდევრულად უნდა მოხდეს მისი განვითარება თითოეული მოსწავლის მიერ. მასწავლებლებთან ინტერვიუს დროს გაირკვა, რომ ეს საკითხები ესმით, გააზრებული აქვთ და მომავალი სასწავლო წლის საგნობრივ მატრიცებში აუცილებლად გაითვალისწინებენ. **ინდიკატორი 2.2.2.2 დაკმაყოფილებულია**

3. როგორც სკოლის კათედრების მასწავლებლებთან გასაუბრების შედეგად დგინდება, ისინი კათედრებზე შეიმუშავებენ შეფასების მრავალფეროვან რუბრიკებს,როგორც განმავითარებელი, ასევე განმსაზღვრელი შეფასებისათვის.რადგან ეროვნული სასწავლო გეგმის თანახმად,განმავითარებელი შეფასება ჰოლისტური შეფასების მექანიზმად განმავითარებელი შეფასების სახით გვთავაზობს სტანდარტის შედეგების მიღწევის ტაქსონომიას და სწავლა-სწავლების პროცესში წარმოადგენს მეთოდიკური ორიენტირების რეალიზების საშუალებას.აქედან გამომდინარე სკოლა იცნობს შედეგების მიღწევის ხუთ დონეს,სავარაუდოდ ასახავს ცოდნის კონსტრუირების საფეხურებს დეკლარატიულიდან პირობისეულ ცოდნამდე .მოსწავლის თვითშეფასების ანგარიშის ნიმუშში, წარმოდგენილია ძლიერი და სუსტი მხარეების დადგენის უნარი და მოსწავლის მიერ საკუთარი წინსვლის ხელშესაწყობად გააზრებული ნაბიჯების გადადგმის უნარი.სკოლა შეფასების აუცილებელ კომპონენტად მიიჩნევს დიფერენცირებას,(კომპლექსური დავალებების აგების იდეაში) და მოსწავლის დიაგნოსტირების განვითარების ყველა სფეროს მიხედვით.აქედან გამომდინარე,შეფასების სისტემა მომავალ

სასწავლო წელს, ორიენტირებული იქნება, მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე.**შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე; ინდიკატორი 2.2.2.3 დაკმაყოფილებულია.**

4. საშუალო საფეხურზე კათედრების მიერ მოწოდებული მიმდინარე და მომავალი სასწავლო წლის საშუალო საფეხურის განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკებიდან გამომდინარე, რომლებშიც გასაგებად არის გაწერილი, თუ როგორ და რის მიხედვით შეფასდებიან მოსწავლეები (გრძელვადიან მიზნებზე სამიზნე ცნებებზე, შედეგებზე, დაყრდნობით), შეიძლება ითქვას, რომ შეფასების სისტება არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური და სამართლიანი. ამის დასტურია ასევე საგნების მიხედვით შეფასების რუბრიკები, კურიკულუმი, მომავალი დაგეგმილი სასწავლო პროექტები, ზეპირად განხილული მოსწავლეთა მიერ შესრულებული დავალებები, სასწავლო პროცესში გამოყენებული მასალები/აქტივობები.მასწავლებლებმა ინტერვიუს დროს აღნიშნეს, რომ მნიშვნელოვანია სასკოლო საზოგადოებასა და პირველ რიგში მოსწავლეს ჰქონდეს განცდა, რომ შეფასება ნათლად მიემართება და მიზნობრივად აფასებს სწავლის შედეგებს. ასევე, მნიშვნელოვანია სწორად შერჩეული შეფასების კრიტერიუმები, რომ მოსწავლეს გააზრებული ჰქონდეს რა კრიტერიუმები უნდა დააკმაყოფილოს მისმა პასუხმა, პროდუქტმა თუ ნაშრომმა. მოსწავლეებს უნდა შეეძლოთ დაინახონ რატომ არის მათი სწავლის შედეგი ღირებული და რა როლს ასრულებს ეს შედეგი სწავლის პროცესში მიზნებთან მიმართებით. მასწავლებლებთან გასაუბრებით დასტურდება, რომ სასწავლო წლის დაწყებისთანავე მოსწავლეებსა და მათ მშობლებს აქვთ ინფორმაცია თუ რა მიზანი აქვს შეფასებას, რა ფორმით (წერითი/ზეპირი გამოცდა, ტესტირება თუ სხვა) მოხდება შეფასება და ასევე რა შედეგი ექნება მას. პროცესზე პასუხისმგებელი პირები უზრუნველყოფენ შეფასების პროცესის გამჭვირვალობას, სამართლიანობას, ობიექტურობას.**ინდიკატორი 2.2.2.4 დაკმაყოფილებულია.**

5. შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმის ეფექტურად განხორციელებისათვის სკოლას დიდი დრო და რესურსი დასჭირდებათ, საჭიროა მასწავლებელთა და მოსწავლეთა პორტფოლიოების შეფასების ცოდნა, რაშიც პირველ ნაბიჯებს აშკარად დგამს სკოლა, წარმოდგენილ მასალაში არაფორმალური განათლების ფარგლებში წარმოდგენილ პროექტებში, შემაჯამებელი დავალებების ანალიზში,ჩანს ეფექტური შეფასება, რომელიც მოიცავს არა მარტო სტანდარტის შედეგებს,არამედგ გამჭოლი პრიორიტეტების, კომპეტენტური უნარების შეფასებასაც.აქედან გამომდინარე **ინდიკატორი 2.2.2.5 დაკმაყოფილებულია**

6. სკოლა საუბრობს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების სათანადო აღრიცხვისა და შენახვის კანონმდებლობით დადგენილი წესების შესახებ.კათედრის მიერ მოსწავლეთა მიერ მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვა და გაანალიზება ხორციელდება არსებული კომპლექსური დავალებების, შემაჯამებელი დავალებების მიხედვით, თუმცა ეს პროცესი უფრო სპონტანურია. საჭიროა მეტად დაიხვეწოს, რადგან წარმოდგენილი მონაცემების შესწავლის შემდეგ მოსწავლის საჭიროებებიდან გამომდინარე ცვლილებები უნდა შევიდეს ახალ კურიკულუმში. იკვეთება მზაობა, რომ სკოლა სამომავლოდ უზრუნველყოფს აღნიშნული ინდიკატორის მოთხოვნის დაცვას და გაატერებს შესაბამის ზომებს ანუ **2023-2024**

სასწავლო წლიდან სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემს/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით. ინდიკატორი 2.2.2.6 დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- კურიკულუმი;
- მიმდინარე და მომავალი სასწავლო წლის განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები;
- მოსწავლის ნამუშევრების ანალიზი;
- შემაჯამებელი დავალებების ანალიზი;
- ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმი;

2.2.3. სასწავლო პროცესი ეფუძნება ზრუნვასა და მხარდაჭერას

1. სასწავლო პროცესში შექმნილია მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო;
2. სასწავლო პროცესი წარიმართება მოსწავლეზე ორიენტირებულად;
3. სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციას;
4. უზრუნველყოფილია პოზიტიური კლიმატი სკოლისა და კლასის დონეზე.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის მიერ წარმოდგენილია სხვა და სხვა დოკუმენტები რომლებშიც გაცხადებულია სკოლის მისია და ღირებულებები, რაც პირდაპირ მიუთითებს სკოლის არჩევანზე, იყოს მოსწავლის მხარდამჭერი და მიიღოს ყველა ის სიახლე, რომელიც ეხმარება სკოლას გახდეს წარმატებული და აღზარდოს წარმატებული ადამიანები. ასევე, მოცემულია სკოლის მიერ შემუშავებული საგნობრივი პროგრამები, რომელიც ორიენტირებულია მოსწავლის განვითარებაზე. ეს ყველაფერი იძლევა იმის თქმის საშუალებას, რომ სასწავლო პროცესში შექმნილია მოსწავლის მხარდამჭერი გარემო. მასწავლებელთან ინტერვიუდან გამომდინარე სკოლა უზრუნველყოფს მოსწავლეებისთვის მხარდამჭერ და მიმღებლობის

გარემოს სხვადასხვა ტიპის აქტივობებით და ღონისძიებებით, მათ შორის არაფორმალური განათლების ფორმების გამოყენებით.კათედრაზე შემუშავებულია ინდ. სასწავლო გეგმები, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მოსწავლეებისთვის. კათედრაზე,მოსწავლეებთან და მშობლებთან შექმნილია პოზიტიური, კეთილგანწყობილი და თანამშრომლობაზე დაფუძნებული გარემო. ხორციელდება მრავალი საინტერესო პროექტი. ინტერვიუსას გამოიკვეთა, რომ სკოლაში შექმნილია პოზიტიური სასწავლო გარემო, მხარდაჭერილია მოსწავლეთა ინიციატივები და ერთად გეგმავენ აქტივობებსა თუ ღონისძიებებს, გარდა ამისა, მოსწავლეთა ინდივიდუალური ინტერესები და შეხედულებები შეძლებისდაგვარად გათვალისწინებულია საგნობრივი კურიკულუმების ჩამოყალიბების დროს.**ამრიგად, სასწავლო პროცესში შექმნილია მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო; ინდიკატორი 2.2.3.1 დაკმაყოფილებულია**

2. სკოლის მიერ მოსწავლის შედეგებზე დაკვირვებით, შესაძლოა ვიფიქროთ, რომ ორიენტირებულია მოსწავლის წარმატებასა და პროგრესზე. მასწავლებელი კომპლექსური დავალებების დანერგვით უზრუნველყოფს მოსწავლეთა თანაბარ ჩართულობას სასწავლო პროცესში, რადგან გათვალისწინებულია თითოეული მოსწავლის ინდივიდუალური საჭიროები და ინტერესები. ასევე იყენებენ დიფერენცირებული მიდგომებს, დავალებების შეთავაზებისას ითვალისწინებენ მათ ინტერესებს, ასაკს, თავისებურებებსა და საჭიროებებს. სასწავლო პროცესის მოსწავლეზე ორიენტირებისათვის, ხელი ეწყობა მოსწავლეთა შინაგანი ძალების გააქტიურებას, წინარე ცოდნაზე დაფუძნებით, მიეწოდება ახალი ცოდნა, ხდება ცოდნათა ურთიერთდაკავშირება და ორგანიზება, რეალიზდება ცოდნის სამივე კატეგორია. სკოლა არაფორმალური განათლების მიართულებით ასევე უზრუნველყოფს მოსწავლეზე ორიენტირებას, რითაც უვითარებს 21-ე საუკუნის უნარ-ჩვევებს. კურიკულუმებიდან, კომპლექსური დავალების ნიმუშებიდან, ასევე სკოლის მიერ მოწოდებული 2023-24 წლის სასკოლო სასწავლო გეგმის პროექტში აღწერილი სკოლის ფილოსოფიის ნაწილიდან გამომდინარე, სადაც მკაფიოდ არის გაწერილი სწავლა-სწავლების ხუთივე კონსტრუქტივისტული პრინციპი, რომლებსაც დაეფუძნება სასწავლო პროცესი, **შეგვიძლია დავასკვნათ, რომ სასწავლო პროცესი მომავალ სასწავლო წელს წარიმართება მოსწავლეზე ორიენტირებულად. ინდიკატორი 2.2.3.2 დაკმაყოფილებულია.**

3. ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით კათედრის წევრთა შორის გამოცდილების გაზიარება, წარმატებების წინაპირობათა განსაზღვრა და პრობლემების გადაჭრის გზების ძიება, სხვა საგნობრივ კათედრებთან ძალიან მნიშვნელოვანია. ამის უზრუნველყოფისათვის კი მეტად მნიშვნელოვანია თანამშრომლობა, გუნდურობა. გასაუბრებისას პედაგოგებმა აღნიშნეს, რომ ისინი ერთობლივად მუშაობენ კურიკულუმის შემუშავება/განვითარებაზე, უზიარებენ ერთმანეთს თავიანთ გამოცდილებას, რჩევებს. სკოლამ წარმოადგინა ასევე „მოსწავლეთა თვითმმართველობის დებულება“, სადაც მოსწავლეთა თვითმმართველობის ძირითად მიზნებს სხვადასხვა საგნმანათლებლო აქტივობების ორგანიზება თუ მოზარდის გონებრივი და ფიზიკური უნარ-ჩვევების, ჯანსაღი ცხოვრების წესის და სხვა დამკვიდრება წარმოადგენს.

იხილეთსოციალურ ქსელში აქტივობების სურათები https://www.facebook.com/profile.php?id=100088407353608 . **ამრიგად, სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციას; ინდიკატორი 2.2.3.3 დაკმაყოფილებულია**

4. სკოლის მიერ წარმოდგენილი მარეგულირებელი დოკუმენტების, კათედრების სხდომის ოქმებისა და მასწავლებლებთან გასაუბრებით დგინდება, რომ თანამშრომლობა სკოლის პრიორიტეტული მიმართულებაა. მასწავლებლები ერთად გეგმავენ გაკვეთილებს და ესწრებიან ერთმანეთს. ასევე აჯამებენ წინა წლის შედეგებს და ერთად ქმნიან მომდევნო წლის კურიკულუმს. ერთად არჩევენ რომელ კომპლექსურ დავალებას განახორციელებენ, რომელმა გამოიწვია მოსწავლეებში მეტი დაინტერესება, ერთობლივად ქმნიან სასწავლო რესურსებს. სკოლაში თანამშრომლობითი კულტურის მაგალითია „კრიტიკული მეგობრის“ ინსტიტუტის არსებობა სკოლაში, რის საშუალებითაც კათედრის წევრები ესწრებიან და აფასებენ კოლეგების მიერ ჩატარებულ გაკვეთილებს და აკეთებენ შესაბამის უკუკავშირებს. სკოლამ წარმოადგინა ასევე „მოსწავლეთა თვითმმართველობის დებულება“, სადაც მოსწავლეთა თვითმმართველობის ძირითად მიზნებს სხვადასხვა საგნმანათლებლო აქტივობების ორგანიზება თუ მოზარდის გონებრივი და ფიზიკური უნარ-ჩვევების, ჯანსაღი ცხოვრების წესის და სხვა დამკვიდრება წარმოადგენს. სოციალურ ქსელში აქტივობების სურათები https://www.facebook.com/profile.php?id=100088407353608 . ინტერვიუირებისას მასწავლებლებმა ისაუბრეს იმაზე, პრაქტიკულად როგორ უწყობენ ხელს პოზიტიური კლიმატისა შექმნას კლასის დონეზე სადამრიგებლო საათებით, ხოლო სკოლის დონეზე პროექტებით, კლუბური მუშაობითა და აქტივობებით, სადაც ყველას შეუძლია საკუთარი ინდივიდუალური საჭიროებების გამოვლენა და განვითარება. **ინდიკატორი 2.2.3.4. დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სასკოლო სასწავლო გეგმა;
- სასკოლო კურკულუმები;
- განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები;
- 2023-2024 წლის სასკოლო საასწავლო გეგმის პროექტი;
- კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია;
- სკოლის შინაგანაწესი 2022-2023;
- მოსწავლეთა თვითმმართველობის დებულება;
- 2022-2023 ერთწლიანი სამოქმედო გეგმა;
- სკოლის სოციალური ქსელი https://www.facebook.com/profile.php?id=100088407353608

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.3. კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება

2.3.2. მიმდინარე პროცესების მონიტორინგი და შეფასება წარმოადგენს სასწავლო პროცესის თანმდევ განუყოფელ ნაწილს

1. მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად;
2. მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას;
3. მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას წარმოდგენილი აქვს კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია. ცალკეული ინსტრუმენტების შეფასების რუბრიკების მიხედვით აქცენტები კეთდება მოსწავლეთა მიღწევების ანალიზზე, მაგრამ იმისათვის, რომ სრულად გაიზომოს/განისაზღვროს ეროვნული სასწავო გეგმის მიხედვით, როგორ მიმდინარეობს სასწავლო პროცესი და რა შედეგებზე გადიან მოსწავლეები, აუცილებლია კურიკულუმის მეთოდოლოგიის ინსტრუმენტზე დაყრდნობით შექმნილი კურიკულუმის საფუძველზე სასწავლო პროცესის დიაგნოსტირება. როგორც შესწავლილი სასკოლო დოკუმენტებით ირკვევა, სკოლაში მიმდინარეობს განხორციელებული კურიკულუმების მონიტორინგი, ანალიზი და შეფასება, რასაც კათედრები საკუთარი უფლებამოსილების ფარგლებში ახორციელებენ. სკოლის მიერ შემუშავებული ,,სასკოლო კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია“ მოიცავს პრინციპებს, რომელსაც ეფუძნება სასკოლო კურიკულუმი. იგი

განსაზღვრავს კურიკულუმის განვითარების ეტაპებს, რომელშიც დაზუსტებულია ყველა ჩართული პირის ფუნქცია, განსაზღვრულია კურიკულუმის დანერგვის მექანიზმები, ასევე ამ პროცესის მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმები. სკოლის დირექციის განმარტებით, მიმდინარეობს მუშაობა სასკოლო კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიის სრულყოფაზე, სადაც განისაზღვრება თუ რა პერიოდულობით მოხდება მონიტორინგი, ვინ გააკეთებს, რომელ წყაროებს შეისწავლიან, როგორი იქნება შეფასება. საგნობრივი კურიკულუმის მონიტორინგისა და შეფასების წარმოებაში მნიშვნელოვანი ელემენტებია მოსწავლეების შედეგების დიაგნოსტირება, მასწავლებლების პროფესიული საჭიროებების იდენტიფიცირება, სკოლის ინსტიტუციური განვითარება და ყოველივე ამის საფუძველზე დანერგვის ინსტრუმენტების სრულყოფა.**ინდიკატორი 2.3.1.1 დაკმაყოფილებულია**

2. საშუალო საფეხურის მასწავლებლებთან ინტერვიუს პროცესში გამოიკვეთა, რომ კათედრაზე არის მაღალი თანამშრომლობრივი კულტურა, კერძოდ პედაგოგები კურკულუმის შექმნის პროცესში თანამშროლობენ, ასევე მისი განხორციელების პროცესში ხდება ურთიერთდასწრებები გაკვეთილებზე და მიღებული შედგების ანალიზი, უკუკავშირის გაცნობა ერთმანეთის მიერ და სასწავლო პროცესში თანამშრომლობა. აქედან გამომდინარე შეიძლება ითქვას, რომ მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას. მასწავლელებელთა რეფლექსიები მოწმობს, რომ სკოლას გააზრებული აქვს სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერისა და დახმარების მნიშვნელობა სასკოლო კურიკულუმის მონიტორინგისა და შეფასების პროცესში. სკოლის მიერ ატვირთულ დოკუმენტაციაში, მასწავლებელთა მიერ განხორციელებულ კვლევებში ჩანს, რომ ისინი მუდმივად ზრუნავენ საკუთარი პრაქტიკის ურთიერთგაზიარებაზე, პრობლემური საკითხების გამოვლენასა და მისი დაძლევის გზებზე. პედაგოგებთან ინტერვიუს პროცესში გამოიკვეთა, რომ კათედრაზე არის მაღალი თანამშრომლობრივი კულტურა, კერძოდ პედაგოგები კურიკულუმის შექმნის პროცესში თანამშროლობენ, ასევე მისი განხორციელების პროცესში ხდება ურთიერთდასწრებები გაკვეთილებზე და მიღებული შედგების ანალიზი, უკუკავშირის გაცნობა ერთმანეთის მიერ და სასწავლო პროცესში თანამშრომლობა. შესწავლილი დოკუმენტაციიდან გამომდინარე, **შეგვიძლიათ დავსკვნათ, რომ მომავალ წელს მონიტორინგი და შეფასება მოემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას, ისე, როგორც ეს გაწერილია მეთოდოლოგიის დოკუმენტში. ინდიკატორი 2.3.1.2 დაკმაყოფილებულია**

3. პედაგოგებთან ინტერვიუს პროცესში და წარმოდგენილი მასალებით გამოიკვეთა, რომ სასწავლო პროცესში დაკვირვება ხდება ურთიერთდასწრებებით, მოსწავლეთა მიღწევების ანალიზით, ცალკეული აქტივობებისა და დავალებების მიხედვით. ეს ხდება ცალკეულ მასწავლებლებთან და აქვს სპონტანური ხასიათი. სკოლის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტებში ვკითხულობთ, რომ სკოლა ახორციელებს მონიტორინგსა და შეფასებას, რომელსაც მიიჩნევს პრობლემის გადაჭრის გზად. სახელმწიფო კათდრის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციაზე დაყრდნობით, ასევე ინტერვიურების პროცესში

მასწავლებელთა მიერ გამოთქმული მოსაზრებებით დგინდება, რომ სკოლაში ამ ეტაპზე არსებული მონიტორინგისა და შეფასების არსებული პრაქტიკა მიმართულია პრობლემების გადაჭრისაკენ, სკოლას აქვს ხედვა, თუ რა გზითა და საშუალებებით განახორციელებს აღნიშნულ პროცესს მომავალში მისი სისტემაში მოყვანისა და საასწავლო პროცესზე სასურველი შედეგების ასახვის მიზნით. **სკოლას აქვს ხედვა, თუ რა გზითა და საშუალებებით განახორციელებს აღნიშნულ პროცესს მომავალში მისი სისტემაში მოყვანისა და საასწავლო პროცესზე სასურველი შედეგების ასახვის მიზნით. 2.3.1.3 დაკმაყოფილებულია**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- შეფასების რუბრიკები;
- კურიკულუმი;
- განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები;
- კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია;

2.3.2. სასწავლო პროცესის შეფასება ატარებს ჰოლისტურ ხასიათს

1. შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს;
2. შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით;
3. შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები;
4. შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. კათედრები შეფასებისას იყენებენ საგნობრივი სტანდარტის ფარგლებში შემუშავებული შეფასების რუბრიკებს, ასევე კომპლექსური დავალებების შესაბამისად შექმნილი განმავითრებელი და განმსაზღვრელი შეფასების კრიტერიუმებს, რომლებიც ეყრდნობა სამიზნე ცნებისა და მასთან დაკავშირებული მკვიდრი წარმოდგენების გააქტიურებას, ასევე თემის ფარგლებში მისაღწევ შედეგებს. ამავდროულად, ის გეგმავს და ატარებს დიაგნოსტიკურ ტესტირებებს, რაც შესაძლებლობას აძლევს ერთმანეთს შეადაროს და ჰოლისტური სახით წარმოადგინოს ხვადასხვა წყაროზე დაყრდნობით მიღებული შედეგები. ჩანს, რომ სწავლების პროცესში მასწავლებლები იყენებენ მრავალფეროვან აქტივობებს, როლებიც მიმართულია

სხვადასხვა ტიპის შემსწავლელთა გამოვლენისა და მათ საჭიროებებზე მორგებული დავალებების შექმნისაკენ. განხორციელებული კომპლექსური დავალების ნიმუშები ცხადყოფს, რომ მასწავლებლები ცდილობენ მის დაგეგმვას იმგვარად, რომ მონაცემების შეგროვება მოხდეს მრავალფეროვანი მეთოდებით, სხვადასხვა წყაროსა და რესურსის გამოყენებით, რაც შეამცირებს შეფასების ვარიაციის შეცდომას და შესაძლებლობას მისცემს მათ სრული სურათის წარმოსადგენად. მოსწავლეების შეფასება არ არის ორიენტირებული მხოლოდ კომპლექსური დავალების საბოლოო პროდუქტის შეფასებაზე. მოსწავლის შეფასება ხდება კომპლექსური დავალების მიმდინარეობის დროს, სხვადასხვა აქტივობების საშუალებით. მასწავლებლებთან ინტერვიებისას გამოიკვეთა, რომ მოსწავლეთა შეფასებისას გათვალისწინებულია არა მარტო მათი აკადემიური უნარები, არამედ სოციალური და ოჯახური მდგომარეობა. ამგვარი პოზიცია მასწავლებლებს აძლევს შესაძლებლობას შეფასება იყოს ჰოლისტური ხასიათის.**აქედან გამომდინარე, შეგვიძლია ვიფიქროთ, რომ მომავალ სასწავლო წელს სასწავლო პროცესის შეფასება დაეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს. ინდიკატორი 2.3.2.1 დაკმაყოფილებულია**

2. პედაგოგების მიერ მოსწავლეთა შეფასება ხორციელდება განმსაზღვრელი და განმავითარებელი შესაფასების ინსტრუმენტების მიხედვით. მაგრამ იმისთვის, რომ სტანდარტის შედეგების მიხედვით მოხდეს მოსწავლეთა მიღწევების სრულად გაზომვა, აუცილებელია სხვადასხვა ინსტრუმენტების შემუშავება. კერძოდ, სადიაგნოსტიკო ინსტრუმეტი, განმსაზვრელი და განმავითარებელი შეფახების რუბრიკები სტანდარტზე დაფუძნებით. სკოლას აქვს მასწავლებელთა მიერ განხორციელებული კვლევების გამოცდილება, სადაც იკვეთება, რამდენად ეფექტურია მათი შემუშავებული ინტერვენცია სწავლის შედეგების თვალსაზრისით, რომელიც ასახავს სხვადასხვა კონტექსტის გათვალისწინებას მოსწავლეთა შეფასებისას. ინტერვიუს დროს მასწავლებლები საუბრობენ იმის შესახებ, რომ შეფასებისას ითვალისწინებენ მრავალგვარ კონტექსტს, როგორებიცაა: შესასწავლი თემა და საკითხი, მოსწავლეთა აკადემიური მოსწრება, სწავლის პერიოდი, მოსწავლეთა ინტერესები და შესაძლებლობები, საფეხურის ფარგლებში ცნებების დაფარვის ხარისხი და მათი დასკვნის ვალიდაციას სწორედ მრავალი კოტექსტიდან დანახული სიტუაცია უზრუნველყოფს. **მაშასადამე, შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით; ინდიკატორი 2.3.2.2 დაკმაყოფილებულია**

3. შესწავლილი დოკუმენტაციის დასტურდება, რომ მასწავლებელები საჭირო დროს მიმართავენ დიაგნოსტიკურ შეფასებას. სკოლას აქვს ჩარჩო, თუ როგორ განაზოგადოს დიაგნოსტიკური კვლევის პროცესში მიღებული შედეგები. ასევე, მასწავლებლები პრაქტიკის კვლევის პროცესში იყენებენ ინტერვიუს, ფოკუს-ჯგუფებს, ტესტირებას, ანკეტირებას და სხვ. იცნობენ მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვან მეთოდებს, სხვადასხვა დროს მიმართავენ დისკუსიებს, პროექტულ სწავლებას, რაც საშუალებას აძლევს მათ შეფასების შედეგების შესახებ ინფორმაცია სხვადასხვა მეთოდით მოიპოვონ. **ინდიკატორი 2.3.2.3 დაკმაყოფილებულია.**

4. წარმოდგენილი მასალებიდან ირკვევა და მასწავლებელთა ინტერვიუებიდანაც დასტურდება, რომ მასწავლებლები სწავლების თითქმის ყველა საფეხურზე იყენებენ სწავლების დიფერენცირებულ მიდგომებს. გამომდინარე იქიდან, რომ მოსწავლეზე, მის სასწავლო სიტუაციაზე, გარემოებაზე გავლენას ახდენს არა მხოლოდ უშუალო გარემომცველი მიკროსისტემა, არამედ ფაქტორთა მთელი რიგი სხვადასხვა სისტემებიდან, სკოლა აცნობიერებს და გეგმავს, რომ კურიკულუმის მონიტორინგისა და შეფასების დოკუმენტში, რომლის შექნაზეც სკოლა ახლა მუშაობს და რომლის კონტურებიც გამოკვეთილია დოკუმენტში 2023-2024 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმის პროექტში, ნათლად გაწეროს ყველა იმ ფაქტორის ზემოქმედება, რაც მომავალში გავლენას მოახდენს მოსწავლეთა შეფასების სრული სურათის შექმნაზე. მნიშვნელოვანია, რომ შეფასებისას საჭიროა სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინება. შეფასების რუბრიკები ყველა საგანში ის ეფექტური ინსტრუმენტებია, რომელიც გამოიყენება როგორც მოსწავლეების ნამუშევრის, ასევე მუშაობის პროცესის შეფასების მიზნით. სკოლაში დიფერენცირებული მიდგომების პრაქტიკა არის საშუალება შეფასდეს მოსწავლეთა უნარები, დაისახოს მათი ჰოლისტური განვითარების გზა. ამდენად, სკოლა ახალ კურიკულუმში გეგმავს ისეთი სტრატეგიების დანერეგვას, რომელიც ორიენტირებული იქნება თითოეული მოსწავლის ინტერესისა და უნარის დადგენაზე. **ამრიგად, სკოლას აქვს მზაობა შეფასება გახორციელდეს სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით. ინდიკატორი 2.3.2.4 დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- კურიკულუმი;
- 2023-2023 წლის სასკოლო სასწავლო გეგმის პროექტი;
- განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები;
- კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია;

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია

2.4.2 წლიური მუშაობის შედეგად იქმნება კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია

1. იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი;
2. კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. შესწავლილი დოკუმენტაცია ცხადყოფს, რომ სკოლას ბოლო წლების მანძილზე აქვს კურიკულუმების შემუშავებისა და განხორციელების პრაქტიკა, რომელიც ორიენტირებულია ცნებებით სწავლების დანერგვაზე, როგორც გრძელვადიანი სასწავლო ორიენტირის გამოყენებაზე. მათ აქვთ პრაქტიკული გამოცდილება სწავლების ყოველ წელს ანალიზის საფუძველზე გააკეთონ დასკვნები, გადახედონ საფეხურის ფარგლებში მიღწეულ შედეგებს და სასწავლო პროცესი დაგეგმონ გამოვლენილი პრობლემებისა და საჭიროებების საფუძველზე. ამას მოწმობს მასწავლებელთა სკოლის ფარგლებში არსებული პრაქტიკის ურთიერთგაზიარება, რაც დასტურდება მათ მიერ წარმოდგენილი დოკუმენტებისა და ინტერვიურების პროცესში, ასევე ჩანს კათედრების მიერ წარმოდგენილ მასალებსა და პედაგოგთა რეფლექსიებში. სკოლა ახლა მუშაობს საჭიროებათა პაკეტის შემუშავებაზე, რომელიც იქნება მთავარი დასაყრდენი ახალი სასწავლო წლის კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერისათვის. სკოლა გეგმავს მისი საუკეთესო პრაქტიკის გამოყენებას სასწავლო პროცესის გასაუმჯობესებლად და ამ გამოცდილების გათვალისწინებით პასუხისმგებლობის გაზიარებას სასკოლო საზოგადოების წევრებს შორის მის ყველა დონეზე: ადმინისტრაცია, მასწავლებელი, მოსწავლე, მშობელი. სკოლაში ვიზიტისას გამოიკვეთა, რომ სკოლა შეფასების

შედეგებს გამოიყენებს არსებულ კურიკულუმში ცვლილებების შეტანის მიზნით. **ამრიგად, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი;ინდიკატორი 2.4.1.1დაკმაყოფილებულია**

2. სკოლას გააზრებული აქვს, რომ კათედრა კურიკულუმის განვითარების პროცესში უნდა დაეყრდნოს წინარე გამოცდილებას და გაითვალისწინოს მონიტორინგისა და შეფასების შედეგები, რასაც წინარე გამოცდილებისას მხოლოდ ფრაგმენტული ხასიათი ჰქონდა. სამომავლოდ ამ კუთხით სკოლა აპირებს დაგეგმოს კონკრეტული მონიტორინგის გეგმა (პაკეტი), რომლის ფარგლებში გაეცნობიან საბაზო/საშუალო კლასების მასწავლებელთა გამოცდილებებს, გავლილ კურიკულუმებს, გააანალიზებენ შედეგებს და ანალიზისა და აზრთა გაზიარების საფუძველზე, შექმნიან გადამუშავებულ ვერსიას. სკოლას აქვს მზაობა დახვეწოს, განავითაროს თავისი პრაქტიკა ამ კუთხით. მაგრამ, სკოლაში არსებობს მასწავლებლების მიერ დაგეგმილი და რეალიზებული პროცესების (კომპლექსური დავალებები, სასწავლო თუ სასკოლო პროექტები) რეფლექსიები, გამოცდილების ურთიერთგაზიარების პრაქტიკა, რაც დასტურდება მასწავლებელთა ინტერვიუებითა და კათედრის ჩანაწერებით. **ამრიგად, სკოლას აქვს მზაობა კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია მყარად დააფუძნოს წინარე გამოცდილებას , სადაც გათვალისწინებული იქნება მონიტორინგისა და შეფასების შედეგები. ინდიკატორი 2.4.1.2 დაკმაყოფილებულია**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- კურკულუმი;
- სასკოლო სასწავლო გეგმა;
- კათედრების ოქმები;
- 2023-2024 წლის სასკოლო სასწავლო გეგმის პროექტი;

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

2.3.2. სასწავლო პროცესის შეფასება ატარებს ჰოლისტურ ხასიათს

1. შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს;
2. შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით;
3. შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები;
4. შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. კათედრები შეფასებისას იყენებენ საგნობრივი სტანდარტის ფარგლებში შემუშავებული შეფასების რუბრიკებს, ასევე კომპლექსური დავალებების შესაბამისად შექმნილი განმავითრებელი და განმსაზღვრელი შეფასების კრიტერიუმებს, რომლებიც ეყრდნობა სამიზნე ცნებისა და მასთან დაკავშირებული მკვიდრი წარმოდგენების გააქტიურებას, ასევე თემის ფარგლებში მისაღწევ შედეგებს. ამავდროულად, ის გეგმავს და ატარებს დიაგნოსტიკურ ტესტირებებს, რაც შესაძლებლობას აძლევს ერთმანეთს შეადაროს და ჰოლისტური სახით წარმოადგინოს ხვადასხვა წყაროზე დაყრდნობით მიღებული შედეგები. ჩანს, რომ სწავლების პროცესში მასწავლებლები იყენებენ მრავალფეროვან აქტივობებს, როლებიც მიმართულია სხვადასხვა ტიპის შემსწავლელთა გამოვლენისა და მათ საჭიროებებზე მორგებული დავალებების შექმნისაკენ. განხორციელებული კომპლექსური დავალების ნიმუშები ცხადყოფს, რომ მასწავლებლები ცდილობენ მის დაგეგმვას იმგვარად, რომ მონაცემების შეგროვება მოხდეს მრავალფეროვანი მეთოდებით, სხვადასხვა წყაროსა და რესურსის გამოყენებით, რაც შეამცირებს შეფასების ვარიაციის შეცდომას და შესაძლებლობას მისცემს მათ სრული სურათის წარმოსადგენად. მოსწავლეების შეფასება არ არის ორიენტირებული მხოლოდ კომპლექსური დავალების საბოლოო პროდუქტის შეფასებაზე. მოსწავლის შეფასება ხდება კომპლექსური დავალების მიმდინარეობის დროს, სხვადასხვა აქტივობების საშუალებით. მასწავლებლებთან ინტერვიებისას გამოიკვეთა, რომ მოსწავლეთა შეფასებისას გათვალისწინებულია არა მარტო მათი აკადემიური უნარები, არამედ სოციალური და ოჯახური მდგომარეობა. ამგვარი პოზიცია მასწავლებლებს აძლევს შესაძლებლობას შეფასება იყოს ჰოლისტური ხასიათის.**აქედან გამომდინარე, შეგვიძლია ვიფიქროთ, რომ მომავალ სასწავლო წელს სასწავლო პროცესის შეფასება დაეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს.**

ინდიკატორი 2.3.2.1 დაკმაყოფილებულია

2. პედაგოგების მიერ მოსწავლეთა შეფასება ხორცილედება განმსაზღვრელი და განმავითარებელი შესაფასების ინსტრუმენტების მიხედვით. მაგრამ იმისთვის, რომ სტანდარტის შედეგების მიხედვით მოხდეს მოსწავლეთა მიღწვების

სრულად გაზომვა, აუცილებელია სხვადასხვა ინსტრუმენტების შემუშავება. კერძოდ, სადიაგნოსტიკო ინსტრუმეტი, განმსაზვრელი და განმავითარებელი შეფახების რუბრიკები სტანდარტზე დაფუძნებით. სკოლას აქვს მასწავლებელთა მიერ განხორციელებული კვლევების გამოცდილება, სადაც იკვეთება, რამდენად ეფექტურია მათი შემუშავებული ინტერვენცია სწავლის შედეგების თვალსაზრისით, რომელიც ასახავს სხვადასხვა კონტექსტის გათვალისწინებას მოსწავლეთა შეფასებისას. ინტერვიუს დროს მასწავლებლები საუბრობენ იმის შესახებ, რომ შეფასებისას ითვალისწინებენ მრავალგვარ კონტექსტს, როგორებიცაა: შესასწავლი თემა და საკითხი, მოსწავლეთა აკადემიური მოსწრება, სწავლის პერიოდი, მოსწავლეთა ინტერესები და შესაძლებლობები, საფეხურის ფარგლებში ცნებების დაფარვის ხარისხი და მათი დასკვნის ვალიდაციას სწორედ მრავალი კოტექსტიდან დანახული სიტუაცია უზრუნველყოფს. **მაშასადამე, შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით; ინდიკატორი 2.3.2.2 დაკმაყოფილებულია**

3. შესწავლილი დოკუმენტაციის დასტურდება, რომ მასწავლებელები საჭირო დროს მიმართავენ დიაგნოსტიკურ შეფასებას. სკოლას აქვს ჩარჩო, თუ როგორ განაზოგადოს დიაგნოსტიკური კვლევის პროცესში მიღებული შედეგები. ასევე, მასწავლებლები პრაქტიკის კვლევის პროცესში იყენებენ ინტერვიუს, ფოკუს-ჯგუფებს, ტესტირებას, ანკეტირებას და სხვ. იცნობენ მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვან მეთოდებს, სხვადასხვა დროს მიმართავენ დისკუსიებს, პროექტულ სწავლებას, რაც საშუალებას აძლევს მათ შეფასების შედეგების შესახებ ინფორმაცია სხვადასხვა მეთოდით მოიპოვონ.

ინდიკატორი 2.3.2.3 დაკმაყოფილებულია.

4. წარმოდგენილი მასალებიდან ირკვევა და მასწავლებელთა ინტერვიუებიდანაც დასტურდება, რომ მასწავლებლები სწავლების თითქმის ყველა საფეხურზე იყენებენ სწავლების დიფერენცირებულ მიდგომებს. გამომდინარე იქიდან, რომ მოსწავლეზე, მის სასწავლო სიტუაციაზე, გარემოებაზე გავლენას ახდენს არა მხოლოდ უშუალო გარემომცველი მიკროსისტემა, არამედ ფაქტორთა მთელი რიგი სხვადასხვა სისტემებიდან, სკოლა აცნობიერებს და გეგმავს, რომ კურიკულუმის მონიტორინგისა და შეფასების დოკუმენტში, რომლის შექნაზეც სკოლა ახლა მუშაობს და რომლის კონტურებიც გამოკვეთილია დოკუმენტში 2023-2024 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმის პროექტში, ნათლად გაწეროს ყველა იმ ფაქტორის ზემოქმედება, რაც მომავალში გავლენას მოახდენს მოსწავლეთა შეფასების სრული სურათის შექმნაზე. მნიშვნელოვანია, რომ შეფასებისას საჭიროა სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინება. შეფასების რუბრიკები ყველა საგანში ის ეფექტური ინსტრუმენტებია, რომელიც გამოიყენება როგორც მოსწავლეების ნამუშევრის, ასევე მუშაობის პროცესის შეფასების მიზნით. სკოლაში დიფერენცირებული მიდგომების პრაქტიკა არის საშუალება შეფასდეს მოსწავლეთა უნარები, დაისახოს მათი ჰოლისტური განვითარების გზა. ამდენად, სკოლა ახალ კურიკულუმში გეგმავს ისეთი სტრატეგიების დანერეგვას, რომელიც ორიენტირებული იქნება თითოეული მოსწავლის ინტერესისა და უნარის დადგენაზე. **ამრიგად, სკოლას აქვს მზაობა შეფასება გახორციელდეს სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით.**

ინდიკატორი 2.3.2.4 დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- კურიკულუმი;
- 2023-2023 წლის სასკოლო სასწავლო გეგმის პროექტი;
- განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები;
- კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია;

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია

2.4.3 წლიური მუშაობის შედეგად იქმნება კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია

1.იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი;

2.კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. შესწავლილი დოკუმენტაცია ცხადყოფს, რომ სკოლას ბოლო წლების მანძილზე აქვს კურიკულუმების შემუშავებისა და განხორციელების პრაქტიკა, რომელიც ორიენტირებულია ცნებებით სწავლების დანერგვაზე, როგორც გრძელვადიანი სასწავლო ორიენტირის გამოყენებაზე. მათ აქვთ პრაქტიკული გამოცდილება სწავლების ყოველ წელს ანალიზის საფუძველზე გააკეთონ დასკვნები, გადახედონ საფეხურის ფარგლებში მიღწეულ შედეგებს და სასწავლო პროცესი დაგეგმონ გამოვლენილი პრობლემებისა და საჭიროებების საფუძველზე. ამას მოწმობს მასწავლებელთა სკოლის ფარგლებში არსებული პრაქტიკის ურთიერთგაზიარება, რაც დასტურდება მათ მიერ წარმოდგენილი დოკუმენტებისა და ინტერვიურების პროცესში, ასევე ჩანს კათედრების მიერ წარმოდგენილ მასალებსა და პედაგოგთა რეფლექსიებში. სკოლა ახლა მუშაობს საჭიროებათა პაკეტის შემუშავებაზე, რომელიც იქნება მთავარი დასაყრდენი ახალი სასწავლო წლის კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერისათვის. სკოლა გეგმავს მისი საუკეთესო პრაქტიკის გამოყენებას სასწავლო პროცესის გასაუმჯობესებლად და ამ გამოცდილების გათვალისწინებით პასუხისმგებლობის გაზიარებას სასკოლო საზოგადოების წევრებს შორის მის ყველა დონეზე: ადმინისტრაცია, მასწავლებელი, მოსწავლე, მშობელი. სკოლაში ვიზიტისას გამოიკვეთა, რომ სკოლა შეფასების შედეგებს გამოიყენებს არსებულ კურიკულუმში ცვლილებების შეტანის მიზნით. **ამრიგად, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი;ინდიკატორი 2.4.1.1დაკმაყოფილებულია**

2. სკოლას გააზრებული აქვს, რომ კათედრა კურიკულუმის განვითარების პროცესში უნდა დაეყრდნოს წინარე გამოცდილებას და გაითვალისწინოს მონიტორინგისა და შეფასების შედეგები, რასაც წინარე გამოცდილებისას მხოლოდ ფრაგმენტული ხასიათი ჰქონდა. სამომავლოდ ამ კუთხით სკოლა აპირებს დაგეგმოს კონკრეტული მონიტორინგის გეგმა (პაკეტი), რომლის ფარგლებში გაეცნობიან საბაზო/საშუალო კლასების მასწავლებელთა გამოცდილებებს, გავლილ კურიკულუმებს, გააანალიზებენ შედეგებს და ანალიზისა და აზრთა გაზიარების საფუძველზე, შექმნიან გადამუშავებულ ვერსიას. სკოლას აქვს მზაობა დახვეწოს, განავითაროს თავისი პრაქტიკა ამ კუთხით. მაგრამ, სკოლაში არსებობს მასწავლებლების მიერ დაგეგმილი და რეალიზებული პროცესების (კომპლექსური დავალებები, სასწავლო თუ სასკოლო პროექტები) რეფლექსიები, გამოცდილების ურთიერთგაზიარების პრაქტიკა, რაც დასტურდება მასწავლებელთა ინტერვიუებითა და კათედრის ჩანაწერებით. **ამრიგად, სკოლას აქვს მზაობა კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია მყარად დააფუძნოს წინარე გამოცდილებას , სადაც გათვალისწინებული იქნება მონიტორინგისა და შეფასების შედეგები.**

ინდიკატორი 2.4.1.2 დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- კურკულუმი;
- სასკოლო სასწავლო გეგმა;
- კათედრების ოქმები;
- 2023-2024 წლის სასკოლო სასწავლო გეგმის პროექტი;

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

ნაწილი V. თანდართული დოკუმენტაცია

.....
.....
.....

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

_____

_____

_____

_____

_____

_____

_____

_____

03.11.2023 წ.
თარიღი